ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ეკა კვაჭანტირაძე

# ქართული მონარქიის ისტორიიდან

## (XIX-XX სს. მიჯნა)

ემილ ავდალიანი

# ქართული მეწარმეობის ისტორიიდან

# (XIX-XX სს. მიჯნა)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი
2018

ნაშრომში განხილულია XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართველი და საქართველოში მოღვაწე უცხოელი მეწარმეების ისტორიები. ცალკეული ფიგურების ბიოგრაფიების საფუძველზე გადმოცემულია იმდროინდელ საქართველოში მეწარმეობის პირობები და განხილულია ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ფონი. წიგნში შესულია აქამდე ნაკლებად შესწავლილი ნობელების, როტშილდების, მიქაელ არამიანცისა და სხვა მეწარმეების საქმიანობა იმდროინდელ საქართველოში.

წიგნი განკუთვნილია როგორც XIX-XX საუკუნეების მიჯნის საქართველოს ისტორიის მკვლევარებისთვის, ასევე საქართველოს ისტორიისა და რუსეთის იმპერიის სამხრეთ კავკასიაში ბატონობით ზოგადად დაინტერესებული მკითხველისთვის.

რედაქტორი: აპოლონ თაბუაშვილი

© ემილ ავდალიანი
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017

ISBN

# შინაარსი

შესავალი ........................................ 4

თავი **I.** XIX-XX საუკუნეების მიჯნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მიმოხილვა ........................ 12

თავი **II.** პირველი ქართული რეკლამა ........................ 17

თავი **III.** ჭიათურის მანგანუმი – ქართული „შავი ოქროს“ ისტორია ........................................ 28

თავი **IV.** ძმები სიმენსები საქართველოში ........................ 36

თავი **V.** ძმები ნობელები საქართველოში ........................ 46

თავი **VI.** მიტროფანე ლაღიძე და მისი „ლაღიძის წყლები“ ........................................ 57

თავი **VII.** მეწარმე აკაკი ხოშტარია ........................ 65

თავი **VIII.** მიქაელ არამიანცი და საქართველო ............... 72

დასკვნა ........................................ 86

**Georgian Entrepreneurship (late XIX-early XX cc.) (Summery)** ........................................ 90

გამოყენებული ლიტერატურა ........................................ 95

# შესავალი

საქართველოში ვაჭრობის ხანგრძლივი ისტორია არსებობს. შავი ზღვის (და არა მარტო) ქალაქ-სახელმწიფოებსა (ანტიკურ ხანაში) და დიდ ქვეყნებთან (შუა საუკუნეებსა და ახალ პერიოდში) ინტერაქცია საქართველოს შიგნით სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას უწყობდა ხელს. დიდი იმპერიების მეზობლად არსებობა კი, თავის მხრივ, განაპირობებდა ამ ქვეყნების ეკონომიკური გავლენის გავრცელებას სამხრეთ კავკასიასა და კერძოდ საქართველოში. ყოველივე ეს იწვევდა საქართველოში ახალი სავაჭრო გზებისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას.

XVIII საუკუნიდან ნელ-ნელა წერილობით წყაროებსა და ბეჭდურ საშუალებებში სულ მეტი ინფორმაცია ჩნდება ცალკეული პიროვნებების საქმიანობაზე. ხოლო XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს შეერთებამ ერთგვარი კატალიზატორის როლი ითამაშა მთელი XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის გასანვითარებლად.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედევად რუსეთის იმპერიის ამ პოზიტიური როლისა, საქართველოში მსხვილი ვაჭრობის განვითარება და ქარხნული მეთოდების შემოღება, ზოგადად, იმდროინდელი ევროპისთვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქართლ-კახეთის სამეფო 1801 წლამდე ფართოდ იყო ჩაბმული რუსეთ-ირანს შორის არსებულ ვაჭრობაში და XIX საუკუნეში საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების განვითარება ირან-ოსმალეთთან არ უნდა ეკონომიკურ ფენომენს[1].

აქ უფრო საუბარია იმაზე, რომ რუსეთის იმპერიული მმა-

[1] M. De Peyssonel. Essay sur les troubles actueles de Perse et de Georgie. Paris. 1754, გვ. 153.

რთველობა თავიდან ხელს უწყობდა კაპიტალის დაბანდებას სამხრეთ კავკასიაში. მაგალითისთვის, 1821 წელს 10 წლის ვადით ევროპიდან შემოტანილ ნაწარმზე შემოიღეს შეღავათიანი 5%-იანი ტარიფი. 1830 წლისთვის საქონლის შემოტანა საქართველოში 3-ჯერ გაიზარდა წინა პერიოდთან შედარებით და შეადგინა 2,5 მილიონი მანეთის ღირებულებას[2]. ვადის ამოწურვის შემდეგ შეღავათიანი ტარიფი აღარ განახლებულა[3].

იმპერიული ხელისუფლება საქართველოში ცდილობდა განევითარებინა ის დარგები, რომელიც ხელს არ შეუშლიდა რუსულ მრეწველობას, არამედ პირიქით სხვადასხვა იაფი ნაწარმისა და ნედლეულის მიწოდებით ხელს შეუწყობდა მას.

მართალია იმპერიის ეკონომიკური ზომები ცალსახად ცალმხრივი იყო, მათ მაინც შეუწყეს ხელი საქართველოში ნელი ტემპებით საწარმოო ძალების განვითარებას. უდავოა ისიც, რომ ეკონომიკური ურთიერთობების გასანვითარებლად ქვეყანაში შედარებით სტაბილური შიდა პოლიტიკური ვითარება იყო საჭირო[4]. გარკვეულწილად რუსეთმა ეს როლი ითამაშა – პირდაპირი თურქული და ირანული შემოსევები აღარ წარმოადგენდნენ საფრთხეს.

ვაჭრობას ასევე ხელს უწყობდა საქართველოსთან ოსმალეთის იმპერიისა და სპარსეთის ახლო მდებარეობა; რუსეთის იმპერიის ეკონომიკური ინტერესები ამ ორ დიდ სახელმწიფოსთან გაეზარდა ეკონომიკური თანამშრომლობა და მეტი ნაწარმი გაეგზავნა ევროპულ (ბრიტანულ და ფრანგულ) პროდუქციასთან ეფექტური კონკურენციისთვის[5]. შესაბამისად, საქართველოს გე-

---

[2] ვაჭრობის დონის ზრდასთან დაკავშირებით იხ. J. F. Gamba. Voyage dans la Russie méridionale, et particuliérment dans les provinces situées au-dela du Caucase, fait depuis 1820 jusq'au 1824. Vol. II. Paris. 1826, გვ. 36; 159.

[3] თუმცა 1846 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა მიაღწია იმას, რომ ევროპულ ნაწარმზე ბაჟი შემცირებულიყო, რადგან დადგენილი 25 და მეტ-პროცენტიანი გადასახადი ავნებდა სამხრეთ კავკასიის ვაჭრობას. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V. თბ. 1970, გვ. 83-84; 96-97.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V. თბ. 1970, გვ. 79-82.

[5] ნ. ქორთუა. ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში. თბ. 1978, გვ. 11-43.

ოგრაფიული სიახლოვე სპარსეთსა[6] და ოსმალეთის იმპერიასთან, პირველ რიგში, აისახებოდა ვაჭრობისა და სხვა ეკონომიკური აქტივობის ზრდაში. ეს კარგად ჩანს ამ ნაშრომში განხილული XIX-XX საუკუნეების მიჯნის ცალკეული ქართველი მეწარმეების ბიოგრაფიებიდან. მაგალითად, აკაკი ხოშტარიას ფართო სამეწარმეო ქსელი ჰქონდა გაშლილი სპარსეთსა და ოსმალეთში, რაც კარგად ასახავდა რუსეთის იმპერიის კომერციულ ინტერესებს.

ამ ეკონომიკურმა პროცესემბა ხელი შეუწყო XIX საუკუნის განმავლობაში ტფილისს უფრო მყარად განემტკიცებინა კავკასიის სამეწარმეო ცენტრის სტატუსი. გეოგრაფიული ადგილმდებარეობა (ტფილისი მთელი კავკასიის უშუალო ცენტრში მდებარეობდა), ისევე როგორც ტფილისის გარშემო ფართო საგზაო ქსელი ხელს უწყობდა ქალაქის მთელი კავკასიის ფინანსურ ცენტრად გადაქცეულიყო (მაგალითისთვის, აღსანიშნავია ამ ნაშრომში ცნობილი მეწარმისა და მეცენატის მიქაელ არამიანცის ბიოგრაფია, როდესაც ის ტფილისიდან მართავდა თავის ბიზნეს-იმპერიას). აღნიშნული მიზეზების გარდა, ამ პროცესს ასევე ხელს უწყობდა რუსეთის სამეფო ადმინისტრაცია, რომელიც კავკასიას უშუალოდ ტფილისიდან მართავდა.

მაშინაც კი, როდესაც XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში აფშერონის ნახევარკუნძულზე ფართოდ დაიწყო ნავთობის მოპოვება და ბაქო კავკასიის ერთერთ ეკონომიკურ ცენტრად გა დაიქცა, ტფილისს მაინც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მეწარმეები ბაქოში კაპიტალის დაგროვების შემდეგ, ტფილისში ჩამოდიოდნენ და აქ განაგრძობდნენ თავის საქმიანობას. ამასთან ერთად, წმინდა გეოპოლიტიკური კუთხით, საქართველოსა და ტფილისის ადგილმდებარეობა, როგორც გარდამავალი ტერიტორია შავსა და კასპიის ზღვებს შორის, ხელს უწყობდა ქვეყანას შეენარჩუნებინა თავისი ცენტრალური ადგილი და ყოფილიყო ტრანზიტი ყველა ახალი წამოწყებისთვის, იქნება ეს პირველი ნა-

[6] იხ. გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისში). თბ. 2011, გვ. 130-134.

ვთობსადენი თუ რკინიგზა.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ რომანოვების რუსეთში, მიუხედავად ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენისა, ფართო ვაჭრობა და ინდუსტრია მაინც ვითარდებოდა. რუსეთის იმპერიაში მეწარმეობა და ცალკეული მეწარმეების ისტორიები გავდა იმას, თუ რაც ხდებოდა ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. ამით იყო გამოწვეული ის, რომ ზუსტად XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ასპარესზე გამოდიან ადამიანები, რომლებიც განსხვავებულ სფეროებში იყვნენ ჩართულნი და ქმნიდნენ დღეს ჩვენთვის ცნობილ ქართულ ბრენდებს. ფართოდ გამოიყენებოდა წარმოების ქარხნული მეთოდები და რუსეთსა და დასავლეთ ევროპიდან შემოდიოდა ახალი ტექნოლოგიები. ამიერიდან ქართული ნაწარმი რუსეთის იმპერიის გარდა, მახლობელ აღმოსავლეთსა და ევროპაშიც ფართოდ ვრცელდებოდა.

ამ მიზეზებმა გამოიწვია ისიც, რომ სამხრეთ კავკასიით ფართოდ ინტერესდებოდნენ ცნობილი ევროპული კომპანიები და მეწარმეები. ნობელები, როტშილდები, სიმენსები და ბევრი სხვა საქართველოში საკმაოდ დიდ ეკონომიკურ პოტენციალს ხედავდნენ. რა თქმა უნდა, საქართველოს მნიშვნელობა ამ ოჯახების ბიზნესში, ძირითადად, ქვეყნის ტრანზიტული პოტენციალის სწორად განსაზღვრიდან მომდინარეობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდის საქართველოში არსებული უცხოური მეწარმეობის განვითარებით, ასევე მიმდინარეობდა ქვეყნის ტექნოლოგიური წინსვლა.

აღნიშნულ ნაშრომში განხილული მეწარმეებისა და ბიზნესთან დაკავშირებული სხვადასხვა ისტორიების კვლევა საკმაოდ მწირეა ქართულ ისტორიოგრაფიაში. არ არსებობს ცალკეული შრომები ისეთ გამოჩენილ მეწარმეებზე, როგორებიც არიან მიტროფანე ლაღიძე, აკაკი ხოშტარია, მიქაელ არამიანცი და სხვები. ძმები ნობელების, სიმენსებისა და უმსხვილესი ფინანსური ოჯახის – როტშილდების – საქართველოში მოღვაწეობის ისტორია ასევე ფაქტობრივად შეუსწავლელია.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტი სავსეა სხვადასხვა ინტერნეტ საიტებზე აღნიშნული მეწარმეების საქმიანობაზე გა-

მოდებული ინფორმაციით, ხშირად ის გადაუმოწმებელია და სავსეა შეცდომებით. ნაშრომის გაცნობისას მკითხველი ნახავს, რომ მეწარმეების ბიოგრაფიების უმეტეს მონაკვეთზე, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მხოლოდ არააკადემიური სახის სტატიები არსებობს.

ასევე, არსებობს ცალკეული მცდელობები სხვადასხვა მკვლევარების მიერ შეესწავლათ უცხოელი თუ ქართველი მეწარმეების საქმიანობა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ისინი არ პასუხობენ წინამდებარე წიგნში დასმულ მთავარ კითხვას: როგორი იყო მეწარმეობა XIX-XX საუკუნეების მიჯნის საქართველოში? შესაბამისად, დღეს დგას ამ არასრულად განხილული საკითხის შესწავლის საჭიროება. და ეს მაშინ, როდესაც წყაროები (გაზეთები, მემუარები და საარქივო დოკუმენტები) ამ პერიოდის შესახებ საკმაოდ მრავლად მოგვეპოვება.

და მაინც, გასაკვირია როგორ მოხდა ამ საკითხების შესწავლის უგულებელყოფა ქართულ ისტორიოგრაფიაში? ერთ-ერთი ახსნა ამას შეიძლება მოეპოვოს საქართველოში 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. როგორც ვნახავთ ამ ნაშრომში ქართული სამეწარმეო აქტივობა შემცირდა/თითქმის შეწყდა ქვეყანაში ბოლშევიკების გაბატონებიდან შემდგომ წლებში. მდიდარი ვაჭრები და მეწარმეები ახალი ხელისუფლების კლასობრივი მტრები გახდნენ და ლოგიკურია, რომ მათი საქმიანობის შესწავლა არაპოპულარული იქნებოდა საბჭოთა კავშირის პერიოდში. ეს ხსნის იმასაც, რომ თუ რამე სახის მცირე აკადემიური ნაშრომები დაიწერა XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართულ მეწარმეობაზე, ეს ძირითადად 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მოხდა.

ეს ცარიელი ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართული მეწარმეობის შესწავლას ორმაგად საჭიროდ ხდის. რადგან ინფორმაცია იმდენად გაფანტულია ძველ საარქივო და ბეჭდურ მასალასაში, რაც საკმაოდ რთულს გახდიდა საერთო ქართული მეწარმეობის ისტორიის დაწერას, ვიფიქრეთ ეს გაგვეკეთებინა ცალკეული მეწარმეების ბიოგრაფიების შესწავლით. ეს იქნება კარგი სტიმული ქართული მეწა-

რმეობის საკითხის მომავალში სიღრმისეულად შესწავლისთვის. შევეცადეთ ძმები ნობელებისა და სხვა უცხოელი მეწარმეების საქმიანობის მოკლე შესწავლით დაგვეხატა ის საერთო სურათი, რომელიც არსებობდა იმდროინდელი საქართველოს სამეწარმეო სფეროში.

თუმცა ბიოგრაფიების განხილვამდე, მკითხველისთვის საჭირო არის იმ პოლიტიკური ვითარების ასახვა, რომელშიც საქართველო XIX საუკუნის განმავლობაში ვითარდებოდა. როგორი პოლიტიკური ინსტიტუტები და გეოპოლიტიკური მდგომარეობა იყო საქართველოსა და ზოგადად რეგიონში და რა გავლენას ახდენდა ეს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ეს საკითხები იქნება განხილული ამ ნაშრომის პირველ თავში.

ნობელებზე საუბრისას ლაპარაკი იქნება ასევე როტშილდებზე, რომელთა მოღვაწეობა საქართველოში დღესდღეისობით ფაქტობრივად შეუსწავლელია. ორივე ოჯახმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში იმდროინდელ მსოფლიოში უმსხვილესი ინფრასტრუქტურული პროექტების (რკინიგზა და ნავთობსადენი კასპიიდან შავ ზღვამდე) განხორციელებაში. საქართველოში მოღვაწე უცხოელი მეწარმეების ამავე კატეგორიაში შედიან ცნობილი კომპანია „სიმენსის" დამფუძნებლები ძმები სიმენსები. მათი მოღვაწეობით საქართველოზე გავიდა იმ დროს მსოფლიოში ყველაზე გრძელი სატელეგრაფო ხაზი ლონდონი-კალკუტა, რამაც ქვეყანა მთელ მსოფლიოსთან დააკავშირა. სიმენსები იყვნენ პირველები ვინც საქართველოში ნავთობის საბადოები აღმოაჩინეს და დაამუშავეს კიდეც. ამ ყველა უცხოელ მეწარმეზე საუბრისას აღსანიშნავია მათი ღვაწლი საქართველოს ტექნოლოგიურ განვითარებაში.

აკაკი ხოშტარიას ბიოგრაფია, რომელიც ბევრისთვის ნაკლებად ცნობილია, ნათლად გვიხატავს, როგორ იყო ეკონომიკურად დაკავშირებული რუსეთის იმპერია და საკუთრივ საქართველო იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთთან.

მიტროფანე ლაღიძის ცხოვრებაზე საუბრისას ყურადღება გამახვილებული იქნება იმაზე როგორ ვითარდებოდა მეწარეობა, ტფილისის გარდა, საქართველოს სხვა მხარეებში. ჩვენ ვისა-

უბრეთ იმაზე, თუ როგორ ფინანსურად ცენტრალურ პოზიციას იკავებდა ტფილისი კავკასიაში, ლაღიძის ბიოგრაფია კი დასტურია იმისა, რომ ქუთაისი და სხვა ქართული ქალაქები არანაკლებ საშუალებას იძლეოდნენ ახალი ბიზნეს-წამოწყებებისათვის.

მიქაელ არამიანცის ბიოგრაფია კი იმით გამოირჩევა, რომ მას, ტფილისის გარდა, ბიზნესი უფრო ფართოდ ჰქონდა გავრცელებული ევროპისა და აზიის დიდ ქალაქებში. თუმცა არამიანციც, ისევე როგორც ამ ნაშრომში განხილული სხვა მეწარმეები, საბოლოოდ ტფილისიდან აგრძელებდა თავისი ბიზნეს-იმპერიის მართვას. ამასთან ერთად, აღსანიშნავია მისი მეცენატობა ტფილისისთვის და ასევე ის ფაქტი, რომ არამიანცის ცხოვრებაზე არცერთი აკადემიური ნაშრომი არ შესრულებულა ქართულ ენაზე.

ნაშრომში საუბარი იქნება ასევე პირველ ქართულ რეკლამაზე. რეკლამა ერთის მხრივ არაფერს განსაკუთრებულს არ უნდა წარმოადგენდეს, თუმცა მისი რაოდენობა, ხარისხი და გავრცელება საკმაოდ კარგი ინდიკატორია იმისა, თუ როგორ ვითარდებოდა მეწარმეობა იმდროინდელ საქართველოში. რეკლამა მარტივად ასახავს ახალი ბიზნესების სურვილს მეტი პოპულარობა მიიღონ მოსახლეობაში და ირიბად ასახავს იმასაც, თუ როგორი კაპიტალი ტრიალებდა იმ დროს საქართველოში. პირველი ქართული რეკლემების განთავსება ეს ცალკე სფერო, ცალკე მეწარმეობა იყო, რომლის შესწავლა საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ ადრეულ ფაზაშია.

პირველ ქართულ რეკლამასთან ერთად არაბიოგრაფიულ ნაწილში, ასევე შედის ჭიათურის მანგანუმის აღმოჩენისა და მოპოვების ისტორია. ამ ისტორიის აღწერით შევეცადეთ გვეჩვენებინა როგორ ხდებოდა იმდროინდელ საქართველოში ახალი აღმოჩენებით დაინტერესება, როგორი იყო რეაქციები და როგორ ინტერესდებოდნენ ამით მეწარმეები.

ასე რომ, ვფიქრობთ წინამდებარე პატარა ნაშრომი კარგი სტიმული იქნება ზემოაღწერილი ყველა საკითხის მომავალში უფრო სიღრმისეული შესწავლისთვის. აქვე აღსანიშნია ისიც, რომ ეს ნაშრომი მხოლოდ პირველ ნაწილს წარმოადგენს იმ სერი-

ისა, რომლის მომდევნო წიგნებშიც უფრო ფართოდ იქნება შეს-
წავლილი სხვა ცნობილი ქართველი თუ უცხოელი მეწარმეების
საქმიანობა საქართველოში.

# თავი I

## XIX-XX საუკუნეების მიჯნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მიმოხილვა

ქართველი და საქართველოში მოღვაწე უცხოელი მეწარმეების ისტორიისთვის მნიშვნელოვანია იმ პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა, რომელშიც ვითარდებოდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქართული ბიზნესი. წინამდებარე თავში საქართველოში რუსეთის იმპერიული მმართველობის ზოგადი მახასიათებლები (ადმინისტრაციული დაყოფები, ინსტიტუტები და ა. შ.) იქნება აღწერილი. ამასთან ერთად მიმოხილული იქნება რუსეთის ომები ოსმალეთსა და სპარსეთთან.

1801 წლის 18 იანვარს (პავლე I-ის (1796-1801 წწ.) დროს) საჯაროდ გამოქვეყნებული და იმავე წლის 12 სექტემბერს (უკვე მისი შვილი ალექსანდრე I-ის (1801-1825 წწ.) დროს) ხელახლა გამოცემული მანიფესტებით რუსეთის იმპერიამ გააუქმა და შემოიერთა ქართლ-კახეთის სამეფო, რამაც საქართველოში რუსეთის სამხედრო-საოკუპაციო მმართველობას დაუდო საფუძველი. ეს იყო გარდამავალი პერიოდი სანამ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მოხდებოდა ნელი გადასვლა იმდროინდელი რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა ტერიტორიების/გუბერნიების მსგავს მმართველობაზე[7].

მკაცრი სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი განპირობებული იყო იმით, რომ ნაკლები სივრცე ყოფილიყო ქართლ-კახეთის სამეფოში სახალხო გამოსვლებისთვის. ამავდროულად, ამ რეჟიმის ჩამოყალიბება გამოწვეული იყო იმითაც, რომ ქართლ-კახეთი და სხვა ქართული მიწები ემეზობლებოდა რუსეთის გეოპოლიტიკურ მეტოქეებს: სპარსეთსა და ოსმალეთის იმპერიას[8], რომელთაც

[7] საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე. თბ. 2004, გვ. 9.

[8] ამ ნაშრომში გამოყენებულია ორი ვარიანტი, როგორც თურქეთი და ოსმალეთის იმპერია, ასევე ირანი და სპარსეთი.

თავისი პოლიტიკური ამბიციები გააჩნდათ სამხრეთ კავკასიის მიმართ.

ზუსტად ამიტომ, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთისა და მიმდებარე ტერიტორიების მიერთებას საპასუხო ნაბიჯები უნდა გამოეწვია ირანისა და თურქეთისგან. ორივე სახელმწიფოს პოლიტიკურ მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ ისინი კარგავდნენ გავლენას რეგიონზე, რომლითაც ხერხდებოდა შავი ზღვის უკეთესად გაკონტროლება. ორივე იმპერიას ესმოდა, რომ რუსეთის სამიზნე მომავალში ქართული საპორტო ქალაქების ხელში ჩაგდება და ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიული მმართველობით უკმაყოფილო მთიელების – თურქებისა და ირანელების პოტენციური მოკავშირეების – დამორჩილება იქნება.

შესაბამისად, გარდაუვალი იყო რუსეთ-ოსმალეთისა და რუსეთ-სპარსეთის ომები. მართალია რუსული სამხედრო მანქანა ბევრად მძლავრი იყო ვიდრე სუსტი ოსმალეთისა და სპარსეთის, მაგრამ რუსული დიპლომატია გამუდმებით მუშაობდა იმაზე, რომ არ მომხდარიყო ამ ორ ძალას შორის დიპლომატიური და სამხედრო ალიანსის შექმნა საერთო მტრის წინააღმდეგ. ოსმალეთ-სპარსეთის ალიანსისკენ იყო მიმართული დიდი ბრიტანეთის დიპლომატია 1810-იანი წლებიდან[9], რაც ნაპოლეონ I-ის (1804-1814; 1815 წწ.) საფრანგეთი დამარცხდა ევროპულ ომებში და რუსეთი ცალსახა დომინანტად მოევლინა მსოფლიოს აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში.

რუსეთის სამხედრო და ეკონომიკურ უპირატესობებზე მეტყველებს 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთისა და 1804-1813 წლების რუსეთ-სპარსეთის ომები. ორივე ომში რუსეთი გამარჯვებული გამოვიდა. 1812 წლის ბუქარესტის ზავით ოსმალეთმა სოხუმი დაკარგა, ხოლო 1813 წლის გიულისტანის[10] ზავის მიხედ-

---

[9] მანამდე გარკვეული ნაბიჯები ნაპოლეონ I-ის მიერ იყო გადადგმული. იხ. გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისში). თბ. 2011, გვ. 18-20.

[10] სოფელი მთიან ყარაბაღში. იხ. ნ. ქორთუა. ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში. თბ. 1978, გვ. 11-43.

ვით, სპარსეთმა ფაქტობრივად გააფორმა საკუთარი მარცხი სამხრეთ კავკასიაში, როდესაც დაკარგა აღმოსავლეთ საქართველო, დაღესტანი და რამოდენიმე მიმდებარე სახანო.

რუსეთის გამარჯვებები ორმაგად შთამბეჭდავია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნულ პერიოდში რუსეთის იმპერიის ძირითადი სამხედრო ძალები ქვეყნის დასავლეთ ფრონტზე იყო მიმართული, სადაც საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ I დიდ სამხედრო გამარჯვებებს ზეიმობდა და 1810 წლიდან ნელი ტემპებით რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის მზადებას შეუდგა[11].

1826-1828 წლების რუსეთ-სპარსეთის ომი[12] უფრო იმის დაზუსტებას წარმოადგენდა, რაც 1804-1813 წლებში მოხდა – რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიის ნაწილების ფაქტობრივი შეერთება. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომმა დიდი კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაზე, რადგან მოხერხდა ისტორიული ქართული მიწების – ახალქალაქის და სხვა ტერიტორიების – დაბრუნება.

გეოპოლიტიკური მეტოქეების მოგერიების შემდეგ რუსეთი აქტიურად შეუდგა ახლად შემოერთებული ტერიტორიების მოწყობას. 1840 წელს ჩამოყალიბდა ორი მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული: საქართველო-იმერეთის გუბერნია და კასპიის ოლქი. მომდევნო წლებში ამ დაყოფაში მთელი რიგი ცვლილებები შედიოდა გეოგრაფიული დანაწილების შედეგად გამოწვეული უზუსტობების გამო.

კავკასია მთავარმართებელს 1844 წლამდე ექვემდებარებოდა, როდესაც ის რუსეთის საიმპერიო ადმინისტრაციაში საკმაოდ მაღალი სტატუსის მქონე რეგიონად გადაიქცა და მის სათავეში უშუალოდ რუსეთის იმპერატორის დაქვემდებარებაში მყოფი მეფისნაცვალი დაინიშნა. ამას მოყვა 1846 წელს ახალი ადმინისტრაციული დაყოფა ტფილისის, ქუთაისის, დარუბანდისა

[11] D. Lieven. Russia Against Napoleon. The Battle for Europe, 1807 to 1814. London. 2009, გვ. 41-78.

[12] ნ. ქორთუა. ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში. თბ. 1978, გვ. 245-264.

და შემახიის გუბერნიებად. შემდგომ პერიოდში ცალკე ერთეულად ერევნის გუბერნია ჩამოყალიბდა.

1877-1878 წლების მორიგმა რუსეთ-ოსმალეთის ომმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ისტორიული მიწების დაბრუნებაში. ამ ომის კავკასიურ ფრონტზე გამართული საომარი მოქმედებების შედეგად მოხდა ბათუმისა და ყარსის შემოერთება. ბათუმის დაბრუნებამ შემდგომ პერიოდში დიდი როლი ითამაშა საქართველოს ტრანზიტულ ტერიტორიად გადაქცევაში (იხ. მომდევნო თავებში) და აშენებულიყო მსხვილი სარკინიგზო ხაზი და ნავთობსადენი.

შესაბამისად, 1801-1917 წლებში საქართველოში რუსული მმართველობა შეიძლება სამ ძირითად ეტაპად დაიყოს. პირველი ეტაპი 1801-1840 წლებით არის შემოსაზღვრული, როდესაც რუსეთმა დროებითი, გარდამავალი მმართველობა დაამყარა საქართველოში. დროებითი რეჟიმის ჩამოყალიბება გამოწვეული იყო რეგიონში არასტაბილური საგარეო პოლიტიკური მდგომარეობითა და სამხრეთ კავკასიაში რუსული პოლიტიკის მისადაგებით.

რუსული მმართველობის მეორე ეტაპი (1840-1865 წწ.) დახასიათებულია მეტ-ნაკლებად მისი საბოლოო ფორმირებით, როდესაც გაუქმნდა ბოლო ქართული სამთავროები.

აქედან გადავდივართ მესამე პერიოდზე, რომელიც დაახლოებით 1900-იანი წლების დასაწყისამდე გრძელდებოდა. აღნიშნულ პერიოდში საინტერესო ცვლილებები მოხდა კავკასიის მმართველობაში, რომელიც უმთავრესად გამოწვეული იყო რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის (1855-1881 წწ.) მიერ წამოწყებული რეფორმებით. საქართველოს მმართველობაში ამ პერიოდში უკვე დიდ როლს ასრულებდნენ ისეთი ინსტიტუტები, როგორც თვითმმართველობა და არჩევითი სისტემა. ეს ცვლილებები კარგად იქნება ასახული წინამდებარე ნაშრომის მომდევნო თავებში, როდესაც სხვადასხვა მეწარმეობაზე საუბრისას ხშირად იქნება ნახსენები ის ინტიტუტები, რომლებიც ხელს უწყობდნენ/არეგულირებდნენ სხვადასხვა მეწარმის საქმიანობას[13].

1860-იან წლებში ალექსანდრე II-ის მიერ განხორციელებუ-

[13] საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე. თბ. 2004, გვ. 10-21.

ლმა სოციალურმა რეფორმებმა დიდი კვალი დააჩნიეს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას. სოფლის მეურნეობა ფართოდ ვითარდებოდა და აქტიურად მიმდინარეობდა შრომის დანაწილების პროცესი. ვითარდებოდა ისეთი დარგები როგორებიცაა მეაბრეშუმეობა, მებამბეობა, მეთამბაქოობა და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ფაქტობრივად კოლონიას წარმოადგენდა რუსეთისთვის ადგილობრივი ნედლეულის მოსაპოვებლად, რათა გაზრდილიყო საკუთარი დიდი საწარმოების მომარაგება, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ქვეყანაში მრავალი ქარხანა და წარმოება შეიქმნა. ამ წიგნის მომდევნო თავებში ბევრ ასეთ წარმოებაზე იქნება საუბარი, რომლის ქარხნებში უმთავრესად მანქანური წარმოება იყო შემოღებული.

წინამდებარე ნაშრომში განხილული წარმოებების გარდა, აღსანიშნავია ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, ბორჯომის მინერალური წყლის ინდუსტრიული ექსპლოატაცია და სპირტიანი სასმელების ქარხნული წარმოება დავით სარაჯიშვილის მიერ. ამის გარდა იქმნებოდა უამრავი მცირე და საშუალო ზომის ბიზნესი: ღვინის წარმოების მცირე ამხანაგობები, ტყავის გადამამუშავებელი კარხნები და ა. შ.

თუმცა სანამ ცალკეული მეწარმეების ისტორიებს განვიხილავთ, საუბარს ერთი საინტერესო ბიზნესით – პირველი ქართული რეკლამებით – დავიწყებთ.

# თავი II

## პირველი ქართული რეკლამა

თანამედროვე პერიოდში წარმატებული ბიზნესის წარმოების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი კარგი რეკლამის გაკეთებაა. დღევანდელ საქართველოში რეკლამის გამოყენების იდეა ფართოდ არის გავრცელებული, თუმცა, როგორც იქნება ნაჩვენები, ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პოსტ-საბჭოთა პერიოდისთვის დამახასიათებელი. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში ფართოდ ვითარდებოდა სარეკლამო ბიზნესი და ყოველი მეწარმე ცდილობდა ყურადღება მიექცია საკუთარი პროდუქციისა თუ მომსახურებისთვის გაზეთებში საინტერესო რეკლამების განთავსებით.




პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო ორკვირეული ჟურნალი „გუთნის დედა“ **(1861** წ.**)**

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში სარეკლამო ბიზნესისა და განსაკუთრებით საგაზეთო რეკლამების განცხადებების განვითარების შესახებ საკმაოდ ცოტა რამ არის ცნობილი. მკვლევარებმა აღნიშნული საკითხით ეხლახანს დაიწყეს დაინტერესება. ხშირია ცალკეული ინტერვიუები, ვიდეო ბლოგები ან ინტერნეტში დაუმოწმებელი ინფორმაციის განთავსება. ეს კარგად ასახავს იმ მდგომარეობას, რომ რამოდენიმე მცირე გამონაკლისის გარდა[14], პირველ ქართულ რეკლამაზე საკმაოდ ცოტა

[14] თ. მღებრიშვილი. „ქართული საგაზეთო რეკლამის ისტორიიდან“. კავკასიოლოგიური ძიებანი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კავკასიოლოგიის ინსტიტუტი. ტ. XI. თბ. 2011, გვ. 373-380; კ. ბარამია. „ქართული რეკლამის ისტორიიდან“. ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები.

რამ არის შექმნილი აკადემიური კუთხით. შესაბამისად, დღეს არსებობს იმის საჭიროება, რომ აღნიშნულ საკითხს მეტი ყურადღება მიექცეს და შეისწვლოს ის ძირითადი მახასიათებლები, რომელიც თან სდევდა ქართულ საგაზეთო რეკლამას XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ამ თავში რამოდენიმე ქართული გაზეთის მაგალითზე განხილული იქნება პირველი ქართული ბეჭდური რეკლამის მახასიათებლები. რამდენ ძირითად ნაწილად შეიძლებოდა რეკლამების სახეობების დაყოფა, რა იყო რეკლამების განთავსების ფასები და, რაც მთავარია, რამდენად შეიძლება იმდროინდელი რეკლამების რაოდენობისა და ხარისხის გამოყენება საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის საზომად.

XIX საუკუნის საქართველოში, ისევე როგორც რამოდენიმე საუკუნის წინ ევროპაში, რეკლამის განვითარებას ხელი შეუწყო ბეჭდურმა მედიამ[15]. თავდაპირველად გაზეთები გამოიყენებოდა რიგითი პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული მოვლენების აღსაბეჭდათ. თუმცა XIX საუკუნის მეორე ნახევარში მკაფიოდ იკვეთება გაზეთებში რეკლამების განთავსების ტენდენცია.

პირველი ქართული ბეჭდური რეკლამა 1861 წელს გამოჩნდა პირველ ქართულ სასოფლო-სამეურნეო ორკვირეულ ჟურნალ „გუთნის დედაში“, სადაც აღწერილი იყო გუთნის დედა, რომელსაც თან ახლდა ანოტაცია მოხმარების შესახებ. ასევე, იმპორტული საქონელის ფოტოებიც იყო მოყვანილი: დღეში ცხრა თუნგის მომწველი ფლამანდრული ძროხა[16].

---

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი/მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი. №3. თბ. 2016, გვ. 68-76.

[15] ბევრნი ნამდვილი თანამედროვე რეკლამის წარმოშობას XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ვენეციელ გამომცემელს მანუცის მიაწერენ. მან დაიწყო წიგნების სათაურების ბეჭდვა და მათი თავფურცლების გამოფენა მაღაზიის შესასვლელში. რეკლამის ერთ-ერთ პირველ შემთხვევად ასევე მიჩნეულია 1477 წელს, ინგლისში, უილიამ კეკსტონის მიერ თავისი გამოცემული ლოცვების გასაყიდად გამოქვეყნებული სარეკლამო განცხადება.

[16] ჟურნ. „გუთნის დედა“. №1. 1861, გვ. 1.

მოგვიანო პერიოდში, მაგალითად გაზეთ „ივერიის“ (1877-1906 წწ.) გვერდებზე, უამრავ მასალას ვაწყდებით იმდროინდელი საქართველოს ყოველდღიურ ცხოვრებაზე გამოქვეყნებული განცხადებებისა და რეკლამების მეშვეობით. რეკლამების უმრავლესობა შეეხებოდა მომსახურების სფეროს, სხვადასხვა პროდუქციის იმპორტსა და ადგილობრივ წარმოებას.

დავიწყოთ მომსახურების სფეროთი სადაც იმდროინდელი ტფილისის სასტუმროების რეკლამები ჭარბობდა. მათგან ერთ-ერთი პირველი იყო თანამედროვე რუსთაველის გამზირის №19-ში მდებარე „საბადური“. სასტუმროს აღწერა არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული დეტალების გადმოცემით, თუმცა, ამისგან განსხვავებით, სასტუმრო „პურ-ღვინოს“ აღწერილობა ბევრად მეტ დეტალს იძლევა: „ორი თავი საჭმელი (ორჯერადი კვება – ე. ა.) ჰღირს თვეში 12 მან. სამი თავი - 18 მან. ღვინითა, არყითა და ყავით მსურველებთან განსაკუთრებული და მეტად სახეირო პირობებით შეიძლება მორიგება“[17].


№ 29
20 ივლისი
ივერია
1909 წ.
სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით
Тифлисъ, Гановская ул. д. № 6. К. П. Туманову.

გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთი ნომრის პირველი გვერდი

საინტერესოა 1890-იან წლებში ტფილისში, თანამედროვე რკინიგზის სადგურის მახლობლად მდებარე სასტუმრო „აბაშა“[18].

[17] გაზ. „ივერია“. №179. 1894, გვ. 1.
[18] გაზ. „ივერია“. №145. 1899, გვ. 1.

რეკლამა გვამცნობს, რომ ოთახების ფასი მერყეობდა დღეში 60 კაპიკიდან 1,5 მანეთამდე[19].

პირველი ქართული რეკლამები მაქსიმალურად პოზიტიური და იუმორისტული იყო. ერთერთი რესტორნის მეპატრონემ თავის რესტორანს „ინტელიგენტური“ დაარქვა. „ლაღიძის წყლების“ რეკლამა შემდეგნაირად ჟღერდა: „თუ გინდა იყო ლამაზი ქალი, უნდა დალიო ლაღიძის წყალი“. მოგვიანო პერიოდში „ლაღიძის წყლებმა“ კიდევ ერთი სარეკლამო ფრაზა შეიმუშავეს: „მოითხოვე ყველგან, ერიდე სიყალბეს“. ბრილიანტების ერთ-ერთი მაღაზიის რეკლამა განსაკუთრებით საინტერესოდ ჟღერდა: „მალე ვიკეტებით, ამიტომ გვაქვს ფასდაკლება“.

რეკლამა უკეთდებოდა ასევე უცხოურ ნაწარმსაც: ფეხსაცმელებს, ე. წ. საკერავ და სათიბ მანქანებს, თერძებს და ა. შ. სარეკლამო ტექსტები კი დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო: „ფასები შეუვაჭრებლად“, „სლავიანსკი ნომრები როგორც ოჯახისთვის, ისე უცოლშვილოებისთვის“.

უცხოური პროდუქციის რეკლამებში ისევ გაზეთი „ივერია“ გამოირჩეოდა. მაგალითად, ცნობილი “Nestle”-ს რეკლამა მყიდველს რძის ფხვნილს სთავაზობდა[20]. იმპორტულ პროდუქციაზე საუბარს დავასრულებთ ერთი საინტერესო რეკლამით, რომელიც ჰიგიენას ეხებოდა და მკითხველს სთავაზობდა სადეპილაციო საშუალებას 2,5 მანეთად. ხელსაწყო დამზადებული იყო გერმანიაში, ქალაქ ფრანკფურტში[21]. ასევე გვხვდებოდა პროვიზორ იურგენსის ჰიგიენური ბორნო-ტიმოლის საპონი, რომელიც აქრობდა ჭორფლს, ნასიცხს, სხვადასხვა ლაქებსა და ოფლს[22].

როგორც იმდროინდელი ტფილისური გაზეთებიდან ჩანს, მომსახურების სფერო საკმაოდ დიდ ადგილს იკავებდა ქალაქში. 1890-იანი წლების ტფილისში ასევე იყო სადაზღვევო მომსახურებაც. მაგალითად, იყო ერთი ფრანგული სადაზღვევო კომპანია „ურბენი“, რომელიც 1889 წლიდან შევიდა რუსეთის იმპერიის ბაზარზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ურბენი“ მომხმარებელს

[19] გაზ. „ივერია“. №145. 1899, გვ. 1.
[20] გაზ. „ივერია“. №262. 1888, გვ. 4.
[21] გაზ. „ივერია“. №15. 1891, გვ. 4.
[22] გაზ. „ივერია“. №83. 1900, გვ. 4.

სთავაზობდა სიცოცხლის დაზღვევას[23].

იმავე წელს ისევ გაზეთ „ივერიაში“ იყო გამოქვეყნებული კიდევ ერთი სადაზღვევო კომპანია „იაკორის“ რეკლამა. მას „ურ-ბენისგან“ განსხვავებით მოქმედების უფრო ფართო არეალი გაა-ჩნდა. კომპანია ასევე აზღვევდა ხანძრისგან მიღებულ ზარალს[24].

თუმცა, სავარაუდოდ, ყველაზე ფართო დაზღვევა „როსი-ას“ გააჩნდა, რომლის „ივერიის“ ფურცლებზე შემოთავაზებულ მრავალპუნქტიან პაკეტში სიცოცხლის და ხანძრისგან დაზღვევა ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას წარმოადგენდა[25]. ასევე აღსა-ნიშნავია სანქტ-პეტერბურგის სადაზღვევო კომპანია „ნადეჟდას“ შემოთავაზებები ქართული მოსახლეობისათვის. კომპანია სხვა-დასხვა სახის ტვირთის დიდ მანძილზე გაგზავნისას ხელსაყრელ დაზღვევას უზრუნველყოფდა[26].


(10—3)

მზითევის დაზღვევა.

ამზღვევ საზოგადოებამ „რუსეთმა“ გადაიხადა დაზღვეულ ქალთა სამზითვოდ

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1888 | წლიდგან | 1892 | წლამდე | 108 | ახალგაზრ. ქალთათვის | 226,100 | მან. |
| 1893 | ,, | 1895 | ,, | 326 | ,, | 710,600 | ,, |
| 1896 | ,, | 1898 | ,, | 822 | ,, | 1.694,300 | ,, |
| 1899 | ,, | 1901 | ,, | 1.562 | ,, | 3.087,300 | ,, |

1 იან. 1902 წ. დაზღვეულია სამზითვო 29,742 ახალგაზრდა ქალისთვის 50.311,300 მ.

დაზღვევის სურვილის განცხადებას იღებენ და ყოველგვარ ცნობებს იძლევიან გამგეობაში ს.-პეტერბურგში (Большая Морская, собст. д. № 37.). ტფილისის განყოფილებაში (სერგიევის ქუჩა, სახ. № 6) და საზოგადოების აგენტებისაგან რუ-სეთის იმპერიის ყველა ქალაქებში.
(4—334—4)

ერთ-ერთი სადაზღვევო საზოგადოების რეკლამა

საინტერესოა როგორ გამოიყენებოდა რეკლამა ქალაქში გავრცელებული არასწორი ინფორმაციის აღმოსაფხვრელად. მა-

[23] გაზ. „ივერია“. №142. 1894, გვ. 4.
[24] გაზ. „ივერია“. №151. 1894, გვ. 4.
[25] გაზ. „ივერია“. №137. 1895, გვ. 4.
[26] გაზ. „ივერია“. №13. 1903, გვ. 1.

გალითდ, როდესაც კინემატოგრაფია იქმნებოდა, რასაც საზოგადოება თავიდან შიშით შეხვდა, გავრცელდა ჭორი, რომ ფილმის ყურება თვალებს ატკიებდა. ერთ-ერთი რეკლამა კი ამტკიცებდა, რომ სცენები „თვალებს არ ატკიებს“.

სარეკლამო განცხადებების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში დამზადებულ თუ იმპორტირებულ როგორც საკონდიტრო და სამეურნეო საქონელს, ასევე მუსიკალურ ინსტრუმენტებს შეეხებოდა. რეკლამა დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა სასწავლო კურსზე იწვევდა. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული წარმოების სხვადასხვა სასმელის რეკლამებს და ინფორმაციებს სხვადასხვა ჰიგიენური საშუალებების შესახებ.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ცნობები, რომლებიც გვაძლევს ინფორმაციას იმ წიგნებსა თუ ჟურნალ-გაზეთებზე, რომლებიც ამ პერიოდში იბეჭდებოდა და იყიდებოდა საქართველოსა და მთელი რუსეთის იმპერიის ფარგლებში. ხშირი იყო სომხური ჟურნალ-გაზეთების განცხადებები[27]. უბრალო განცხადებებით ვგებულობდით, თუ საქართველოს რომელი კუთხის რომელ წიგნების მაღაზიაში იყიდებოდა ახლად გამოსული ნაშრომები. ეს ელემენტარული განცხადებები იმითაც გამოირჩევა, რომ ერთ-ერთი პირველი არიან, რომლებიც იბეჭდებოდა 1877 წელს ჯერ კიდევ ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიაში“[28]. გაზეთები გამოიყენებოდა ასევე თეატრალური აფიშების გავრცელებისთვის.

საინტერესოა სხვადასხვა სასწავლებლების – პანსეონებისა და პროგიმნაზიების – რეკლამები. გაზეთ „ივერიაში“ ვხდებით განცხადებას „სასწავლებელი და პანსეონი ჯორჯიკიასი“. რეკლამიდან ირკვევა, რომ ეს სასწავლებელი ერთგვარ მოსამზადებელ დაწესებულებას წარმოადგენდა მათთვის ვისაც სურდა სხვა სასწავლებლებში გაეგრძელებინათ სწავლა[29]. მრავალი იყო კერძო მასწავლებლების და სხვადასხვა ცენტრების განცხადებები, რომლებიც რამოდენიმე საგანაში მოამზადებდნენ ბავშვებს[30].

---

[27] გაზ. „ივერია“. №259. 1886, გვ. 4.

[28] გაზ. „ივერია“. №3. 1877, გვ. 16; გაზ. „ივერია“. №6. 1877, გვ. 16.

[29] გაზ. „ივერია“. №162. 1893, გვ. 1.

[30] გაზ. „ივერია“. №30. 1903, გვ. 4; გაზ. „ივერია“. №42. 1903, გვ. 4.

მრავალფეროვანი იყო „ივერიის“ ფურცლებზე ტფილისში კერძო ექიმებზე გამოქვეყნებული რეკლამები. მაგალითად, მრავალი თვის განმავლობაში გვხვდებოდა შემდეგი რეკლამა: „პირველი კერძო სამკურნალო ექიმი ნავასარდიანისა“[31]. ასევე რეკლამირებული იყო „თფილისის კერძო სამკურნალო მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა“. ირივეგან შეიძლებოდა ვენერული, ყელ-ყურ-ცხვირის და სხვადასხვა დაავადებების მკურნალობა. მომსახურების ფასი ერთ შემთხვევაში 10 შაური იყო, ხოლო, რაც ყველაზე საინტერესოა, ღარიბებისთვის კი უფასო[32]. კიდევ ერთი ექიმი გრძელიშვილი ასევე იღებდა „ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფებს“[33].

ქართული ნაწარმი არც თუ ისე ხშირად გვხდებოდა „ივერიის“ ფურცლებზე და თუ ეს ხდებოდა, პროდუქცია, ძირითადად, ღვინის, კონიაკის[34] ან სიგარეტის წარმოებას ეხებოდა. მაგალითისთვის აღსანიშნავია „კახური ღვინის საწყობი ზაქარ იოსების ძის სიმონოვისა“. განცხადებიდან ვგებულობთ, რომ მომმარაგებლები სოფელ ზემო ხოდაშნიდან იყვნენ და ერთი ბოთლის ფასი 30 კაპიკიდან 1 მანეთამდე მერყეობდა[35]. „პატარა კახის“ სახელით იყიდებოდა კახური ღვინოები და ფასი 15 კაპიკიდან იწყებოდა[36].

მრავლად გვხდება თამბაქოსა და სხვადახვა ზეთიანი საღებავების რეკლამები. მაგალითად, ცნობილი თამბაქოს მწარმოებელი, ტფილისელი ნიკოლაი ბოზარჯიანცი გაზეთებს იყენებდა არა მარტო საკუთარი ნაწარმის პოპულარიზებისთვის, არამედ ცრუ ინფორმაციასთან და არალეგალურ თამბაქოსთან საბრძოლველად. მაგალითად, 1883 წლის 24 სექტემბერს გამოქვეყნდა ბოზარჯიანცის განცხადება, სადაც მწარმოებელი აღნიშნავდა, რომ ბევრი თამბაქოს ფაბრიკანტი ყალბ სახვევებს ამზადებდა და რომ ამიერიდან „ყველანაირი თამბაქო და პაპიროზები

[31] გაზ. „ივერია“. №212. 1894, გვ. 4.
[32] გაზ. „ივერია“. №212. 1894, გვ. 4.
[33] გაზ. „ივერია“. №5. 1900, გვ. 1.
[34] გაზ. „ივერია“. №37. 1903, გვ. 1.
[35] გაზ. „ივერია“. №257. 1886, გვ. 4.
[36] გაზ. „ივერია“. №73. 1900, გვ. 4.

ჩემის ფაბრიკისა გამოვლენ ამავე ნიშნით (ნიშანი 10-შტუკიანი პაპიროსის გასახვევად – ე. ა.).“

რეკლამების განხილვის შემდეგ ნათელია, რომ მათი უმრავლესობა გაზეთის ბოლოს, ძირითადად, მე-4 გვერდზე იყო განთავსებული, რადგან მანდ გამოქვეყნების ფასი ერთი სტრიქონი 8 კაპიკი ღირდა[37]. პირველ გვერდზე რეკლამის განთავსება ერთი სტრიქონი 16 კაპიკს უდრიდა. სრული მეოთხე გვერდის დაკავების შემთხვევაში ფასი მთელ 16 მანეთს აღწევდა. თუმცა ესეც არ იყო რეკლამების განთავსების ფასის ლიმიტი. ასე, მაგალითად, „ივერიის“ სრული პირველი გვერდის დაკავების შემთხვევაში, კლიენტს უნდა გადაეხადა მთელი 60 მანეთი[38]!

გაზეთ „ივერიაში“ განთავსებული რეკლამების ანალიზი კიდევ ერთი საინტერესო დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს. ისევე როგორც თანამედროვე პერიოდში, XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართულ გაზეთებში განთავსებული რეკლაბის რაოდენობა და ხარისხი მეტყველებდა არა მარტო საკუთრივ ჟურნალ-გაზეთების პოპულარობაზე, არამედ იმაზეც, რომ ქვეყანაში ფართო მასშტაბებით ვითარდებოდა მცირე ბიზნესი. ეს არ იყო მხოლოდ ტფილისისთვის დამახასიათებელი. ხშირად გვხვდება ბათუმსა და სხვა ქართულ ქალაქებში ახლად შექმნილი საწარმოებისა თუ პატარა მაღაზიების განცხადებები. რეკლამების რაოდენობა და გაფორმების ხარისხი უდავოდ უნდა მეტყველებდეს იმდროინდელ საქართველოში კაპიტალის ბრუნვის საგრძნობ ზრდაზე. მაგალითისთვის 1880-იანი წლების „ივერიის“ ნომრების უმეტეს ნაწილში იშვიათია ზოგადად რეკლამების განთავსება არა მარტო გაზეთის პირველ, ყველაზე ძვირადღირებულ, არამედ ბოლო მეოთხე გვერდზეც კი.

თუმცა თუ შევადარებთ ამ ნომრებს ამავე „ივერიის“ 1900-იანი წლებისა და მომდევნო პერიოდის ნომრებთან, ნათელია

[37] შედარებისთვის 1880-იან წლებში მოსკოვში გამოცემული «Русский Курьер»-ი თავის მეოთხე გვერდზე რეკლამის გასანთავსებლად ერთ სტრიქონს აფასებდა 10 კაპიკათ, ხოლო პირველზე ფასი 20 კაპიკს აღწევდა. 10%-იანი დანამატი იყო იმ შემთხვევაში თუ კლიენტს სურდა განცხადების შელამაზება (გაზ. „ივერია“. №61. 1886, გვ. 4.)

[38] გაზ. „ივერია“. №257. 1886, გვ. 4; გაზ. „ივერია“. №151. 1894, გვ. 4.

მკვეთრი სხვაობა რეკლამების რაოდენობასა და ხარისხში. დაახლოებით 1900 წლიდან „ივერიის“ თითქმის ყოველი ნომრის პირველი გვერდის ნახევარი ძვირადღირებული რეკლამებით იყო სავსე. იგივეს თქმა შეიძლება ბოლო, მეოთხე გვერდზეც, სადაც ასევე მრავლად იყო განთავსებული სხვადასხვა განცხადებები/რეკლამები. აღნიშნული პერიოდის ნომრებისთვის აგრეთვე დამახასიათებელია რეკლამების საკმაოდ მდიდრული გაფორმება[39], რაც მეტ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

უფრო მეტიც, „ივერიის“ მოგვიანო ნომრებში რეკლამების რაოდენობა პირველსა და ბოლო გვერდებზე უფრო მატულობს, რაც მეტყველებს ბიზნესის დონეზე იმდროინდელ საქართველოში და გარკვეულწილად შეიძლება აღებულ იქნას მცირე ქართული ბიზნესის კეთილდღეობის ერთგვარ ინდიკატორად[40].

XX საუკუნის დასაწყისში რეკლამები თავსდებოდა უკვე რეგიონულ პრესაშიც. ამით გამოირჩეოდა გაზეთი „იმერეთი“[41], რომლის ერთ-ერთ ნომერში აბანოში განსაბანად გვეპატიჟებიან[42]. ასევე მრავლად იყო სხვადასხვა სახის „მაშინები“ (საკერავი და საწერი)[43].

ხშირად გვხვდება ფეხსაცმლის თუ აბრეშუმეობის რეკლამა, მინაწერებით – „ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია“ ან „ფასები შეუვაჭრებლად“ („განსაკუთრებით ქალების კასტიუმებისთვის“). გვხვდება ასეთებიც: „პირდაპირ ნახევარ ფასად იყიდება“[44]. ერთი რეკლამის განცხადება განსაკუთრებით საინტერესოდ ჟღერს, როდესაც ავტორი გოგირდის წყლის შესაძენად კლიენტებს პროდუქტს „ძლიერ ზომიერ ფასად“ სთავაზობს[45].

---

39 გაზ. „ივერია“. №67. 1900, გვ. 4.

40 გაზ. „ივერია“. №18. 1903, გვ. 1-4.

41 ყოველდღიური გაზეთი “იმერეთი” გამოდიოდა ქუთაისში, 1912-1915 წლებში. გაზეთის პირველი ოფიციალური რედაქტორები გ. ჭელიძე (1912-1914 წწ.) და ბ. ჯაიანი (1914 წ. №87-დან) იყვნენ.

42 გაზ. „იმერეთი“. №161. 1913, გვ. 4.

43 გაზ. „იმერეთი“. №85. 1914, გვ. 4.

44 გაზ. „იმერეთი“. №169. 1913, გვ. 1.

45 გაზ. „იმერეთი“. №85. 1914, გვ. 4.




საკერავი მანქანა
„ზინგერის“ რეკლამა

1912 წლის „იმერეთის“ ერთ-ერთ ნომერში ჩნდება განცხადება: „იყიდება შანტეკლერის კაბა, კაბის ქსოვილი“. „იმერეთის“ ნომრები გამოირჩეოდა ვიზუალური გაფორმებით და აღსანიშნავია ის, რომ მაშინ საერთოდ არ არსებობდა ანტირეკლამა. აქაც, ისევე როგორც „ივერიის“ და სხვა გაზეთების ფურცლებზე რეკლამების უმეტესობა ბოლო გვერდზე იყო განთავსებული. თუმცა პირველი გვერდიც

გაზეთ „იმერეთის“ ერთ-ერთი ნომრის პირველი გვერდი გამოირჩოდა რეკლამების რაოდენობითა და ხარისხით. „იმერეთის“ ფურცლებიდან ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ მცირე ბიზნესი, ტფილისის გარდა, ფართოდ ვითარდებოდა სხვადასხვა რეგიონში: იხსნებოდა მაღაზიები და დიდი იყო უცხოურ ნაწარმზე მოთხოვნა.

„იმერეთში“ გამოქვეყნებული რეკლამების რაოდენობა ხშირად აღემატებოდა „ივერიისას“, ხოლო განცხადებების სტილი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო[46]. რეკლამების მოხატულობა სულ უფრო ვითარდებოდა. ხშირი იყო შამპანურის ბოთლის რეკლამირებისას საკუთრივ შამპანურის ბოთლის დახატვა. უფრო მეტიც, „იმერეთის“ ზოგ ნომერში რთული ნავთის ლამპების მო-

[46] გაზ. „იმერეთი“. №140. 1913, გვ. 1-4.

ხატულობაც კი იყო დატანილი[47].

ასე, პირველი ქართული რეკლამები გამოირჩეოდა განსაკუთრებული კრეატივით. ვიზუალური მხარე ბევრ რეკლამას საკმაოდ მდიდარი ჰქონდა, ხოლო ზოგი მხოლოდ ერთი წინადადებით შემოიფარგლებოდა. თუმცა „ივერიისა“ და „იმერეთის“ განხილვა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ რეკლამის განმთავსებლები გაზეთების რედაქტორებთან ერთად საკმაოდ საინტერესო ფრაზებს ირჩევდნენ მკითხველის მოსაზიდათ. გაზეთები ასევე მეტყველებს იმაზე, რომ ქართული რეკლამა საკმაოდ ფართოდგამოყენებადი გახდა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში. ეს გარკვეულწილად მეტყველებს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე იმდროინდელ საქართველოში. რეკლამების განხილვა ასევე მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო, თავისი ადგილმდებარეობის მიუხედავად, საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმდროინდელ ევროპულ და რუსულ ქალაქებთან.

უფრო მეტიც, განხილულ გაზეთებში გამოქვეყნებული რეკლამების რაოდენობისა და ხარისხის ამ მოკლე ანალიზით ნათელია, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნის საქართველოში მცირე ბიზნესი საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა.


იმერეთი
ქალაქის თეატრი
კონცერტი
1913 იმერეთი
პაროლი

გაზეთ „იმერეთის“ ერთ-ერთი ნომრის პირველი გვერდი

[47] გაზ. „იმერეთი“. №26. 1913, გვ. 4.

# თავი III

## ჭიათურის მანგანუმი – ქართული „შავი ქვის[48]“ ისტორია

XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის (1855-1881 წწ.) მიერ ჩატარებულმა ეკონომიკურმა და სოციალურმა რეფორმებმა მრავალი დადებითი შედეგი გამოიღო. საგლეხო რეფორმამ ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის ნგრევა გამოიწვია, რამაც, რუსეთის იმპერიაში, მათ შორის საქართველოში, კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება დააჩქარა. ვითარდებოდა მცირე მრეწველობა, შეიქმნა მრავალი სავაჭრო ცენტრი, აშენდა რკინიგზები, ხოლო უცხოეთიდან ფართოდ შემოდიოდა მსხვილი ინვესტიციები. საქართველოს ამ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკავა სამთამადნო მრეწველობას, რომლის ცენტრად ჭიათურა იქცა.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან უწინდელი არგვეთის საერისთავო ცნობილი გახდა, როგორც მანგანუმის საბადოს მდიდარი კერა. ყველაფერი კი 1845 წელს დაიწყო, როდესაც რუსულ „სამთო ჟურნალში“ ჭიათურის მანგანუმის შესახებ პირველი სტატია დაიბეჭდა. ჭიათურის მანგანუმის მეცნიერული შესწავლის ფუძემდებლად ითვლება ცნობილი გერმანელი გეოლოგი, აკადემიკოსი ჰერმან აბიხი. 1846 წელს აბიხი, რომელიც კავკასიის გეოლოგიურ შესწავლას აწარმოებდა[49], ადგილზე გაეცნო მანგანუმის საბადოს და ამის თაობაზე 1849 წელს მეფისნაცვლის კანცელარიას წარუდგინა

[48] „როგორ გაჩნდა ქართველებში გამოთქმა: „შავი ქვა“. გაზ. „ივერია“ №224. 1889, გვ. 1-2.

[49] რ. დავიდოვი. „ვილჰელმ ჰერმან აბახი, აკაკი, ილია და ჭიათურის მანგანუმი“. გაზ. „სახალხო განათლება“. 1989. 21 ივნისი, გვ. 8.



ჰერმან აბიხი (1806-1886 წწ.)

მოხსენებითი ბარათი. 1858 წელს იმავე „სამთო ჟურნალში“ აბიხმა ვრცელი გამოკვლევა გამოაქვეყნა ჭიათურის საბადოზე. გამოკვლევების მიუხედავად, ბუნების ეს სიმდიდრე ხელუხებელი რჩებოდა, ვიდრე აკაკი წერეთლის უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით არ დაიწყო ჭიათურის მანგანუმის საბადოს გეოლოგიური გამოკვლევა და შემდეგ უკვე მადნის დამუშავება[50]. 1872 წელს,

[50] ა. თელია. „აკაკი და ჭიათურის მანგანუმი“. ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“. №10. 1990, გვ. 10-14. იხ. ასევე ს. ჯაფარიძე. „იყავნ ქალაქი: ჭიათურის მანგანუმის მადნის საბადოს აღმომჩენი აკაკი წერეთელი და მადნის წარმოების ისტორია“. ჟურნ. „საქართველოს ბუნება“. №4. 1989, გვ. 5-7; ალ. კოჭლავაშვილი. „აკაკი წერეთელი და საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი: ჭიათურის შავი ქვა და ინტერესი ოქროს საბადოებისადმი“

აკაკის უშუალო თხოვნით, ჭიათურის საბადო შეისწავლა მისმა ახლო მეგობარმა, გეოლოგმა სპირიდონ სიმონოვიჩმა (წარმოშობით სერბ სიმონოვიჩს გეოლოგიის დოქტორის ხარისხი ჰქონდა მოპოვებული). მისი მოხსენების საფუძველზე კავკასიის სამთო სამმართველომ ჭიათურაში მიავლინა სხვა სპეციალისტებიც, რომლებმაც საბადო დეტალურად შეისწავლეს და შედეგებიც გამოაქვეყნეს.

უცხოელების დაინტერესების მიზნით წერეთელმა სიმონოვიჩთან ერთად ჭიათურის საბადოს შესახებ ბროშურა შეადგინა და პეტერბურგში გამოსცა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულსა და რუსულ ენებზე[51]. მადნის მოპოვება, მისი ხელსაყრელი ბუნებრივი განლაგების გამო, შესაძლებელი იყო რთული ტექნიკის გარეშე. 1879 წელს მადნის მოპოვების დაწყებამ განაპირობა ჭიათურის სახელით ცნობილი დასახლების/სოფლის აშენება, რომელიც მრეწველობის ამ დარგის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა, ქალაქად კი 1921 წელს გამოცხადდა. შეიძლება ითქვას, რომ მადნის მოპოვების ისტორია თვით ქალაქ ჭიათურის ისტორიაცაა. „იქ, სადაც დღეს არც გზაა და არც კვალი, რკინიგზა მოვა, ეს უდაბნო, ჭიათურა, გაშენდება“, – წერდა აკაკი.

როგორც ითქვა, მადნის დამუშავება 1879 წელს დაიწყო, როდესაც ჭიათურაში ჩამოვიდნენ კრუპის ქარხნის, აგრეთვე ვესტფალიაში რკინის მაღაროების “Gute Hoffnung”-ისა და პეტერბურგის სავაჭრო სახლის „ვახტერისა და კომპანიის“ წარმომადგენლები და იმავე წელს ამოიღეს 54 ათასი ფუთი მანგანუმი[52]. მანგანუმის დამუშავებაში აგრეთვე ჩართულნი იყვნენ ადგილობრივი მეწარმეებიც, მაგალითად, მანგანუმის მომპოვებელი საზოგადოება „იმერეთი“, რომელშიც შედიოდნენ მრეწველები: ჩუბინიძე, მოსე-

---

ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“. №9, 1960, გვ. 7-10.

51 ე. ავდალიანი. „ჭიათურის მანგანუმი – ქართული „შავი ოქროს“ ისტორია“. ჟურნ. “Forbes Georgia”. №19. 2013, გვ. 104-106.

52 ზოგადად ჭიათურის მანგანუმის ამოღებაში არსებულ რუსულ კაპიტალზე იხ. ლ. მუმლაძე. „რუსული კაპიტალის როლი რევოლუციამდელი ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში: 1879-1921. გაზ. „ჭიათურის მაღაროელი“. 1981. 21 ოქტომბერი.

შვილი, გამყრელიძე და სხვები[53]. მანგანუმის ამოღება ხდებოდა ძირითადად შორაპნის მაზრაში მდინარე ყვირილის ორივე ნაპირზე, დაახლოებით, 126,5 კვ. კილომეტრის ფართობზე. ცენტრი იყო სოფელი ჭიათურა. მთლიანად მანგანუმის მოპოვების აუზი, გარდა ჭიათურისა კიდევ რვა სოფლისგან შედგებოდა: რგანი, თაბაჩები, მღვიმევი, დარკვეთი, პერევისი, შუქრუთი და ითხვისი.

ჭიათურის მანგანუმის 54 ტონა, რომელიც პირველად იქნა გატანილი მსოფლიო ბაზარზე, გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით და დიდი ინტერესი გამოიწვია ისეთ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა ინგლისი, აშშ, ბელგია, გერმანია და საფრანგეთი. 1889 წელს მოპოვებულ იქნა 3686 ფუთი (60376.68 კგ.); 1890 – 10 468 ფუთი (171465.84 კგ.); 1900 – 40 363 ფუთი (661145.94 კგ.). ამრიგად 21 წლის მანძილზე (1879-1900 წწ.) მანგანუმის მოპოვება 748-ჯერ გაიზარდა. XIX საუკუნის მიწურულისთვის დიდი მასშტაბით გაჰქონდათ მადანი სამრეწველო ფირმებს და კერძო ბიზნესმენებს: „შუტც და ციმერმანს“, პანასიეს, ძმებ ოგანეზოვებს, გ. ემერიკს; ადგილობრივ მრეწველთაგან – პ. წულუკიძეს. აგრეთვე მანგანუმის მოპოვებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ინგლისური ფირმები: „გარდნერი“, „კიტელი და კომპანია“, გერმანული ფირმა „შალკე“. 1900 წელს ფრანგულმა ანონიმურმა საზოგადოებამ სოფელ დარკვეთში დაიწყო გამამდიდრებელი ქარხნის აგება. 1914 წლამდე ჭიათურის მადნის უმსხვილესი იმპორტიორი გერმანია იყო, რომელზეც მოდიოდა მთელი ექსპორტის 43%, ინგლისზე – 23%, ბელგიაზე – 14%, აშშ-ზე 6%, საფრანგეთზე – 5%. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლების მიწურულსა და 1900-იანი წლების დასაწყისში ჭიათურის მანგანუმის ხვედრითმა წილმა მსოფლიო ექსპორტში 54,4% მიაღწია, რაც რუსეთის იმპერიაში ამოღებული მადნის 75% შეადგენდა. დანარჩენი 25% მოდიოდა ურალზე, დასავლეთ ციმბირსა და სხვა რაიონებზე[54]. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ გამოიწვია მადნის ექსპორტის შეწყვეტა გერმანიაში, იმავე წელს დარდანელის სრუტის დაკეტვამ

[53] „იმერეთის“ გარდა ასევე არსებობდა ჭიათურის მწარმოებელთა ამხანაგობა „შავი ქვა“, იხ. გაზ. „ცნობის ფურცელი“. №1676. 1901, გვ. 4-5.

[54] ე. ავდალიანი. „ჭიათურის მანგანუმი – ქართული „შავი ოქროს“ ისტორია“. ჟურნ. “Forbes Georgia”. №19. 2013, გვ. 104-106.

კი – სხვა ქვეყნებში[55]. ექსპორტის შემცირება აგრეთვე გამოწვეული იყო რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყებითა და საქართველოს ხელისუფლებაში მენშევიკური მთავრობის მოსვლით[56]. ამ ტენდენციის უმთავრესი გამომწვევი მიზეზი კი ალბათ ინდოეთში, ბრაზილიასა და სამხრეთ აფრიკაში მანგანუმის ახალი საბადოების ექსპლუატაცია იყო[57]. მაგალითად, თუ 1900 წელს მსოფლიოში მანგანუმის მოპოვებაში საქართველოს წილი 54,4% იყო, 1917 წელს ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პროცენტული მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა და 1925 წლისთვის მხოლოდ 18,8% უდრიდა[58]. მდგომარეობა ნაწილობრივ მხოლოდ 1930 წელს შეიცვალა, როდესაც მაჩვენებელი 28,6% მიაღწია.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდში (1918-1921 წწ.), კერძოდ კი 1920 წლის ივნისში ჩამოყალიბდა მანგანუმის მადნის საექსპორტო საზოგადოება „ჩემო", რომელმაც ადგილობრივი სააქციო საზოგადოებები გააერთიანა. 1925 წელს „ჩემომ" შეწყვიტა არსებობა და 12 ივნისს მანგანუმის საბადოს კონცესია გადაეცა ამერიკულ ფირმა „ჰარიმანს"[59]. ჭიათურაში მანგანუმის გარდა ასევე მოიპოვებდნენ კვარცის ქვიშას, რომელიც საუკეთესო მასალაა შენობების ასაგებად. 1928 წლის აგვისტოში „ჭიათურმანგანუმის" ტრესტი შეიქმნა. საბჭოთა კავშირში მეტალურგიის სწრაფმა განვითარებამ და ექსპორტის ზრდამ ჭიათურის მანგანუმის მეურნეობის ძირფესვიანად გარდაქმნა და ახალი ტექნიკური საჭუალებებით აღჭურვა მოითხოვა. აშენდა მადნის ახალი მომპოვებელი კომპლექსები[60].

[55] ვ. ჭანიშვილი. ჭიათურის მანგანუმის მადნის წარმოება პირველი მსოფლიო იმპერიალიტური ომის წლებში. გაზ. „ჭიათურელი მაღაროელი". 1978. 18 მაისი.

[56] თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოების დაცემა უფრო ადრეც შეინიშნა. მაგალითად, იხ. გაზ. „ნაპერწკალი". №19. 1908, გვ. 2-3.

[57] ფასების საინტერესო შედარებაა მოყვანილი შემდეგ წყაროში: „ჭიათურის შავი ქვა: ინდოეთის მარაზილისდა ჭიათურის შავი ქვის ღირებულებათა შედერება". გაზ. „კომუნისტი". 1923. 13 ივლისი, გვ. 2.

[58] ვ. ჭანიშვილი. ჭიათურის მანგანუმის მადნის წარმოება საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების არსებობის წლებში. გაზ. „ჭიათურის მაღაროელი". 1978. 7 ივნისი.

[59] ზ. კობახიძე. ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის ერთი კონცესიის ისტორიისათვის (1925-1928 წწ.). თბ. 1995.

[60] გაზ. „კომუნისტი". 1929. 16 ივნისი, გვ. 4.

1933 წელს მწყობრში ჩადგა ზესტაფონის ფეროშენადობთა ქარხანა, რამაც მანგანუმის მადანზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაზარდა. 1935 წელს, ჭიათურაში ბურღვა-აფეთქების სამუშაოების გაფართოების მიზნით შემოზიდეს ფირმა „სიმენს-შუკერტის“ ელექტრობურღები.

ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების შემცირებასთან ერთად, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუარესდა ჭიათურის მანგანუმის მადნის ხარისხიც. მაგალითად, თუ 1934 წელს მადნის ხარისხი შეადგენდა 43,5%-ს, 1946 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 33,3%-მდე, 1955 წელს კი – 29,7%-მდე. შესაბამისად შემცირდა მაღალი ხარისხის კონცენტრატების გამოსავალი 36,1%-დან 19,4%-მდე. ამასთანავე მანგანუმის რაოდენობა მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად აღემატებოდა მის მოთხოვნებს, რამაც მკვეთრად გაზარდა კონკურენცია ქვეყნებს შორის.

1949 წელს დაიწყო და 1957 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ფართოლიანდაგიანი რკინიგზა, როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო მიმოსვლისათვის. ნელ-ნელა მოწესრიგდა ინფრასტრუქტურაც, კერძოდ, 1954 წელს ჭიათურელი კონსტრუქტორის გ. ფანცულაიას თაოსნობით პირველი საბაგირო გზა აშენდა (აღსანიშნავია, რომ მისი უშუალო მონაწილეობით დაპროექტდა მთაწმინდის, დიდუბის, ბორჯომის, აბასთუმნისა და სიგულდის (ლატვია) კიდული საბაგირო გზები).

## სამუშაო პირობები

მიუხედავად 1880-1900 წლებში მადნის მოპოვების ზრდისა, ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში ტექნიკის დანერგვა მეტად დაბალ დონეზე იდგა. შესაბამისად, ეს უბანი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ სამრეწველო ადგილად იყო მიჩნეული. მანგანუმის წარმოება დიდი ხნის განმავლობაში კუსტარულ ხასიათს ატარებდა, ამასთანავე ზოგი საწარმო წმინდა მანუფაქტურული ტიპისა იყო. მადნის ამოღების ზრდასთან ერთად მატულობდა მუშათა რაოდენობა: 1880 წელს – 217; 1896 – 1704; 1900 – 3702 მუშა[61].

[61] ე. ავდალიანი. „ჭიათურის მანგანუმი – ქართული „შავი ოქროს“



მუშები ჭიათურაში მანგანუმის მოპოვებისას

მუშათა მდგომარეობა უაღრესად მძიმე იყო[62]. უცხოელი მომპოვებელნი სრულიად არ ზრუნავდნენ მათთვის საბინაო პირობების შექმნაზე. მუშები უმთავრესად ბარაკებსა და ფაცხებში ცხოვრობდნენ. მოგვიანებით აშენდა ყაზარმები, სადაც ერთ ოთახში (ვენტილაციის გარეშე) 15-20 მუშა ცხოვრობდა. მუშები იწვნენ დაფლეთილ ლოგინებში ხის საერთო საწოლებზე, ხოლო სახურავების უვარგისობის გამო ყაზარმებში წვიმა ჩამოდიოდა. ასევე ძალიან ცუდი იყო მუშათა საწარმოო პირობები[63]. მუშებს ყოველ წუთში საფრთხე ემუქრებოდათ გვირაბების მოსალოდნელი ჩამონგრევის გამო[64]. მაღაროებში ძირითადად ხმარობდნენ წერაქვსა და ნიჩაბს. მადნის გამოტანა ხდებოდა ურიკებით, ანდა რონოდებით, რომლებიც მოძრაობაში მოჰყავდათ მუშებს ან ცხენს[65]. 1895 წლამდე, ჭიათურის რკინიგზის შტოს გაყვანამდე, მადნის გადაზიდვა რკინიგზის უახლოეს შორაპნის სადგურამდე საჭაპანო და საპალნე ტრანსპო-

ისტორია“. ჟურნ. “Forbes Georgia”. №19. 2013, გვ. 104-106.

62 გაზ. „მერცხალი“. №2. 1908, გვ. 3; გაზ. „ცისარტყელა“. №6. 1907, გვ. 4; ჟურნ. „მეურნე“. №6. 1897, გვ. 5-6.

63 გაზ. „ივერია“. №223. 1888, გვ. 2

64 არსებულ სამედიცინო პირობებზე იხილეთ გაზ. „მერცხალი“. №8. 1908, გვ. 3. მუშებისთვის განკუთვნილ საავადმყოფო შესახებ იხ. გაზ. „კვალი“. №3. 1901, გვ. 40-41.

65 გაზ. „ივერია“. №153. 1886, გვ. 1-2.

რტით ხდებოდა[66].

მუშების ნაწილი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა, ბინის ქირა კი ძალიან ძვირი იყო და ზორჯერ მუშის ხელფასის 2/5 აღემატებოდა. აღსანიშნავია, რომ მუშათა შრომის ანაზღაურება თანდათან მცირდებოდა. მრეწველები რკინიგზის მაღალი ტარიფის გამო ხარჯების ანაზღაურების მიზნით ამცირებდნენ მუშათა ხელფასს. 1909 წლისთვის მნგრეველების ხელფასი 1 მანეთსა და 35 კაპიკს შეადგენდა, ხოლო მზიდავებისა – 1 მანეთსა და 20 კაპიკს, გადამჩევლების ხელფასი იყო 50-80 კაპიკი. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ხშირად მუშას სხვადასხვა გადასახადის გამო ხელფასის 20-40% მრეწველისთვის უნდა დაეტოვებინა[67].

და ბოლოს, აღსანიშნავია ისიც, რომ XIX საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან საქართველოს მრეწველობაში ფეხი მოიკიდა მუშათა ექსპლუატაციის ისეთმა მძიმე ფორმამ, როგორიც იყო ე. წ. „სანარდო სისტემა“. მუშები იძულებული იყვნენ დამატებითი საათები ემუშავათ და არსებული ცნობების მიხედვით ჭიათურის მრეწველობაში სამუშაო დღე 16-18 საათს გრძელდებოდა.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჭიათურის მანგანუმის მოპოვების წამოწყება, ზოგადად, XIX საუკუნის ბოლო ათწლეულების რუსეთის იმპერიაში, კერძოდ კი საქართველოში, ეკონომიკური პროგრესის ლოგიკური შედეგი იყო. მეორე მხრივ, რუსეთის ინდუსტრიული ჩამორჩენილობა მის მეტად მოუხერხებელ სახელმწიფოებრივ ბიუროკრატიულ აპარატთან ერთად, არ იძლეოდა ახლად აღმოჩენილი ჭიათურის მანგანუმის სწრაფად და ეფექტიანად დამუშავების საშუალებას. შედეგად, ჭიათურის მანგანუმს წარმატებული კონკურენცია გაუწია მსოფლიოს სხვა ადგილებში აღმოჩენილმა მადანმა.

---

[66] გაზ. „კვალი“. №17. 1903, გვ. 2-3. ასევე იყო ისეთი პრობლემები, როგორებიცაა ვაგონების ნაკლებობა, იხ. გაზ. „შრომა“. №37. 1906, გვ. 3. გაზ. „ტალღა“. №39. 1906, გვ. 3.

[67] ე. ავდალიანი. „ჭიათურის მანგანუმი – ქართული „შავი ოქროს“ ისტორია“. ჟურნ. “Forbes Georgia”. №19. 2013, გვ. 106.

# თავი IV

## ძმები სიმენსები საქართველოში

„იძებნება 2-3-ოთახიანი ბინა სოლოლაკში, ერთი მოსახლისათვის. მსურველები ინფორმაციისთვის დაუკავშირდნენ ძმებ სიმენსების კანტორას“, – ზემომოყვანილი განცხადება 1868 წლის 17 ნოემბერს, გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა[68]. თავისუფალი ბინა სოლოლაკში, მაშინდელ სადოვაიას (ახლანდელი ასათიანის ქუჩა) №30-ში აღმოჩნდა და ცოტამ თუ იცის, რომ დამქირავებელნი მრავალი წლის განმავლობაში კომპანია „სიმენსის“ დამფუძნებლები, ძმები სიმენსები იყვნენ[69].



ძმები სიმენსები

[68] ე. ავდალიანი. „ევროპისა და აზიის დაკავშირება – ძმები სიმენსები საქართველოში“. ჟურნ. “Forbes Georgia”. №16. 2013, გვ. 100-102.

[69] ა. კარბელაშვილი. „ძმები სიმენსები საქართველოში“. ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“. №7. 1981, გვ. 57-61.

„სიმენსი“ 1847 წელს დააარსა ბერლინის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორმა, ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, გამოჩენილმა გამომგონებელმა ვერნერ სიმენსმა თავის მეგობარ იოჰან გეორგ ჰალსკესთან ერთად. სიმენსების ოჯახი, სადაც რვა ძმა (ვერნერი, ჰანსი, ფერდინანდი, უილიამი, ფრიდრიხი, კარლი, ვალტერი და ოტო) იზრდებოდა, ჰანოვერის მახლობლად, ლენთეში ცხოვრობდა. ბედის ირონიით ვერნერს საუნივერსიტეტო განათლებაც კი არ მიუღია და მთელი თავისი ტექნიკური ცოდნა სამხედრო-საარტილერიო კოლეჯში შეიძინა.

ფირმის განვითარების პირველ სტადიაში აქტიურ როლს თამაშობდნენ მისი ძმები ვალტერი, კარლი, უილიამი, ოტო და ასევე ნათესავები გეორგ და ფრიდრიხ სიმენსები. უილიამთან ერთად ვერნერმა გამოიგონა ინერტული რეგულატორი ორთქლის ძრავასთვის. აგრეთვე მუშაობდა ტელეგრაფის, ელექტრული განათების, ელექტროსადგურების საკითხებზე. შექმნა პირველი „ელექტრული რკინიგზა“ – ტრამვაი, აგრეთვე პირველი ლიფტი. მაგრამ „სიმენსის“ აღმავლობის საწინდარი ერთსა და იმავე წელს ისრიანი ტელეგრაფისა და სპილენძის სადენებზე რეზინის იზოლაციის ზედსადები მანქანის შექმნა გახდა. 1877 წელს კი ფილიპ რეისის და ალექსანდრ გრეჰემ ბელის ტელეფონის გამოგონების საფუძველზე, ვერნერ სიმენსმა საკუთარი ტელეფონის აპარატი შექმნა[70].

## „რუსეთი ის ქვეყანაა, სადაც შესაძლებელია ფულის შოვნა...“

XIX საუკუნის რუსეთის იმპერია უმეტესად აგრარული ქვეყანა იყო. 1860-იან წლებში იმპერატორ ალექსანდრე II-ის მიერ გატარებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმებმა მხოლოდ

[70] ე. ავდალიანი. „ევროპისა და აზიის დაკავშირება – ძმები სიმენსები საქართველოში“. ჟურნ. “Forbes Georgia”. №16. 2013, გვ. 100-102.

ნაწილობრივ გააუმჯობესეს იმპერიის შიდა მდგომარეობა. განვითარების ტემპები საგრძნობლად ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპისას და ამიტომაც რუსეთის მმართველი ელიტა ყველანაირად ხელს უწყობდა ევროპიდან კაპიტალის მოზიდვას იმპერიის არსებული ბუნებრივი რესურსების ასათვისებლად და საერთო ინდუსტრიული პოტენციალის ასამაღლებლად. ძმები სიმენსები, ნობელების ოჯახი და სხვები, უცხოელი ინვესტორების ზუსტად ამ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ.


ვერნერ სიმენსი **(1816-1892** წწ.**)**

„სიმენსის" გაფართოება რუსეთიდან მომდინარე შეკვეთებით იყო განპირობებული. „რუსეთი ის ქვეყანაა, სადაც შესაძლებელია ფულის შოვნა, თუ მისი კარგად გესმის. შენ უნდა შეიძინო მანდ მეგობრები და ნაცნობები", – ასე წერდა ბერლინიდან ვერნერ სიმენსი თავის ძმა კარლს პეტერბურგში. ხაზები სანქტ-პეტერბურგსა და ცარსკოე სელოს (რომანოვების რეზიდენცია) შორის, წყალქვეშა კაბელი პეტერბურგთან მდებარე კუნძულ კრონშტადტიდან, ეს იმ შეკვეთების მცირე ნაწილია, რომლებითაც სიმენსებმა უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმული იმპერიის მთავარი ქალაქების დაკავშირება მოახერხეს[71].

ძმები სიმენსების რუსეთში საქმიანობის დიდ ნაწილს

[71] ე. ავდალიანი. „ევროპისა და აზიის დაკავშირება – ძმები სიმენსები საქართველოში". ჟურნ. "Forbes Georgia". №16. 2013, გვ. 100-102.

მათი ამიერკავკასიაში საქმიანობა წარმოადგენდა. ესმოდათ რა, როგორი მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობა ჰქონდა ტფილისს, როგორც მთელი კავკასიის ცენტრს, ხოლო კავკასიას, როგორც ევროპისა და აზიის შემაერთებელ რეგიონს, მათ ვენისა და სანქტ-პეტერბურგის შემდეგ თავიანთი ერთ-ერთი პირველი ფილიალი სწორედ ტფილისში დააფუძნეს[72]. ქალაქის ადგილმდებარეობა შესაძლებელს ხდიდა ტფილისიდან ახლო აღმოსავლეთსა და შორეულ ინდოეთთან კავშირის გაბმას. სიმენსებმა ასევე ფოთისა და ბათუმის პორტების პოტენციალი გამოიყენეს საქართველოსა და თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოპოვებული ნაწარმის ევროპაში საექსპორტოდ.



გრიგოლ ორბელიანი
**(1804-1883 წწ.)**

1858 წელს, გრიგოლ ორბელიანის[73] მიერ ხელმოწერილი კონტრაქტის საფუძველზე, სამხრეთ კავკასიაში გაიყვანეს პირველი ტელეგრაფი კოჯორი-ტფილისი. შემდგომ პერიოდში, კერძოდ კი 1860 წელს, ვერნერის ძმა, ვალტერი, უშუალოდ ხელმძღვანელობდა ტელეგრაფის ხაზის – ტფილის-ქუთაის-ფოთის, (ბორჯომის განშტოებით) გაყვანას. 1862 წლის 2 მარტს კი იმავე ვალტერ სიმენსსა და ორბელიანს შორის დადებული ხელშეკრულებით, დაიწყო ტფილის-მოსკოვის ტელეგრაფის მშენებლობა[74]. ამავე წლის დამლევს პირველი დეპეშები გაიცვალა სტავროპოლთან, შემდეგ ნოვოჩერკასკთან, ხოლო

[72] ზოგადად კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში გერმანული კაპიტალის შესახებ იხ. Н. Л. Наниташвили. Германский капитал в Закавказье: Деятельность фирмы «Сименс и Гальске». Тбилиси. 1982.

[73] ა. კარბელაშვილი. „გრიგოლ ორბელიანი და სიმენსები“. გაზ. „პრეს-კურიერი“. №3-4. 1997, გვ. 213-214.

[74] ა. ცისკარიძე. „ძმები სიმენსები თბილისში“. გაზ. „თბილისი“. 1980. 27 აგვისტო.

1863 წელს – მოსკოვთან. დიდ ქალაქებთან კავშირის გაბმის მნიშვნელობაზე იმავე წელს ილია ჭავჭავაძის ჟურნალ „საქართველოს მოამბეში" ვკითხულობთ: „ამბობენ, რომ წელსვე მიიტანენ ამ მავრთულს როსტოვის ქალაქამდე, რომელიც შეერთებულია პეტერბურგთან ტელეგრაფით. ამნაირად ჩვენი ქალაქი შეერთებული იქნება ტელეგრაფით ევროპის ყველა ქალაქთან." 1865 წელს ფირმამ გაიყვანა ტელეგრაფი ტფილისი-ერევანი-ჯულფა[75] (თანამედროვე აზერბაიჯანში შემავალი ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში მდებარე ქალაქი), რითაც რუსეთი უშუალოდ სპარსეთს დაუკავშირდა. 1868 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცა ხაზი ტფილისი-ბაქო, თემურხან-შუშას განშტოებით[76].

1867 წელს „სიმენსმა" თავის ბერლინის, ლონდონისა და პეტერბურგის კომპანიებთან ერთად მუშაობა დაიწყო სატელეგრაფო ხაზზე ლონდონი-კალკუტა[77]. ამასთან დაკავშირებით 1869 წელს საქართველოში ჩამოვიდა კარლ სიმენსი და ჩამოიტანა ტელეგრაფის შავ ზღვაში გასატარებელი წყალქვეშა კაბელი. აღსანიშნავია ისიც, რომ კარლმა ლონდონში დამზადებული მიწისქვეშა მოსკოვი-ტფილისის კაბელის ნაწილიც ჩამოიტანა. ამ პროექტზე მუშაობა 1880-1881 წლებში დასრულდა, თუმცა ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ ხშირი იყო შეფერხებები ზამთარში კობი-გუდაურის მონაკვეთზე. სამუშაოები 1870 წელს დასრულდა, რითაც მსოფლიოში ყველაზე გრძელი სახმელეთო ხაზის, ეგრეთ წოდებული „ინდოეთის ტელეგრაფის", რომელიც კავკასიაში გადიოდა სოხუმ-ქუთაის-ტფილის-ერევან-ჯულფაზე, საზეიმო გახსნა გაიმართა. 11 000-კილომეტრიანმა ხაზმა რუსეთის გარდა მსოფლიოს 34 ქვეყანა დაუკავშირა ერთმანეთს[78]. საქართველოს

---

75 ნ. ლიპარტელიანი. ქართველი და უცხოელი მეწარმეები და მათი საქმიანობა საქართველოში. თბ. 2009, გვ. 87-90.

76 ისტორიული მემკვიდრეობა: სამეცნიერო–პოპულარული ჟურნალი. №11(63). თბ. 2015, გვ. 47–50.

77 ნ. ზურაბიშვილი. ახალი-ძველი ნაცნობი: გერმანელი მეცნიერებისა და ბიზნესმენების, ძმები სიმენსების კავშირი საქართველოსთან. ჟურნ. „მუდმივი კავშირის სამყარო". №2. 1999, გვ. 20-21.

78 ბ. ფიფია. დიდი ადამიანები საქართველოში: არგონავტებიდან მარადონამდე. თბ. 2011, გვ. 270-274.

ტერიტორიაზე ბოლო დრომდე ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ამ ტელეგრაფის ლითონის ბოძები წარწერით – “Siemens-Patent-London”[79].




„ინდოეთის ტელეგრაფის“ ერთ-ერთი რუკა

ვერნერ სიმენსის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში, „ჩემი მოგონებები“, მოცემულია კავკასიის რუკა და მასზე დატანილი ინდოევროპული ტელეგრაფის სქემა. ასევე აღნიშნულია სოხუმსა და ქერჩს შორის ჩადებული წყალქვეშა სატელეგრაფო კაბელი და სოხუმიდან ტფილისის გავლით ჯულფამდე მიმავალი სატელეგრაფო ტრასა. ავტორი დაწვრილებით წერს ტელეგრაფის მშენებლობაზე საქართველოში, შავ ზღვაში კაბელის გაყვანის სამუშაოებზე; განსაკუთრებულ ადგილს უთმობს საქართველოში გატარებული დღეების შთაბეჭდილებებს, ასევე სოხუმის, ფოთის, ქუთაისის, ტფილისისა და კახეთის მდებარეობისა და ბუნების აღწერას.

საინტერესოა, რომ ვალტერ სიმენსი 35 წლის ასაკში გარდაიცვალა და 1860 წლიდან რვა წლის განმავლობაში ტფილისში ცხოვრობდა. ამ პერიოდში იგი მცირე ხნით გაემგზავრა სპარ-

[79] საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. 100 ღირსსახსოვარი სახელი. თბ. 2014, გვ. 241-243.

სეთში, სადაც ვერნერის დავალებით გააფორმა ხელშეკრულება სპარსეთის ტერიტორიაზე ინდოევროპული ტელეგრაფის ხაზის გაყვანის თაობაზე. ტფილისის იმდროინდელი პრესა განსაკუთრებით აღნიშნავდა ახალგაზრდა მექანიკოსის მიერ ამ დავალების პირნათლად შესრულების ფაქტს და 1860 წელს ქუთაისში, ფოთსა და ტფილისში სატელეგრაფო სადგურების მოწყობაში მის პირად მონაწილეობას. ვალტერის სიკვდილის შემდეგ სიმენსების სავაჭრო სახლის ხელმძღვანელი ტფილისში ოტო სიმენსი გახდა, შემდგომ კი ის ამიერკავკასიაში პრუსიის კონსულადაც დაინიშნა. მასთან ერთად მუშაობდნენ ჰერმან აბიხი (პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი), კონსტანტინე მამაცაშვილი (ცნობილი საზოგადო მოღვაწე) და გიორგი წულუკიძე (ინჟინერ-გეოლოგი). 1868 წელს ძმის, ვალტერის გარდაცვალებასთან და ინდოევროპული სატელეგრაფო ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით ვერნერ სიმენსი ტფილისს ეწვია[80].



ოტო სიმენსი **(1836-1871** წწ.**)**

სამი წლის შემდეგ, 1871 წლის 1 ოქტომბერს, გაზეთი „კავკაზი" იუწყებოდა ვერნერის მეორე ძმის – ოტოს – გარდაცვალებას ტფილისში. როგორც ვალტერი, ასევე ოტო ტფილისში, დღევანდელი ვერის ბაღის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოზე იყვნენ დასაფლავებულნი.

---

[80] ა. კარბელაშვილი. „ძმები ოტტო და ვალტერ სიმენსები"  გაზ. „თბილისი". 1988. 25 ოქტომბერი.

## ტექნიკური პროგრესი საქართველოში

„სიმენსმა“ ბევრი ტექნიკური სიახლე დანერგა საქართველოში და თავისებური იმპულსი მისცა ინდუსტრიულ პროგრესს სამხრეთ კავკასიაში. ეს განსაკუთრებით ითქმის ინდოევროპულ სატელეგრაფო მოწყობილობებზე, რომლებმაც უზრუნველყვეს 1871 წლიდან 1931 წლამდე დეპეშების გადაცემა ტფილისის, ზუგდიდისა და სოხუმის გავლით ევროპიდან ინდოეთში და პირიქით. ევროპის ქალაქებთან დეპეშების გაცვლას კიდევ ერთი დადებითი მხარე ჰქონდა: 1863 წლიდან ტფილისში დაიწყეს ყველა უმნიშვნელოვანესი და ახალი ამბის მიღება საზღვარგარეთიდან. ტფილისის გაზეთებში ფოსტით ჩამოტანილ ორი, სამი, ოთხი კვირის წინანდელ ცნობებს აღარ ბეჭდავდნენ, არამედ უცხოეთის სააგენტოების მიერ წინა დღეს გავრცელებულ ინფორმაციებს.

თუ ტფილისი ადმინისტრაციული ცენტრის როლს ასრულებდა, სადაც სიმენსების კანტორა მდებარეობდა, კედაბეკი[81], ტფილისის გუბერნიაში (დღეს აზერბაიჯანი), კახეთთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქი, მათ ინდუსტრიულ ცენტრად გადაიქცა. სიმენსების საქმიანობა ამ ქალაქში მნიშვნელოვანია, რადგან ეს საქართველოზე პირდაპირ გავლენას ახდენდა. სიმენსების გეგმებში საქართველო ტრანზიტული ქვეყნის როლს ასრულებდა. ამასთან ერთად მოხერხდა ბუნებრივი რესურსების ათვისება, ქვეყნის ინდუსტრიული პოტენციალის ამაღლება, ფოთისა და ბათუმის პორტების სტრატეგიული პოტენციალის მნიშვნელობის განსაზღვრა და მისი წარმატებით გამოყენება ექსპორტის საწარმოებლად.

კედაბეკში სიმენსების მიერ აშენებული სპილენძის გადასამუშავებელი ქარხნის წარმოების გასაფართოებლად საწვავის მეტი რაოდენობა იყო საჭირო. გარშემო მდებარე ტყეების მოჭრით ზიანი ადგებოდა ბუნებას და ამ რგინიგზის არმქონე, მთიან რეგიონში, ბაქოდან ნავთობის გადაგზავნა ორმაგად ართულებდა ქარხნის განვითარებას. ალტერნატიული გზის მოსაძიებლად სიმენსებმა კავკასიის სამთო ნაწილის სამმართველოს მეშვეობით კახეთში, კერძოდ კი

---

81 А. Г. Цейтлин. Записки Кавказского отделения Императорского Русского технического общества. Тифлис. 1868-1898 гг.

თანამედროვე დედოფლისწყაროსა და მირზაანში ნავთობის მცირე საბადოების შესახებ მოიპოვეს ინფორმაცია. ამ საბადოებზე სამუშაოები 1865 წლიდან მიმდინარეობდა ვინმე ჩილიკოვის ხელმძღვანელობით. მის ნაცვლად ხაზინაში 12 000 მანეთის შეტანით, სიმენსებმა დაიწყეს ნავთობის გამომუშავება, რითაც 12 000 ფუთი ნავთობი მოიპოვეს. ოფიციალური ხელშეკრულება 1867 წლის 16 აგვისტოს დაიდო ვალტერ სიმენსსა და კავკასიის და ამიერკავკასიის მთიანი მხარის სამმართველოს შორის ნავთობის საბადოების დამუშავების თაობაზე. აღსანიშნავია მეთოდი, რომლითაც სიმენსებმა ნავთობის მოპოვება დაიწყეს. პირველად იქნა გამოყენებული 3-4 დუიმის სიგანის გარსაცმი მილები. ამ ეფექტური მეთოდის გამოყენებით 1900 წელს ამ მხარეში მოპოვებულ იქნა 39 000 ფუთი ნავთობი, საიდანაც 5 700 ფუთი ნავთი, 895 ფუთი ბენზინი და 21 000 ფუთი მაზუთი გამომუშავდა. ყურადსაღებია ისიც, რომ ბაქოში ნავთობის ამ მეთოდით მოპოვება პირველად მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1869 წელს განხორციელდა[82].

ვალტერ სიმენსი ასევე ნავთობისგან ფოტოგენის – ნავთის დამუშავებაზეც მუშაობდა, რაც შეწყვეტილ იქნა მას შემდეგ, რაც ბაქო-ტფილისის რკინიგზა აშენდა და ქარხანა მთლიანად ბაქოდან შემოტანილ ნავთობზე გადავიდა. ვერნერი შემდგომში წერდა: „ამ ბოლო დროს ჩვენ მოვნახეთ ხერხი (როგორც ჩანს, ჩვენ პირველებმა) ქვანახშირი სამთო საქმეში ნავთობითა და მისი ნარჩენებით, ეგრეთ წოდებული მაზუთით, ჩაგვენაცვლა“. სიმენსები ასევე ნავთობსადენებზე მუშაობდნენ. მათ წარმატებით უხელმძღვანელეს დალიარ-კელბეკის ნავთობსადენის პროექტს. რამაც, თავის მხრივ, განაპირობა 1903 წელს მსოფლიოში ყველაზე გრძელი, 835-კილომეტრიანი ნავთობსადენის აშენება ბაქოდან ბათუმამდე. უახლესი ტექნოლოგიებით გადალახულ იქნა სურამის უღელტეხილიც.

კედაბეკში სიმენსები სრულიად რუსეთში წარმოებული მადნის მეოთხედს მოიპოვებდნენ, რომლის ნაწილი კავკასიაში, ნაწილი კი რუსეთის სხვა კომპანიებში საღდებოდა. მნიშვნელოვანი რაოდენობა ასევე ფოთისა და ბათუმის გავლით საზღვარგარეთ გადიოდა. სამთო საქმიანობაში მიღწეულმა წარმატებებმა სიმენსებს გაფართოებისკენ უბიძგეს. კედაბეკის შემდეგ მათ იმ დროს ბათუმის მხარეში შემავალი

---

[82] დ. შპრინგჰორნი. გერმანელები საქართველოში. თბ. 2004, გვ. 45-48.

ართვინის ოლქში ორი საბადო მოიპოვეს: ერთი სოფელ ბეშაულთან, მეორე ყვარცხანასთან. 230 კაცის დასაქმებით, 1912 წლისთვის სიმენსებმა ბათუმის მხარეში 105 300 ფუთი სპილენძის მადანი მოიპოვეს. ვერნერს ასევე სთავაზობდნენ ვერცხლის მადნის საბადოების შესყიდვას წებელდაში, აფხაზეთში, თუმცა რთული რელიეფის გამო იქ სამუშაოების ჩატარება ვერ მოხერხდა.

ართვინის მხრიდან მადნის გატანა ბაქოში ბათუმიდან რკინიგზის მეშვეობით ხორციელდებოდა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ კედაბეკში მადნის გატანის პროცესი შეანელა, ის ასევე დიდი ხარჯის მომტანი აღმოჩნდა და ამიტომაც გადაწყდა ართვინშივე, არსებული ქარხნის ბაზაზე აშენებულიყო სპილენძის გადამამუშავებელი დამოუკიდებელი ქარხანა. მადნის ექსპორტი ასევე ბათუმის პორტიდან ხორციელდებოდა ქერჩის, მარიუპოლის, ტაგანროგისა და ნოვოროსიისკის მიმართულებით. ყვარცხანის ქარხანამ დიდი მოგება მოიტანა, რამაც 1915 წელს 96 000, ხოლო მომდევნო წელს კი 232 000 მანეთი შეადგინა. შედარებისთვის კედაბეკის ქარხანამ იმავე წელს 215 000 მანეთი მოგება მოიტანა. პირველმა მსოფლიო ომმა მნიშვნელოვანი შეზღუდვები დააწესა ნედლეულის გატანაზე, განსაკუთრებით კი იმის გამო, რომ მწარმოებელი კომპანია რუსეთის იმპერიის მთავარ მეტოქეს, გერმანიას ეკუთვნოდა. საბადოებსა და ქარხნებს ზედამხედველობდნენ პეტერბურგიდან გამოგზავნილი ჩინოვნიკები. ასე გაგრძელდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე, რომლის შემდეგაც წარმოება სრულად შეჩერდა, ხოლო 1920 წლის 22 ივნისს საბჭოთა მთავრობის მიერ კედაბეკის ქარხნის ნაციონალიზაცია მოხდა.

საბჭოთა პრესაში უცხოური კომპანიებისა თუ კაპიტალის ნაციონალიზაცია დადებით მოვლენად, კაპიტალისტური ქვეყნების გავლენისგან დაღწევად იყო შერაცხული. სიმენსებს აბრალებდნენ ქვანახშირისა და მადნის ექსპორტის ნაცვლად ოქროს დიდი რაოდენობის ევროპაში გადაზიდვას. ამ პროპაგანდის მიუხედავად, ურთიერთობა გაგრძელდა საბჭოთა ხელისუფლებასთანაც. მაგალითად, 1930 წელს „სიმენსის" პროექტით დაიწყო ზესტაფონის ფერომანგანუმის ქარხნის მშენებლობა. 1932 წელს ქარხნის ელექტროღუმლები „სიმენსის" წარმომადგენელთა უშუალო ხელმძღვანელობით მონტაჟდებოდა[83].

[83] ე. ავდალიანი. „ევროპისა და აზიის დაკავშირება ძმები სიმენსები

# თავი V

## ძმები ნობელები საქართველოში

წინა თავებისგან განსხვავებით, ქვემოთ მოყვანილი ისტორია ცდება საქართველოს მასშტაბებს და ეხება ფინანსური სამყაროს ისეთ გიგანტებს, როგორებიც არიან ნობელების, როტშილდებისა (ევროპის ყველაზე მძლავრი ფინანსური ოჯახი) და როკფელერების (ყველაზე დიდი ამერიკული სანავთობო კომპანია "Standard Oil"-ის დამფუძნებლები) ოჯახები. ხშირად კონკურენცია არ იყო სამართლიანი[84]. ადგილი ჰქონდა კანონდარღვევებს, რაც იწვევდა ხანგრძლივ სასამართლო გარჩევებსა და ამით ბიზნესის განვითარების ტემპების შენელებას. შეთანხმებები იდებოდა ნობელებსა და როტშილდებს შორის, როკფელერებსა და როტშილდებს შორის, ხან ნობელებსა და როკფელერებს შორისაც კი. ყველაფერი კეთდებოდა მესამე მხარის შესასუსტებლად. სამი ოჯახის ეს ორთაბრძოლა ისტორიაში ეგრეთ წოდებული „ოცდაათწლიანი ომის" სახელით არის ცნობილი. ყველაფრის საწინდარი კი სამხრეთ კავკასიის ნავთობი და ბაქო-ტფილისის რკინიგზა და ნავთობსადენი იყო.

### ნობელები: ბიზნეს-იმპერიის შექმნა

ნობელებმა რუსეთში ბიზნესი ჯერ კიდევ შორეულ 1840-იან წლებში წამოიწყეს, თუმცა წარუმატებლად. ემანუილ ნობელი იძულებული იყო დაეტოვებინა სანქტ-პეტერბურგი, ხოლო მისმა შვილებმა, ლუდვიგმა და რობერტმა, დარჩენა ამჯობინეს (ალფრედი ევროპაში დაბრუნდა ნიტროგლიცერინზე სამუშაოდ). მამის

საქართველოში". ჟურნ. "Forbes Georgia". №16. 2013, გვ. 100-102.

[84] თ. ტუნაძე, ე. მჟავანაძე. „ნავთობის ბაზარზე ამერიკულ-ევრაზიული კონკურენციის ისტორიიდან". საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში, ტ. IV. ქუთაისი. 2008, გვ. 1-7.

გაკოტრების შემდეგ ძმებმა რუსეთის დედაქალაქში სამხედრო ქარხანა გახსნეს, რომელიც მასრებს, ქვემეხების ლულებს, ლაფეტებსა და თოფებს ამზადებდა. ნედლეული მთლიანად საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ და ამ დამოკიდებულებისაგან თავის დასაღწევად და პროდუქციის გაიაფების მიზნით 1873 წელს რობერტ ნობელი კავკასიაში გაემგზავრა[85].

საქართველოს საისტორიო არქივში რამდენიმე საინტერესო დოკუმენტი ინახება საქართველოში ძმებ ნობელების საქმიანობაზე. ერთ-ერთი საბუთი ეხება რობერტის 1873 წლის მარტში ტფილისში მგზავრობას და მის მიმართვას კავკასიის მეფისნაცვლისადმი. რობერტი ცდილობდა დაერწმუნებინა ადგილობრივი ხელისუფლება ახლად გამოგონებული დინამიტის ეფექტურობაში როგორც კრინიგზის გაყვანისა და მთიანი რეგიონების გაწმენდისას, ასევე მისი წყლის ქვეშ გამოყენებისას. აპელირებდა რა კავკასიის მთიან ლანდშაფტსა და მსოფლიოში დინამიტის ფართოდ გამოყენების მასშტაბებზე, რობერტ ნობელი თხოვნით მიმართავდა მთავრობას, ნება მიეცათ საქართველოში უბაჟოდ 500 ფუთი დინამიტის შემოეტანა.

რობერტი პირველი იყო ნობელებისგან, ვინც კავკასიაში ჩამოვიდა მას შემდეგ, რაც პარიზში თავისი ძმა, ალფრედი, მოინახულა. თუმცა რუსეთში ნავთობინდუსტრიის ფუძემდებლად მისი ძმა ლუდვიგი გამოდგა, რომელმაც 1875 წელს ბაქოში „ტფილისის საზოგადოებისაგან“ „ფოტოგენური ქარხანა“ და ნავთობით მდიდარი ტერიტორიები 8000 მანეთად შეიძინა[86]. 1878 წლის მაისში იმპერატორ ალექსანდრე II-ის დეკრეტით კი საფუძველი ჩაეყარა რუსეთის იმპერიაში ყველაზე მსხვილ სანავთობო კომპანიას: „ძმები ნობელების ნავთობის წარმოების ამხანაგობა“ (“Branobel”) 3 მლნ რუბლის საწყისი კაპიტალით[87].

---

85 „რობერტ და ლუდვიგ ნობელები“. 100 ღირსსახსოვარი სახელი. თბ. 2014, გვ. 199-201.

86 „რობერტ და ლუდვიგ ნობელები“. 100 ღირსსახსოვარი სახელი. თბ. 2014, გვ. 199-201.

87 А. Матвейчук. «Особенности становления нефтяного предпринимательства в 60-80 годах XIX века в России». Материалы научно-исторической конференции «Роль частного предпринимательства в развитии нефтяной промышленности




კომპანია “**Branobel**”-ის ლოგო

XIX საუკუნის 80-იან წლებამდე ნობელები ბაქოდან საზღვარგარეთ ნავთობის გატანას ფოთისა და ბალტიის ზღვის ნავსადგურებიდან აწარმოებდნენ, რაც საკმაოდ ძვირი ჯდებოდა და ამიტომაც მრეწველები ალტერნატიულ გზებს იძიებდნენ. საუკეთესო ვარიანტად ბათუმი განიხილებოდა, თუმცა, ვიდრე ქალაქი თურქების ხელში იყო, ამ მარშრუტს ვერ გამოიყენებდნენ. ვითარება შეიცვალა 1877-1878 წლებში რუსეთის ოსმალეთთან ომში გამარჯვებისა და ბათუმის შემოერთების შემდეგ. ამით ხელ-

---

России во второй половине XIX века». М., 2006, стр. 30-35.

საყრელი პირობები შეიქმნა ნავთობის ექსპორტისთვის[88]. 1883 წელს ბათუმ-სამტრედიის სარკინიგზო ხაზის გაყვანამ ბათუმი ბაქოსთან დააკავშირა, რამაც გაზარდა საპორტო-სამრეწველო ქალაქის ზრდისა და განვითარების პერსპექტივები. ამ პროცესებს ასევე ხელი შეუწყო 1878 წელს გამართულმა ბერლინის სამშვიდობო კონგრესმა და ბათუმის "porto franco"-დ, „თავისუფალ ნავსადგურად" გამოცხადებამ[89]. ნობელების, როტშილდების, ინგლისური თუ გერმანული კაპიტალი უხვად მოაწყდა ბათუმს (თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სარკინიგზო მიმოსვლით ქვეყანაში იაფი ნავთის შემოტანამ ხელი შეუშალა საქართველოში ნავთობის მოპოვების განვითარებას. 1902 წლისათვის ამ ტიპის წარმოება მთლიანად ქრება საქართველოს სამეწარმეო სივრცეში).

### „ოცდაათწლიანი ომი"

რუსმა ნავთობმეწარმეებმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ 1870 წლებში ბაქო-ასტრახან-ვოლგის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა დაიწყეს. რადგან პროექტი დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული, ხოლო სამუშაოები საკმაოდ ნელა მიმდინარეობდა, ისინი როტშილდების საგვარეულოს ფრანგულ შტოს დაუკავშირდნენ. ამ უკანასკნელების ამ საკითხით დაინტერესება გასაკვირი არ იყო, რადგან ისინი უკვე ათწლეულების განმავლობაში იყვნენ ჩართული სარკინიგზო ბიზნესში და ევროპაში პირველი ხაზების აშენება სწორედ მათ სახელთან არის დაკავშირებული. როტშილდებს კარგად ესმოდათ რა პერსპექტივებს იძლეოდა ნავთისა და ნავთობის ეს ახალი საბადოები, როტშილდების უშუალო ინტერესებში შედიოდა არა შემოვლითი გზის აშენება, არამედ ამ ნედლეულის

---

[88] ა. ოთარაშვილი. „ბაქოს ნავთობი და საქართველოს სატრანზიტო ვაჭრობა XIX საუკუნის II ნახევარსა და XX-ის დასაწყისში". კლიო. №18, თბ. 2003, გვ. 123-137.

[89] მ. სიორიძე. „ბათუმის როლი ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში (1883-1918)". ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. I. ბათუმი. 1995, გვ. 78-83.

ბათუმის გავლით პირდაპირ ევროპაში გატანა[90].

ბათუმის საექსპორტოდ გამოყენებას ასევე ემხრობოდნენ ძმები ნობელები. ასე, მაგალითად, ლუდვიგი ბაქოდან პეტერბურგში თავის ძმებს, ალფრედსა და რობერტს, წერდა: „ბაქოდან ნავთობის ტრანსპორტირების ყველა შესაძლო მარშრუტს შორის რეკომენდაციას გაძლევთ, აირჩიოთ მარშრუტი, რომელიც საქართველოზე გადის, ვინაიდან ამ ორ ქვეყანას შორის, სიახლოვის გარდა, გაითვალისწინეთ მეგობრობისა და ერთმანეთისადმი ერთგულების სრულიად განუმეორებელი გრძნობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობს აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის. ჩვენთვის, უცხოელებისთვის, ამ ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ყველა დანარჩენი მარშრუტი დაკავშირებულია გაცილებით უფრო დიდ რისკებთან, ვინაიდან არსად არის ისეთი ხელსაყრელი პირობები, როგორც ბაქოსა და ტფილისში, ამიტომ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ სწორად ეს მარშრუტი უნდა ავირჩიოთ“[91]. ნახშირწყალბადის ევროპაში ექსპორტირებისთვის მიიღეს ლუდვიგის არჩევანი – ნავთობის გადატანა განხორციელებულიყო ბაქო-ტფილის-ბათუმის გზით, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რკინიგზის აშენებაში 10 მილიონი ამერიკული დოლარი როტშილდებმა ჩადეს. მათ ასევე გამოყვეს კრედიტები მცირე ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად.

ნობელები ევროპის ყველაზე დიდი ფინანსურ ძალას ვერ გაუმკლავდებოდნენ. როტშილდების ინტერესები არა მენეჯერული, არამედ, ძირითადად, საბანკო და საინვესტიციო საქმიანობით შემოიფარგლებოდა. ნობელებისთვის ასეთი სპეკულაციები უცხო იყო და ამიტომაც ორი ბიზნეს-ფილოსოფიის ჯახი გარდაუვალი აღმოჩნდა. ვითარება დაიძაბა 1882 წელს, წინა წელს იმპერატორ ალექსანდრე II-ის მკვლელობის შემდეგ, როდესაც ალექსანდრე III-ის დეკრეტით ებრაელებს რუსეთის ტერიტორიაზე მიწის ყიდვა

---

[90] ე. ავდალიანი. „დიდი ფინანსური ომი საქართველოში: ნობელები, როტშილდები და როკფელერები“. ჟურნ. “Forbes Georgia”. 2013. №17, გვ. 118-119.

[91] ბ. ფიფია. დიდი ადამიანები საქართველოში: არგონავტებიდან მარადონამდე. თბ. 2011, გვ. 267-269.

ან დაქირავება აეკრძალათ. თუმცა კანონს დიდი გავლენა არ მოუხდენია როტშილდების გეგმებზე და 1883 წელს ბაქო-ტფილისის რკინიგზა გაიხსნა[92]. აღნიშნული რკინიგზის წლიური გამტარუნარიანობა 5 მილიონ ფუთს შეადგენდა. ერთი გზის დასაფარად ეშელონი, რომელიც 9 ვაგონ-ცისტერნისაგან შედგებოდა, ანდომებდა დაახლოებით 60-70 საათს. 1888 წლისთვის ამხანაგობა "Branobel"-ი ფლობდა 465 კერძო ვაგონს, რომლებიც ბაქო-ბათუმის რკინიგზისათვის იყო გათვლილი[93]. ამან კი უბიძგა როტშილდებს 1886 წელს დაეარსებინათ "Societé Commerciale et Industrielle de Naphte Caspienne et de la Mer Noire" (კასპიისა და შავი ზღვის ნავთობის კომპანია), უფრო ცნობილი რუსული აბრევიატურით – «БНИТО»[94].



ალექსანდრე **II (1818-1881** წწ.**)**

„ბნიტოს" რუსეთის ბაზარზე მეორე ნომრად გადაქცევის შემდეგ, ბათუმმა ნამდვილი ბიზნეს-ცენტრის სტატუსი მოიპოვა. ტანკერებად გადაკეთებული ბრიტანული გემებით ნედლეული მარსელსა და ფიუმეში (ეს უკანასკნელი ავსტრია-უნგრე-

[92] საინტერესოა ისიც, რომ იმ დროს საქართველოში, მიუხედავად დადებითი რეაქციებისა ნობელების მოღვაწეობისადმი, ასევე იყვნენ ისეთებიც ვინც არ იყო კმაყოფილი შვედების მონოპოლიით სანავთობო სივრცეში. მაგალითად, იხ. ვ. შუბითიძე. „ნიკო ნიკოლაძის დაპირისპირება ძმებ ნობელების ნავთობგადაზიდვის მონოპოლიასთან". ჩვენი მწერლობა. №18(200). თბ. 2013, გვ. 2-4.

[93] თ. ტუნაძე. „ბათუმი და ნავთობმრეწველთა ამხანაგობა "Branobel"-ი". „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა". ტ. I. ბათუმი. 2009, გვ. 4.

[94] ა. ოთარაშვილი. „უცხოური კომპანიები და მათი საქმიანობა საქართველოში". ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. ტ. 2(15). თბ. 2014, გვ. 143-152.

თის იმპერიაში შედიოდა) გადაჰქონდათ. ბათუმში როტშილდებს ნავთისა და ნავთობის გადასაზიდი კონტეინერების ყველაზე დიდი ქარხანა ჰქონდათ. მათს საქმიანობას ნაწილობრივ ხელი შეუშალა 1886 წელს რუსეთის მიერ ბათუმისთვის „porto franco“-ის სტატუსის გაუქმებამ, რითაც ქალაქი კვლავ სამხედრო ნავსადგურად გადაიქცა.

ნობელებს არ სურდათ სასიკვდილო ომში ჩართულიყვნენ როტშილდებთან. ალფრედს კარგად ესმოდა, თუ რით შეიძლება დამთავრებულიყო ყოველივე ეს მისი ძმებისათვის. მისი ძალისხმევით პარიზში, 1884 წლის მაისში, მოწვეულ იქნა კონფერენცია, სადაც ორი ოჯახი თანამშრომლობაზე შეთანხმდა. როტშილდებს სურდათ ნავთის/ნავთობის გატანა ევროპაში, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მხოლოდ ამერიკელი როკფელერების "Standard Oil"-ით მარაგდებოდა[95]. იმავე აზრის იყვნენ ნობელებიც. ლუდვიგს სურდა საკუთარი კომპანიის მეოთხედის მიყიდვა როტშილდებისათვის, რათა მათი დაფინანსებით მოეხერხებინა ბათუმში ბუნჯისა და პალაშკოვსკის „ბათუმის ნავთობისა და სავაჭრო საზოგადოების“ 1,5 მილიონ მანეთად ყიდვა[96]. მას ასევე სურდა აეგო ნავთის გადასაზიდი კონტეინერების ქარხანა და გაეყვანა ნავთობსადენი სურამის ქედზე გავლით. როტშილდებმა

[95] А. Б. Василенко. «Геополитические аспекты нефтяной политики США и российской империи во второй половине XIX века». Материалы научно-исторической конференции «Роль частного предпринимательства в развитии нефтяной промышленности России во второй половине XIX века», М., 2006, стр. 19.

[96] იმ პერიოდის ბაქოში, ზემოხსენებული კომპანიის გარდა, ასევე იყო „ბაქოს მენავთობეთა საზოგადოება“ (ჩამოყალიბდა 1874-1873 წლებში); 2. ძმები ნობელების ნავთობმრეწველთა ამხანაგობა (ჩამოყალიბდა 1879 წელს); 3. რუსული მინერალური ზეტებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების საწარმოო კომპანია «С. М. Шибаев и К.» (1884 წ.); 4. 1886 წელს ჩამოყალიბდა ნავთობსაწარმოო და სავაჭრო საზოგადოება «Каспийское товарищество» (Матвейчук, «Особенности становления нефтяного предпринимательства в 60-80 годах XIX века в России». Материалы научно-исторической конференции «Роль частного предпринимательства в развитии нефтяной промышленности России во второй половине XIX века». М., 2006, стр. 30-31).

უარი თქვეს, თუმცა აქ გამოჩნდნენ როკფელერები, რომლებმაც ლუდვიგთან მოლაპარაკებები გამართეს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ როკფელერები ამავდროულად ინფორმაციას აწვდიდნენ როტშილდებს ნობელებთან მოლაპარაკებების შესახებ ამ ოჯახებს შორის უთანხმოების გასაღვივებლად.

ორი უმძლავრესი ოჯახის შემოტევისგან თავის დასაღწევად ლუდვიგს საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ახალი კონტრაქტები უნდა დაედო. მან შავ ზღვაში საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად ბათუმში შემოიყვანა 286 ფუტის სიგრძის ტანკერი «Свет»-ი, რომელსაც 17 000 ტონა ნავთი დიდ ბრიტანეთში უნდა გადაეზიდა[97]. როკფელერების "Standard Oil"-ისთვის ეს დიდი მარცხი გახლდათ[98]. კომპანია, რომელიც აკონტროლებდა ამერიკის ექსპორტის 90%, დიდი ბრიტანეთის ბაზარს საკუთარ მონოპოლიად მიიჩნევდა. ნობელების ნავთმა/ნავთობმა კი ინგლისის სამომხმარებლო ბაზრის 30% დაიკავა – მაშინ, როდესაც რამდენიმე წლის წინ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 4% იყო.

არსებული მძლავრი კონკურენციის პირობებში ნობელები ნათლად ხედავდნენ, რომ ნავთისა და ნავთობის მიწოდების გასაზრდელად საჭირო იყო უფრო მეტი ავტოგადამზიდი და ბათუმში მეტი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება. თუმცა ეს მაინც ვერ უზრუნველყოფდა ნავთობის საჭირო რაოდენობით მოზიდვას. აუცილებელი იყო მილსადენის აშენება. მთავარ დაბრკოლებას სურამის ქედი წარმოადგენდა. ლუდვიგ ნობელი ჯერ კიდევ 1883 წელს ბაქო-ტფილისის რკინიგზის გაყვანისას აცნობებდა ადგილობრივ მთავრობას სურამის ქედის გავლით სადენის გატარების აუცილებლობას, თუმცა კონცესიაზე უარი მიიღო. მიზეზი: ნავთის დიდი რაოდენობა და როკფელერებთან ეფექტიანი კონკურენცია გამოიწვევდა ნობელების მიერ ბაქოს იაფ ნედლე-

[97] გარდა ამისა, ნობელები, მაგალითად, გერმანიაში ექსპორტისთვის იყენებდნენ ტანკერს – «РОССИЯ», რომლის ტევადობა 5 500 ტონა იყო. იხ. Двадцатипятилетье товарищества нефтяного производства Братьев Нобель – 1879-1904, С.-Петербург. 1904, стр. 84.

[98] თ. ტუნაძე, ე. მჟავანაძე. „ნავთობის ბუმი ამერიკაში". საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში. ტ. V. თბ. 2009.

ულზე ფასების მომატებას. ლუდვიგმა ბაქოში პირველი სინდიკატი შექმნა და ისევ ითხოვდა ნედლეულის სურამის ქედის გავლით გატარებას. ცნობილი რუსი ქიმიკოსი მენდელეევიც კი გამოვიდა ამ იდეის მომხრედ. საბოლოოდ პროექტის დამტკიცება მოხერხდა, რის შემდეგაც 1903 წელს აშენდა მსოფლიოში ყველაზე გრძელი, 835-კილომეტრიანი ნავთობსადენი 19 სატუმბი სადგურით[99]. სამუშაოები ხელით წარმოებდა, მილებს ერთმანეთთან ხრახნიანი ქუროებით აერთებდნენ და მათ ანტიკოროზიული იზოლაციით ფარავდნენ. ტრასის გასწვრივ სატელეფონო კავშირიც გაიყვანეს. მდინარე მტკვრის გადაკვეთის დროს მილსადენი ერთ რკინიგზის ხიდზე ჩამოკიდეს. სადენის მარშრუტის კიდევ ერთი სირთულე სურამის ოთხკილომეტრიან გვირაბში მისი გაყვანა იყო. მილსადენის გამტარუნარიანობა წელიწადში 900 ათას ტონა ნახშირწყალბადს შეადგენდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სამუშაოების განმავლობაში საჭირო იყო ალფრედ ნობელის 400 ტონა დინამიტი. პროექტის საერთო ღირებულება 12 მილიონი მანეთი იყო.

ნობელებმა ბათუმში ნავთის/ნავთობის უზარმაზარი ტერმინალი ააგეს. მათ მიერ შექმნილი ზოგი ავზის ნახვა ბათუმში დღემდე, თითქმის 120 წლის შემდეგაც არის შესაძლებელი. შენდებოდა ასევე სახლები მენეჯერული გუნდისთვის. ნობელების მთავარი შენობა ასევე კავკასიაში შვედეთ-ნორვეგიის სამეფოს საკონსულოს სათავო ოფისსაც წარმოადგენდა. საქართველოს საისტორიო არქივში ინახება 1897 წლის 5 ივნისით დათარიღებული მიმართვა ბათუმში ძმები ნობელების ობიექტების დირექტორის, გუსტავ ავგუსტ ჰაგერის, შვედეთ-ნორვეგიის ვიცე-კონსულად დანიშვნის შესახებ. ლესელიძის ქუჩის №3-ში მდებარე ეს შენობა 2007 წელს „ძმები ნობელების ბათუმის ტექნოლოგიურ მუზეუმად“ გადაიქცა[100]. ნობელები 1917 წლამდე საქართველოს ხშირი სტუმრები იყვნენ.

---

[99] 1900-1913 წლებიდან ბათუმიდან გაზიდული იქნა 448,7 მილიონი ფუთი ნავთი, მათ შორის 68,9% გემ-ცისტერნებით, ხოლო 31,1% თუნუქის ბიდონებით. იხ. თ. ტუნაძე. „ბათუმი და ნავთობმრეწველთა ამხანაგობა "Branobel"-ი“. „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“. ტ. I. ბათუმი. 2009, გვ. 5.

[100] http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=2&th_id=87



ძმები ნობელების ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი

### ბათუმის ფენომენი

1899 წლისათვის ბათუმში ირიცხებოდა 366 საწარმო. მათი მესაკუთრეები იყვნენ ბერძნები, თურქები, სპარსელები, პოლონელები, ინგლისელები, გერმანელები, ფრანგები და იტალიელებიც კი. 1902 წლის მონაცემებით ბათუმიდან 285 ნავთით/ნავთობით დატვირთული გემი გავიდა, რაც ჯამში 54 573 000 ფუთს შეადგენდა. 1908 წლის ტვირთბრუნვის მიხედვით ბათუმი პეტერბურგისა და ოდესის პორტების შემდეგ 42,9 მილიონი ფუთის ტვირთბრუნვით მესამე ადგილზე იყო რუსეთის იმპერიაში.

1902 წლისთვის ბათუმში ოპერირებდა გემით მომსახურე 24 საზოგადოება. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ინგლისური, ფრანგული თუ გერმანული წარმომავლობის იყო. თუმცა იყვნენ ისეთებიც, როგორიც არის „ბელგიური ანონიმური საზოგადოება" თუ „როტერდამიდან ნავთმზიდი ამერიკული საზოგადოება".

1901 წლისთვის ბათუმში აკრედიტებული იყო თურქეთის, ინგლისის, საბერძნეთის, იტალიის, იაპონიისა და სპარსეთის სა-

კონსულოები. გარდა ამისა, ბათუმში წარმომადგენლები ჰყავდათ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ბელგიას, გერმანიას, ნიდერლანდებს, ავსტრია-უნგრეთსა და ნორვეგია-შვედეთს.

1903 წელს ამერიკაში, ტეხასში, აღმოაჩინეს ნავთობის დიდი საბადოები, დაიწყეს მათი ექსპლუატაცია და 1907 წლისათვის აშშ-მა ნავთობის მოპოვების მასშტაბებით რუსეთსაც გაუსწრო. 1903 წელს ნავთობსაბადოები აღმოაჩინეს ინდოეთში, ბირმასა და ასამში (პროვინცია ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით)[101], რამაც ამ მხრივ ბათუმის მომავალი განვითარება ნაწილობრივ შეზღუდა.

[101] ი. ნემსიწვერიძე. უცხოური კაპიტალი XIX საუკუნის საქართველოში. თბ. 2001, გვ. 124-152. ამასთან ერთად, ბათუმის როგორც ნავთობის გადაზიდვების ცეტრის დაცემას ხელი შეუწყო 1905 წლის ტრაგიკულმა მოვლენებმა აფშერონის ნახევარკუნძულზე, როდესაც განადგურდა ჭაბურღილების დიდი ნაწილი. ასევე, მრავალი იყო მუშათა გაფიცვები ბაქოში და პირველი მსოფლიო ომთან დაკავშირებული ეკონომიკური პრობლემები. ეს პირდაპირ აისახებოდა ბათუმის პორტის აქტიურობაზე. იხ. მ. სიორიძე. „ბათუმის როლი ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში (1883-1918)“. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. I. ბათუმი. 1995, გვ. 78-83.

# თავი VI

## მიტროფანე ლაღიძე და მისი „ლაღიძის წყლები“

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს მიტროფანე ლაღიძისა და მის ყოვლად ცნობილი „ლაღიძის წყლების“ შესახებ ფაქტობრივად არ დაწერილა აკადემიური გამოკვლევები. წინამდებარე თავში ზუსტად ამ დეფიციტის მცირეოდენ შევსებას შევეცდებით. ქართული ღვინის შემდეგ ყველაზე ცნობილი ქართული სასმელის ბრენდს, რომელსაც თავის დროზე ლექსებს უძღვნიდნენ სერგეი ესენინი, ევგენი ევტუშენკო და ფაზილ ისკანდერი, საკმაოდ რთული ისტორია აქვს. თუ რადიკალურად ცვალებადი პოლიტიკური გარემოებები დამღუპველი აღმოჩნდა რუსეთის იმპერიაში არსებული როგორც უცხოური კაპიტალისთვის (მაგალითად ნობელების, სიმენსებისა თუ როტშილდების), ასევე ზოგადად ანტრეპრენიარული წამოწყებებისვის, მიტროფანე ლაღიძის საქმიანობა გამონაკლისს წარმოადგენს. დაემთხვა რა მისი ბიზნესი ისეთ გლობალურად მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს როგორიცაა რუსეთის 1917 წლის რევოლუცია, ცარიზმის დამხობა, საბჭოთა კავშირის და ახალი ეკონომიკური ფორმაციის შექმნა თუ სტალინის ეპოქა, „ლაღიძის წყლებმა“ წარმატებულად განაგრძეს არსებობა მთელი XX საუკუნის განმავლობაში.

### წარმატებული დასაწყისი

მიტროფანე ერმალოს ძე ლაღიძე 1869 წლის 22 ივნისს სოფელ ჭოლევში (დღევანდელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, იმერეთი), ღარიბი აზნაურების ოჯახში დაიბადა[102]. ის 14 წლის იყო, როდესაც მშობლებმა ქუთაისში სამუშაოდ გააგზავნეს, სადაც შეგირდად მოეწყო პეტრე ყოყორჩაშვილისა და პოლონელი ცეზარ ივანოვსკის აფთიაქში. ივანოვსკი წამლების გარდა ქუთაისში წვე-

[102] გაზ. „კვირის პალიტრა“. №25 (1037). 2014, გვ. 38.

ნებსაც ამზადებდა და მისი გარდაცვალების შემდეგ სასმელის წარმოება უკვე მიტროფანემ ჩაიბარა[103].

მან დაიწყო საზღვარგარეთიდან შემოსული სხვადასხვა ესენციებისგან გამაგრილებელი სასმელების დამზადება და ასევე ექსპერიმენტების ჩატარება სხვადასხვა ბუნებრივი ბალახისა და ხილის ნედლეულისგან და 1887 წელს ნატურალურ პროდუქტებზე დაფუძნებული ხილის წყლების საინტერესო რეცეპტურა შექმნა[104]. იმავე წელს მიტროფანემ ხილეულის სასმელების წარმოების ამხანაგობაც დააარსა. სასმელი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ქუთაისში ლიმონათს მეთულუხჩეები გასაყიდათ დროგებით დაატარებდნენ. ლაღიძის პირველი სარეკლამო ფრაზა, რომელსაც მედროგეები ქუჩა-ქუჩა გაჰყვიროდნენ იყო: „თუ გინდა იყო ლამაზი ქალი უნდა დალიო ლაღიძის წყალი“. ერთი ბოთლის ფასი ერთი შაური იყო, რაც დაახლოებით უდრის 0.85 გრამმ ვერცხლს, ან ათ გრამმ სპილენძს[105].

ამხანაგობის დაარსების შემდეგ, ლაღიძე ლიმონათის წარმოების შესასწავლად 1902 წელს საფრანგეთსა და გერმანიაში გაემგზავრა. რის შემდეგაც მან პირველმა გამოიყენა ჩამოსასხმელი წყლის გაკეთილშობილების მეთოდი. თუ ადრე წყალს მარტო ესენციაზე ამზადებდნენ, ახლა მან ესენცია ნატურალური ხილის სიროფით შეცვალა. ეროვნული წყლის სარეკლმაო სახე ჩიხტიკოპიანი ქალი იყო. ეტიკეტზე მხატვარმა გიორგი ზაზიაშვილმა მიტროფანეს დედა გულჩინა უგრეხელიძე დახატა. ბოთლი საფრანგეთში მზადდებოდა. მიტროფანეს სარეკლამო კონსულტაციებს ასევე ფრანგები უწევდნენ. მისი ახალი სარეკლამო ფრაზა იყო: „ერიდე სიყალბეს და მოითხოვე ყველგან“[106].

სასმლის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიტროფანეს ესაჭი-

[103] რ. ლაღიძე, ჯ. ლაღიძე, რ. გახოკიძე. „უალკოჰოლო სასმელების უბადლო ოსტატი“. საქართველოს ქიმიური ჟურნალი. ტ. 5. თბ. 2005, გვ. 93-95.

[104] ჟურნ. „რუსთაველები“. №3. 2008, გვ. 73.

[105] ა. სიგუა. უალკოჰოლო სასმელების წარმოება საქართველოში. თბ. 1980, გვ. 9-10.

[106] ს. კვინტრაძე. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“. №1. თბ. 2012, გვ. 84-88.

რობოდა მხოლოდ მტკნარი პროდუქტი. შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით მას მოუწია მოეძებნა ნედლეულის საუკეთესო წყაროები. მაგალითად, იგი ვაშლსა და ატამს მხოლოდ გორში ყიდულობდა, მარწყვსა და ჟოლოს ბაკურიანში, ციტრუსს აფხაზეთში, ალუბალს კასპში, ვარდს კი ლაგოდეხის ნაკრძალიდან იძენდა.

1900 წელს მიტროფანემ ქუთაისში დააარსა გამაგრილებელი სასმელების დამამზადებელი მცირე ქარხანა. მას კრედიტები მსოფლიოს დიდ ბანკებში ჰქონდა გახსნილი. 1902 წლის ივლისში ლაღიძემ ქუთაისში საყინულე და სასმელი წყლების ახალი ქარხანა გახსნა[107]. აღსანიშნავია, რომ ქარხანა „ელექტრონითა" იყო განათებული. სხვადასხვა მონაცემებით, საწარმოს დღეში „300-500 ფუთამდე ყინულის მომზადება შეუძლიან"[108].

მისი ფინანსები რუსეთის იმპერიის მესვეურებში ეჭვს ბადებდა განსაკუთრებით იმის გამო, რომ ლაღიძე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" აქტიური წევრი იყო. ანტისამთავრობო საქმიანობაში ჩართულობის არსებული ეჭვის გამო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ალიხანოვ ავარსკიმ ლაღიძეზე საგანგებო მეთვალყურეობაც დაამყარა. მიტროფანეს უფრო მძიმე ბრალდებებსაც უყენებდნენ. საქართველოს საისტორიო არქივში ინახება 1908 წლით (მარტი-აპრილით) დათარიღებული ქუთაისის ჟანდარმერიის სამმართველოს მიერ შედგენილი რამოდენიმე საიდუმლო საბუთი. ამ დოკუმენტების მიხედვით, მისი ქუთაისის ქარხნის მისამართი გამოიყენებოდა საზღვარგარეთ მყოფი რუსი და ქართველი ანარქისტების მიერ საქართველოში თავის თანამებრძოლეებთან დასაკავშირებლად. როგორც ჩანს, ეს ბრალდება არ იყო საფუძველს მოკლებული, რადგან მიტროფანეს ძმა მიხეილი ანტისამთავრობო საქმიანობაში მონაწილეობის გამო გადაასახლეს არხანგელსკის ოლქში და ჟანდარმერიის მიერ ხან ანარქისტ-კომუნისტების, ხან კი სოცია-

---

107 გაზ. „ივერია". №163. 1902, გვ. 2.

108 გაზ. „ცნობის ფურცელი". №1867. 1902, გვ. 2.

ლისტ-ფედერალისტთა პარტიების სიაში იყო შეყვანილი[109].

1905 წელს ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთლის მხარდაჭერით მიტროფანე ლაღიძე იწყებს გამაგრილებელი სასმელების წარმოებას ტფილისში გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) გამზირ №24-ში. 1906 წელს კი იმავე ადგილას გახსნა „ლაღიძის წყლების" მაღაზია. აღსანიშნავია, რომ ლაღიძის ქარხანა იყო ერთ-ერთი პირველი ამიერკავკასიაში, რომელმაც მუშებისთვის[110] 8-საათიანი სამუშაო გრაფიკი შემოიღო[111].

1906 წელს ტფილისში ბიზნესის წამოწყებისას, ქალაქში უკვე არსებობდა ორი ხილეულის ქარხანა. პირველი ცნობილ აფთიაქარ-პროვიზორს ევგენი ზემელს ეკუთვნოდა, მეორე კი ვინმე მამულოვს. გადმოსვლიდან 4 წლის შემდეგ, 1910 წელს, ამ ქარხნებმა ვერ გაუძლეს ლაღიძის მძლავრ კონკურენციას და მოუწიათ ბიზნესის შეწყვეტა. ტფილისში მაღაზიის გახსნიდან ცოტა ხნის შემდეგ, ჟანდარმერიამ მიტროფანე დააპატიმრა. ზოგი ცნობის მიხედვით, დაპატიმრების ოფიციალური მიზეზი იყო მაღაზიის აბრაზე ჯერ ქართული, ხოლო შემდეგ რუსული წარწერის განთავსება[112]. მიტროფანეს მეუღლემ ოლიმპიადამ დახმარების თხოვნით მიმართა ილია ჭავჭავაძეს და ამჯერადაც ამ უკანასკნელის უშუალო შუადგომლობით ლაღიძე გადაურჩა დაპატიმრებას. ილიას ამისთვის ქართველ ინტელიგენციაში ხელმოწერების შეგროვება დასჭირდა[113].

---

[109] რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ამ საკითხზე მხოლოდ ერთი არააკადემიური ხასიათის სტატია არსებობს: თ. ლაღიძე. „მიტროფანე ლაღიძე გაციმბირებას ილია ჭავჭავაძემ გადაარჩინა: როგორ იქმნებოდა ლეგენდარული ქართული ბრენდი". ჟურნ. „სარკე". №34 (901). 2015, გვ. 20–21.

[110] თუმცა ლაღიძის ქარხანაში ასევე იყო გაფიცვებიც. (გაზ. „შრომა". №56. 1906, გვ. 2)

[111] მუშებთან მიმართებით მიტროფანე ლაღიძის ერთი საინტერესო წერილი არის შემონახული სადაც ის უარყოფს თავის ქარხანაში მუშების დაშავების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას. (გაზ. „ივერია". №262. 1903, გვ. 3).

მიუხედავად ზომიერი გრაფიკისა, ლაღიძის ქარხანაში, ისევე როგორც სხვა საწარმოებში საქართველოს მასშტაბით, ხშირი იყო მუშების მიერ პროტესტის/უკმაყოფილების გამოხატვა. (გაზ. „მომავალი" №27. 1909, გვ. 4)

[112] გაზ. „მეგობარი". №13. 1906, გვ. 2-3; გაზ. „მეგობარი". №11. 1906, გვ. 3.

[113] ა. სიგუა. უალკოჰოლო სასმელების წარმოება საქართველოში. თბ. 1980,

## „ლაღიძის წყლების“ ერთ-ერთი პრემია

მიტროფანე მეცენატური საქმიანობითაც იყო დაკავებული. მის მიერ დაარსებულ გამომცემლობაში იბეჭდებოდა იმ დროის ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებები. მისი უშუალო დაფინანსებით გამოიცა აკაკი წერეთლის „გამზრდელი“[114] და „ნათელა“[115]; 1898 წელს ასევე გამოიცა ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“, აკაკი წერეთლის „მომაკვდავის ჩვენება“ და ვახტანგ ორბელიანის „იმედი“. მიტროფანეს მიერ 1908 წელს აკაკი წერეთლის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავისთვის ქუთაისში დაიბეჭდა საიუბილეო კრებული, რომლის ყდაზე ეწერა: „მთელი ამ გამოცემის შემოსავალს ნიშნად ღრმა პატივისცემისა ვუძღვნი იუბილარს აკაკის 50 წლის მოღვაწის სახსოვრად“[116]. ლაღიძე თვითონაც წერდა გაზეთ „ივერიაში“, „კვალში“, „დროებაში“ და სხვაგან.

მისი უშუალო მხარდაჭერით დასავლეთ საქართველოში აშენდა პირველი ელექტროსადგური. ლაღიძე ქუთაისის ბანკის მმართველის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის კირილე ლორთქიფანიძის დახმარებით საფრანგეთიდან ელექტროსადგურისთვის საჭირო დანადგარების შესაძენად საკმაოდ დიდი კრედიტი მიიღო და 1904 წელს აშენებულმა სადგურმა ქალაქ ქუთაისს ელექტროგანათება პირველად მისცა[117]. შემდეგ ლაღიძემ საფრანგეთიდან მაცივარ-დანადგარები მიიღო და პირველმა საქართველოში ხელოვნური ყინული აწარმოა. მის სახელთან არის ასევე დაკავშირებული ქუთაისში ბარიტის წარმოება[118].

---

გვ. 18-20.

[114] მ. ლაღიძე. „შეხევდრები დიდ პოეტთან“. ჟურნ. „დროშა“. №6. 1980, გვ. 17.

[115] ჯ. გაბოძე. აკაკის თხზულებათა გამოცემები. თბ. 2009, გვ. 157-165.

[116] მ. ლაღიძე. „შეხვედრები დიდ პოეტთან“. ჟურნ. „საისტორიო მოამბე“. №59-60. 1990, გვ. 29-32.

[117] გაზ. „ისარი“. №110. 1907, გვ. 3.

[118] ა. სინარიძე. „მიტროფანე ლაღიძე – „ტკბილი წყლების“ პირველი ქართველი გამომგონებელი“. ჟურნ. „კარიბჭე“. თბ. №15-28(233). 2013, გვ. 62-63.

ტფილისში გადმოსვლის შემდეგ „ლაღიძის წყლებმა“ მთელი საქართველოს მასშტაბით მოიპოვეს პოპულარობა. მიტროფანეს ნაწარმმა საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა, როდესაც 1913 წელს ვენაში ჩატარებულ საერთაშორისო გამოფენაზე, ჯილდოდ, ოქროს მედალი მიიღო. ასევე უმაღლესი ჯილდო ერგო 1914 წელს პეტერბურგში ჩატარებულ ჰიგიენურ გამოფენაზე საუკეთესო ხილეულის სასმელის დამზადებისთვის (მოგვიანებით კომუნისტებმა მას ორივე ჯილდო ჩამოართვეს). ლაღიძის წყლებით მოიხიბლა რუსეთის სამეფო ოჯახიც და 1917 წლის რევოლუციამდე მიტროფანე ლაღიძე საიმპერატორო კარის ექსკლუზიური მიმწოდებელი ხდება[119].

## „ლაღიძის წყლები“ და პოლიტიკოსები

1921 წელს, გაურკვეველ ვითარებაში, ლაღიძის ქარხანა ხანძრის გამო განადგურდა და მიტროფანე იძულებული იყო სასმელები საკუთარი სახლის სარდაფში ეწარმოებინა. ის რომ წარმოება არ შეწყვეტილა სხვადასხვა საგაზეთო ცნობა იტყობინება[120]. მდგომარეობა არ შეცვლილა 1927 წლამდე, როდესაც ლაღიძემ ქარხანა კლარა ცეტკინის ქუჩაზე ახლად შესყიდულ შენობაში გადაიტანა. დირექტორი თავად მიტროფანე იყო და იმ დროის სტანდარტებით ქარხანა საკმაოდ კარგად იყო აღჭურვილი. გამოიყენებოდა მოწინავე ტექნოლოგიები და 1934 წელს პირველად საქართველოში ნახშირმჟავა აირის წარმოება დაიწყო[121].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გასაბჭოებამ ლაღიძის ბიზნესს დიდი პრობლემები შეუქმნა, პროდუქციის წარმოება ქარხნის ნაციონალიზაციის შემდეგ კვლავინდებურად აღდგა 1917-წლამდელი მასშტაბებით. 1934 წელს უკრაინის მთავრობამ მიტროფანე კიევში მიიწვია. ის ასევე მიიწვიეს მოსკოვისა და ლენინგრადის ლიმონათების

119 ა. სიგუა. უალკოჰოლო სასმელების წარმოება საქართველოში. თბ. 1980, გვ. 26-29.
120 გაზ. „მუშა“. №465. 1924, გვ. 8.
121 ა. სიგუა. მარად და მარად. თბ. 1983, გვ. 115-140.

ქარხნებში, არაერთხელ იქნა დაპატიჟებული ირანში, ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში, რათა იქ საკუთარი წარმოება გაეხსნა, თუმცა ამაზე უარი თქვა.

არსებობს მონაცემები, რომ 1945 წელს იალტის კონფერენციის დროს მაგიდაზე იდგა ლაღიძის წყლები. სასმელის განსაკუთრებულ მოყვარულთა შორის აღმოჩნდა აშშ-ის პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი, რომელმაც შინ ამერიკაში ლაღიძის წყლების 2000 ბოთლი წაიღო[122]. თვითონ სტალინიც უპირატესობას ანიჭებდა ზოგადად ლიმონათს, ანუ გამაგრილებელ სასმელს.

„ლაღიძის წყლები" დიდი პოპულარობით სარგებლობდა კომპარტიის ელიტის წევრებს შორის. მაგალითად, „ლაღიძის წყლების" ქარხანაში საბჭოთა კავშირის დროს ფუნქციონირებდა ცალკე განყოფილება ქვეყნის მმართველი კლასისთვის ლიმონათის დასამზადებლად. სასმელები მიდიოდა მოსკოვში ორშაბათობით და არსებობს მონაცემები თუ რომელი ლიდერი სასმელის რომელ სახეობას ანიჭებდა უპირატესობას. მაგალითად, ნიკიტა ხრუშჩოვი უპირატესობას ფორთოხლისა და მსხლის სასმელებს ანიჭებდა; ლეონიდ ბრეჟნევი – მსხლისა და ტარხუნის; მიხეილ კალინინი – ფორთოხლის; ანასტას მიქოიანი – ლიმნისა და მსხლის (თვითონ მიტროფანე ლიმნის ლიმონათის მოყვარული იყო).

მსოფლიოს სხვა დიდ პოლიტიკოსებსაც არ დაუმალავთ „ლაღიძის წყლებით" აღფრთოვანება. უინსტონ ჩერჩილმა თავის მემუარებში, 1943 წლის თეირანის კონფერენციაზე საუბრისას, აღწერა ლაღიძის ლიმონათის უნიკალური გემო. 1952 წელს, აშშ-ის პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის მიერ მოსკოვში გამოგზავნილი 1000 ბოთლი კოკა-კოლის საჩუქრის საპასუხოდ ამერიკაში უნდა გაგზავნილიყო საბჭოთა კავშირში საუკეთესო უალკოჰოლო სასმელის ბრენდი. სტალინმა საგანგებოდ მოსკოვში დაიბარა მიტროფანე და მის ჩამოსაყვანად ტფილისში სპეც-მატარებელიც კი გაგზავნა (მიტროფანეს საკმაოდ რთული ურთიერთობა ჰქონდა სტალინთან და ბერიასთან. მაგალითად, ამ უკანასკნელს ეჭვი ჰქონდა, რომ ლაღიძე საიდუმლო ტექნოლოგიებით ამზადებდა სასმელებს. საბოლოოდ მიტროფანე იძულებული იყო სასმელი საკუთრივ ბერიას წინ დაემზადებინა). მაშინ მიტროფანე 82

[122] გაზ. „ჯორჯიან თაიმსი". №17. 2006, გვ. 8.

წლის იყო. სტალინის ბრძანებით ჩამოსხმულ წყალს „ლიმონათი“ და-ერქვა და ის ხილის ასორტისგან იყო დამზადებული. ახალი სასმელის დეგუსტაცია მოსკოვში სტალინის ავტოქარხანაში დაიწყო. სასმელი ქარხნის 120 მუშას გაასინჯეს და მოწონებაც დაიმსახურა. საბოლოოდ ამერიკაში გაიგზავნა მსხლის, ლიმნის, ქლიავისა და შოკოლადის დიდი პარტია. ტრუმენს „ლაღიძის წყლები“ ძალიან მოეწონა[123].

ამერიკის პრეზიდენტის პასუხით კმაყოფილმა სტალინმა იმავე 1952 წელს ლაღიძე დანიშნა საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობასთან არსებული „გლავფრუქტვოდ“-ის გენერალურ კონსულტანტად. ამ თანა-მდებობაზე მას ევალებოდა სსრკ-ში გამოშვებულ სასმელებზე კონტროლი და ხარისხის გაუმჯობესება. ამ სამინისტროს მიერ გამოცემულ გამაგრი-ლებელი სასმელების კრებულში შემავალი სასმელების 90% მიტროფანე ლაღიძის რეცეპტურაზე იყო დაფუძნებული. კომუნისტებს სურდათ „ლა-ღიძის წყლების“ ქსელის გაფართოება, ეგონათ, რომ ამით მოხდებოდა მოსახლეობაში ალკოჰოლური სასმელების გამოყენების შემცირება. ფი-ლიალები გაიხსნა მოსკოვში, არბატზე და უკრაინაში. ტფილისის პარალე-ლურად, ლაღიძე 1930 წელს, სოხუმში, ნესტორ ლაკობას ინიციატივით აა-შენა და წარმოებაში გაუშვა ხილეულის წყლების ქარხანა. 80-იან წლებში საბჭოთა კავშირში მშრალი კანონის ამოქმედებისას ლაღიძის ლიმონათი „კახური“ გაყიდვიდან ამოღებულ იქნა სასმელში მცირეოდენი ალკოჰო-ლის არსებობის გამო. ქართველი კომუნისტების ინიციატივით ლაღიძის ტფილისის ქარხანაში სპეციალური საამქრო აშენდა სადაც სამი დასახე-ლების ლიმონათი: ლიმონი, ფორთოხალი და სიტრო მზადდებოდა.

თვითონ მიტროფანე ლაღიძე 1960 წელს გარდაიცვალა 91 წლის ასაკში[124]. ქარხნის ეზოში მას ძეგლი დაუდგეს. მას და მის მე-უღლეს ოლიმპიადა ვახანიას 5 შვილი ჰყავდა და ოჯახი მრავალი წლის განმავლობაში ტფილისში, კონსერვატორიის წინ ცხოვრობ-და. ბოლოს, ისიც უნდა ითქვას, რომ ლიმონათის გარდა მიტროფა-ნეს ასევე შემუშავებული ჰქონდა ლიქიორების რეცეპტურა, რომე-ლიც, სამწუხაროდ, არ დანერგილა წარმოებაში[125].

---

[123] ა. მგელაძე. ქართული წიგნი. №10. თბ. 2001, გვ. 2.
[124] გაზ. „თბილისი“. №1. 1960, გვ. 4.
[125] ა. სიგუა. უალკოჰოლო სასმელების წარმოება საქართველოში. თბ. 1980, გვ. 33-35.

# თავი VII

## ბიზნესმენი აკაკი ხოშტარია

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს ისტორიიდან მრავალი საინტერესო ბიზნეს-ფიგურა არის ცნობილი. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მიტროფანე ლაღიძეზე, ძმებ სიმენსებსა და ნობელებზე. თუმცა მათ სიაშია შესაყვანი აკაკი ხოშტარიაც, რომლის მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საქართველოთი, არამედ გავრცელებული იყო სპარსეთსა და ოსმალეთის იმპერიაში. მაგალითისთვის აკაკი ხოშტარიას (1887-1932 წწ.) მოღვაწეობა დაემთხვა რუსეთისა და ირანის რევოლუციებს (1917 და 1925 წწ.), პირველ მსოფლიო ომს (1914-1918 წწ.), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნასა (1918 წ.) და ბოლშევიკების მიერ მის დამხობას (1921 წ.).

თუმცა მრავალი დინასტიებისა და სახელმწიფოებრივი წყობების ცვლილების მიუხედავად, აკაკი ხოშტარია წარმატებით აგრძელებდა საკუთარ ბიზნეს-მოღვაწეობას.

### გზა ირანამდე

აკაკი ხოშტარია 1873 წელს აზნაურების ოჯახში, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში[126] დაიბადა[127]. აკაკიმ პეტერბურგის სასოფლო–სამეურნეო აკადემია დაამთავრა. ახალგაზრდობაშივე მას თან სდევდა ის ანალიტიკური აზროვნება, მათემატიკური ნიჭი, კომერციული გათვლა და ხელოვნების ღრმა ცოდნა, რომე-

[126] „სუჯუნა XX საუკუნის გარიჟრაჟზე". ჟურნ. „სამეგრელო". №20. თბ. 2013, გვ. 30-31.

[127] ლ. მიქელაძე. „გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის და ცნობილი ქართველი კაპიტალისტის აკაკი მეთოდეს-ძე ხოშტარიას მოკლე ბიოგრაფიული ცნობები". ფაზისის საერო აკადემიის სამეცნიერო სესიების მასალები. ტ. I. ბათუმი. 2010, გვ. 173-174.

ლიც, როგორც დავინახავთ, მან მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოიყენა.

მისი ბიზნეს-კარიერა დასავლეთ საქართველოში, ქალაქ ფოთში დაიწყო, სადაც ვინმე ვაჭარ ზოდელავას დაუმეგობრდა. მათ ერთად დაგეგმეს სავაჭრო გემით შავი ზღვის ყველაზე დიდ პორტში, ოდესაში გადაეტანათ ნავთი, თუმცა საბოლოოდ მისი განაღდება მაღალ ფასად ოსმალეთის იმპერიაში მოახერხეს[128].

ნავთობის ოსმალეთში ჩატანის შემთხვევამ და ნაშოვნი ფული აკაკი ახალ სამეწარმეო საქმიანობაზე დააფიქრა. 1914 წელს, პირველ მსოფლიო ომის დაწყებამდე, აკაკი ოსმალეთიდან ბაქოში გაემგზავრა და ნავთობმრეწველ მუსა ნაგიევისგან ნავთობსარეწი დანადგარები, ბათუმში კი სავაჭრო აქციები შეიძინა და მთლიანად ნავთობსამრეწველო საქმიანობაზე გადაერთო. აზერბაიჯანში ყოფნისას მისი თვალსაწიერი უფრო მეტად გაიშალა და მეზობელი ირანი მოიცვა[129].

ირანი პირველ მსოფლიო ომამდე საკმაოდ რთულ პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ქვეყნის შიგნით ვითარება არასტაბილური იყო. ყაჯართა დისატიის ბოლო წარმომადგენლების პერიოდში მმართველობა უკიდურესად დეცენტრალიზებული გახდა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდიდა დიდ ტერიტორიაზე გაშლილ გეოგრაფიულად განსხვავებული ლანდშაფტის მქონე ქვეყნის გაკონტროლებას. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ რუსეთის და დიდი ბრიტანეთის იმპერიებს შორის 1907 წელს დადებული ხელშეკრულებით ქვეყნებმა არსებული გეოპოლიტიკური უთანხმოებები მეორე პლანზე გადაიტანეს. შეთანხმების ერთ-ერთი ქვაკუთხედი ირანზე გავლენების გავრცელება იყო. რუსეთს ჩრდილოეთ ნაწილი ერგო, ბრიტანეთს – სამხრეთი. ამასთან ერთად, პოლიტიკური გავლენის გარდა, რუსეთს ასევე ეძლეობა უზარმაზარი კონცესიები ირანის ჩრდილოეთში. აკაკი ხოშტარია ზუსტად ამ შექმნილი შანსით სარგებლობს, როდესაც ირანში გადადის ბიზნე-

---

128 „გზააბნეულმა აკაკი ხოშტარიამ ნავთი თურქეთში ოქროს ფასად გაყიდა". ჟურნ. „სამეგრელო". №7(32). თბ. 2014, გვ. 35-37.

129 ლ. მიქელაძე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №4. თბ. 1992, გვ. 172-176.

სის გასაგრძელებლად.

აკაკიმ თავისი სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობით ირანის შაჰის კარზე დიდი გავლენა მოიპოვა. მის მიერ ირანის მთავრობისგან მიღებული კონცესია 25 წელიწადზე იყო გაწერილი და რეალურად მას აძლევდა საშუალებას მთელ ჩრდილოეთ ირანში (5 პროვინციაში) ემოქმედა. ომის დაწყებამდე აკაკიმ ბაქოში მსხვილი სამრეწველო კომპანია ჩამოაყალიბა, რომელიც სამხრეთ კავკასიასა და ირანში წარმართავდა სავაჭრო ოპერაციებს[130]. თუმცა მის სახელთან ყველაზე მეტად ასოცირდება კომერციული ორგანიზაცია სანავთობე ამხანაგობა „რუპენტო“ და თურქულ-სპარსული „ხოშტარიას ბანკი“[131]. ამას უნდა დაემატოს აკაკის საკუთრებაში არსებული სხვა საწარმოები: მექანიკური ქარხანა, საპნისა და სამიწათმოქმედო იარაღების ქარხნები და ა. შ. მან ირანში თავის ქარხანასთან ქვეყანაში პირველი რკინიგზა გაიყვანა[132]. აკაკიმ პირველმა შეიყვანა ავტომობილები ირანში და ნავთობზე არსებული მონოპოლიის გარდა, ასევე ფლობდა მონოპოლიას საპნის წარმოებაზე და თევზის სარეწებზე.

პარადოქსია ის, რომ აკაკი, რომელმაც მოღვაწეობა ირანში ყაჯართა დინასტიის პერიოდში დაიწყო და შესაბამისად მმართველ წრესთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, 1925 წელს ირანში მომხდარი გადატრიალების შემდეგაც[133] მოაეხერხა ახალ მმართველთან, უკვე ფაჰლავიანი რეზა ხანთან, შთამბეჭდავი ურთიერთობის დაჭერა. რეზა ხანის გამეფების ცერემონიალის დროს აკაკი ხოშტარიას მიეცა საშუალება ახალ გვირგვინოსანს მიართვას იტალიიდან ჩამოტანილი ძვირფასი საჩუქარი[134]. აკაკის ცხოვრების ეს მონაკვეთი კარგად მიუნიშნებს მის პოლიტიკური ლავირების ნიჭ-

[130] ლ. ნაკაიძე. „პირველი ქართველი მეცენატი და მრეწველი“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ტ. III. ბათუმი. 2012, გვ. 130-132.

[131] ნ. კუპრეიშვილი, ფ. წულაია. „ნამდვილი ქართველი მილიონერი“. ჟურნ. „ომეგა“. №10. თბ. 2003, გვ. 69-70.

[132] რ. დაუშვილი. ჟურნ. „თბილისელები“. №51(41). თბ. 2008, გვ. 18-19.

[133] იხ. გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისში). თბ. 2011, გვ. 201-203.

[134] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №85(6451). 2010, გვ. 5.

ზე, რომ მიუხედავად პოლიტიკური სისტემების შეცვლისა ის ახერხებდა კარგი ურთიერთობის დაჭერას ყველა მმართველთან.



რეზა შაჰი **(1878-1944** წწ.**)**

იგივეს თქმა შეიძლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში აკაკის ურთოერთობებზე ახლადშექმნილ საბჭოთა კავშირის მთავრობასთან. მაგალითად, 1920-იან წლებში, როდესაც სამოქალაქო ომის შედეგად, საბჭოთა კავშირში პურის მწვავე დეფიციტი გაჩნდა, საბჭოელებმა აკაკის სთხოვეს დახმარება. ასე შეიქმნა კომპანია „საბჭოთა კავშირი და ხოშტარია“, რომელიც ითვალისწინებდა საკუთარი სახსრებით ირანში პურის ყიდვასა და ბაქოში გაგზავნას. საბოლოოდ, კომუნისტებსა და ხოშტარიას შორის თანამშრომლობა ხანგრძლივი ვერ გამოდგა, რადგან საბჭოელებმა მას უარი უთხრეს დახარჯული სასხრების დაბრუნებაზე. ზუსტად ამის შემდეგ მის სიცოცხლეზე შექმნილ საშიშროებაზე მოუწია აკაკის ქვეყნიდან წასვლა.

## მეცენატობა

ირანში მეწარმეობასთან პარალელურად აკაკი მასშტაბურ მეცენატობასაც ეწეოდა. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებია მის მიერ დაფინანსებული ბათუმის მთავარი ზღვისპირა ბულვარის გაშენება. მან ასევე დააფინანსა მახინჯაურის ბოტანიკური ბაღი, ახალი ათონის ცენტრალური პარკი და იალტის მთავარი ბაღი. ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით აკაკიმ რკინიგზის ხაზი გაიყვანა

ფოთიდან მშობლიურ აბაშაში.

მისი ყველაზე ცნობილი საჩუქარი იყო საჯარო აუქციონზე შეძენილი ცნობილი მრეწველისა და საზოგადო მოღვაწის დავით სარაჯიშვილის სახლი. სხვადასხვა მონაცემებით, როდესაც 1918 წელს სახლი იყიდებოდა, ტფილისელებმა თხოვნით მიმართეს აკაკის მის შესაძენად[135]. აკაკი ერთი პერიოდი ამ სახლში თვითონ ცხოვრობდა და მის გადასაკეთებლად იტალიიდან ლომის ფიგურები და სხვა ანტიკვარული ნივთები ჩამოიტანა, მოაწყო საზაფხულო და ზამთრის ბაღები. ეს სახლი აკაკიმ სხვა ქონებასთან ერთად ქვეყანას საჩუქრად დაუტოვა ემიგრაციაში წასვლის შემდეგ. სწორედ ამ სახლში განთავსდა დღეს ცნობილი „მწერალთა სახლი“.



„მწერალთა სახლი“ თბილისში

აღსანიშნავია, რომ აკაკი ხოშტარია არა მხოლოდ ახლობლებს, არამედ საზღვარგარეთ სასწავლებლად მყოფ ქართველ სტუდენტებსაც უწევდა მატერიალურ დახმარებას. მაგალითად, ბერლინისა და პარიზის უნივერსიტეტებში ბევრი ქართველი სტუდენტი დააფინანსა. კონსტანტინოპოლში მის მიერ დაარსებულ თურქულ-სპარსულ ბანკში საქართველოდან ჩასული ქართველები დაასაქმა.

[135] ა. წონკოლაური. დიდნი საქმენი. თბ. 2011, გვ. 510-512.

გარდა ამისა, ცნობილია ისიც, რომ 1907 წელს აკაკიმ ტფილისში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ბაქოდან 8 000 მანეთი გამოუგზავნა. საფრანგეთში ლადო გუდიაშვილისა და ანდრე ლოტის სურათები შეიძინა, საქართველოს ხელოვნების მუზეუმს გამოუგზავნა. ხოლო თავისი დედის სახელზე, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის ცენტრში არსებული ულამაზესი შენობა 1915 წელს სოფელს უბოძა საგანმანათლებლო ცენტრის შესაქმნელად. აკაკიმ ასევე მნიშვნელოვანი თანხები გაიღო ქართული უნივერსიტეტის (თსუ) და თეატრისთვის (50 000 მანეთი)[136].

ცხოვრების მომდევნო პერიოდშიც, როდესაც პოლიტიკური კატაკლიზმები მის ბიზნეს-საქმიანობას ირანში ძირი გამოუთხარა, აკაკი არ წყვეტდა სამშობლოსთვის დახმარების გაწევას[137]. მაგალითად, მან 1920 წელს აშშ-სა და იტალიაში შეიძინა ოთხი მცირე ზომის სამხედრო გემი: „პრეზიდენტი ჟორდანია", „საქართველო", „თამარ მეფე", „რუსთაველი" და ისინი საჩუქრად გადასცა მაშინდელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას[138]. ხოლო მას შემდეგ, რაც ნოე ჟორდანიას მთავრობა საფრანგეთში გადავიდა, აკაკის იქაც არ შეუწყვეტია თავისი მხარდაჭერა ლეგიტიმური მთავრობისთვის[139].

მიუხედავად იმისა, რომ აკაკი ხოშტარია არ იყო ლიად შემჩნეული 1917 წლის რევოლუციამდე ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში, ირიბი ცნობები არსებობს იმის თაობაზე, რომ მას ქართველ რევოლუციონერებს შორის მეგობრები ჰყავდა. ასეთი იყო, მაგალითად, თედო სახოკია (1868-1956 წწ.), რომლის მემუარებში – ციმბირში. მოგონებანი 1905 წლის რევოლუციის დროიდან – ჩვენამდე მოღწეულია

[136] ასევე არსებობს ცნობა, რომ ხოშტარიამ ქართული გიმნაზიის ფიზიკის კაბინეტს 5 000 მანეთი შესწირა. იხ. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება". №46. 1916, გვ.15.

[137] კიდევ ერთი საინტერესო ცნობა არის შემონახული 1918 წელს ხოშტარიას მიერ ქართული ლატარეისთვის 50 000 მანეთის შემოწირულობის შესახებ. იხ. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება". № 14. 1918, გვ. 15.

[138] ლ. ნაკაიძე. „პირველი ქართველი მეცენატი ქართველები". კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე: სამეცნიერო ჟურნალი. №2. თბ. 2010, გვ. 105-108.

[139] აღნიშნულ საკითხზე იხილეთ სტატია ი. აბულაშვილისა: „„ვარდების მეფე", რომელმაც საქართველოს 4 სამხედრო გემი აჩუქა". გაზ. „რეზონანსი". 2015. №27, გვ. 11.

ინფორმაცია მასსა და აკაკი ხოშტარიას ნაცნობობის შესახებ. უფრო მეტიც, ორი ადამიანი შეიძლება ახლო მეგობრებიც ყოფილიყვნენ, რადგან შეხვედრა ხოშტარიასთან მოხდა იმ დროს, როდესაც სახოკია ციმბირიდან გაიქცა[140]. ახლო მეგობრობა თუ აიძულებდა ხოშტარიას და მის მეუღლეს მინადორას გაეღოთ კარი დამნაშევესთვის[141].

## ემიგრაცია და გარდაცვალება

აკაკის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დანაკარგი იყო 1921 წელს საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარებით მისი უძრავი ქონების კონფისკაცია. ამასთან ერთად, საბჭოთა რუსეთსა და ირანს შორის 1921 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულების შესაბამისად, ვლადიმირ ლენინის მიერ მეფის რუსეთის აქტივებსა და ვალებზე უარის თქმის შემდეგ, ირანში რუსეთის მოქალაქეებისათვის სხვადასხვა კონცესიების, ბანკებისა და სხვა ქონების ჩამორთმევა მოხდა.

1924 წელს გარდაიცვალა აკაკის მეუღლე მინადორა (დაბ. 1881 წ.), რომელიც თეირანის დულაბის მართლმადიდებლურ რუსულ სასაფლაოზე არის დასაფლავებული. მისი აკლდამა ირანის ტერიტორიაზე ქართული სასულიერო ხუროთმოძღვრების საინტერესო ნუმუშს წარმოადგენს. თვითონ აკაკი 1932 წელს პარიზში, ემიგრაციაში, 59 წლის ასაკში გარდაიცვალა და დაკრძალულია პარიზის პერ-ლაშეზის სასაფლაოზე[142].

---

140 სადაც ის "სირიუსის" ოპერაციაში – საქართველოში ევროპიდან გემით უკანონოდ იარაღის შემოტანის – მონაწილეების გამო სასჯელს იხდიდა. აღნიშნულ საკითხზე იხ. დ. შველიძე. გ. გაფრინდაშვილი. გიორგი დეკანოზიშვილი – მამულიშვილის დაბრუნება. თბ. 2010.

141 თ. სახოკია. ციმბირში. მოგონებანი 1905 წლის რევოლუციის დროიდან. თბ. 2012. გვ. 176-177.

142 „საფრანგეთში გარდაცვალებულნი: პერლაშეზის სასაფლაო". ლტოლვილთა საძვალენი: 1921-1974. პარიზი. 1971, გვ. 24.

# თავი VIII

# მიქაელ არამიანცი და საქართველო

## გზა ტფილისამდე

მიქაელ არამიანცი 1843 წლის 4 მაისს მთიან ყარაბაღში, სოფელ კეატუკში, სოფლის მამასახლისის ოვსეპის ოჯახში დაიბადა. მიქაელი 15 წლისა იყო, როდესაც სასწავლებლად ქალაქ შუშაში გაემგზავრა. სწავლა არ უჭირდა, ყველაფერს იოლად ითვისებდა და მეცნიერებისადმი დიდ ინტერესსაც ამჟღავნებდა. მიქაელი ტფილისის გიმნაზიაში სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა, თუმცა მან ადრეულ ასაკშივე წარმატებით გამოსცადა თავი ვაჭრობაში. საქმის შესასწავლად იგი შუშაშივე ცნობილ ვაჭარს თარუმანიანს თანაშემწედ მიაბარეს, რომელიც სავაჭრო საქმიანობას ყარაბაღის გარდა, საზღვარგარეთაც ეწეოდა. არამიანცი ხშირად ჩადიოდა თავრიზში, ირანში, სადაც ის ცოტა ხანში ფირმის წარმომადგენლადაც დანიშნეს. 4 წელიწადში მიქაელმა თავისი პირველი კაპიტალი – 3 000 მანეთი – დააგროვა და 1871 წელს სამხრეთ კავკასიის ცენტრში, ტფილისში გადავიდა საცხოვრებლად.

არამიანცი 28 წლისას საკმაოდ დიდი ქონება შეაგროვა ქსოვილებით, აბრეშუმითა და შალით ვაჭრობით. ჩართული იყო შაქრის ტრანზიტულ კომერციაში ისეთ დიდ ქალაქებთან, როგორებიც იყო მარსელი, თავრიზი და თეირანი. თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს არ იყო არამიანცის ნამდვილი წარმატება, რადგან მას ჯერ არ გაუცნია ბაქოს ნავთობი და მასთან დაკავშირებული ფინანსური პერსპექტივები. არამიანცის ტფილისში ცხოვრების პირველ ეტაპზე წარმატებული ბიზნესის გარდა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: მას შეუყვარდა ცნობილი კომერსანტის, შოლკოიანცის 18 წლის ქალიშვილი – ელისაპეტი.

თუმცა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა იმდროინდელ სამხრეთ კავკასიაში მეწარმეობა ხშირად ზედმეტადაც კი იყო დამო-

კიდებული რეგიონში არსებულ საგარეო პოლიტიკურ ვითარებაზე. ასე, მაგალითად, 1877-1878 წლებში მიმდინარე მორიგმა რუსეთ-თურქეთის ომმა დიდი გავლენა მოახდინა არამიანცის ბიზნესზე. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ჩაკეტვამ და საომარმა მოქმედებებმა საქართველოს საზღვრებთან ახლოს გამოიწვია არამიანცის თითქმის მთლიანი ქონების დაკარგვა. სხვადასხვა მონაცემის მიხედვით მას მხოლოდ 7 000 მანეთი და ტფილისში მტკვრის სანაპიროზე ერთი პატარა სახლი დარჩა. არამიანცს კიდევ რამოდენიმე წელი დასჭირდა რთული ფინანსური მდგომარეობიდან გამოსასვლელად და 1884 წელს ბაქოში გამგზავრებამდე მისი კაპიტალი უკვე 40 000 მანეთს შეადგენდა.

1880-იანი წლების ბაქომ უკვე გაითქვა მსოფლიოში სახელი როგორც ნავთობის მოპოვების ცენტრმა. ქალაქში უკვე მუშაობდნენ ისეთი დიდი ფინანსური ოჯახები, როგორც როტშილდები და ნობელები. მათთვის კონკურენციის გაწევა რომ შეძლებოდა, არამიანცმა ბიზნესში ძველი მეგობრის ჩართვა გადაწყვიტა. ეს ტფილისის უმსხვილესი კომერციული ბანკის აქციონერი და ვიცე-თავმჯდომარე, პირველი გილდიის ვაჭარი ალექსანდრე მანთაშევი იყო. მათ ერთმანეთი ჯერ კიდევ არამიანცის თავრიზში ყოფნისას გაიცნეს. მანთაშევი ირანში მამასთან იყო ჩასული და იქ საკმაოდ დიდ მოგებას ვაჭრობით შოულობდა[143].

[143] ალექსანდრე მანთაშევი 1842 წელს ტფილისში დაიბადა. ბავშვობა ირანში, ქალაქ თავრიზში გაატარა მამასთან ერთად, რომელიც იქ ვაჭრობით იყო დაკავებული, ხოლო ნამდვილი ბიზნესი თანამედროვე გაგებით კი ინგლისში შეისწავლა.

ალექსანდრე 27 წლის იყო, როცა მანჩესტერში ჩავიდა და იქიდან მამას ამარაგებდა ბამბეულითა და სხვა საქონლით. ინგლისიდან სამი წლის შემდეგ ირანში დაბრუნებული მანთაშევი მამასთან ერთად ტფილისში გადავიდა. თავიდან მანთაშევებმა ერივანსკის (თანამედროვე თავისუფლების) მოედანზე მდებარე სასტუმრო „კავკაზის" პირველ სართულზე გახსნეს ქსოვილების მაღაზია. მალე პირველს მეორე მაღაზიაც მიაყოლეს და საცალო ვაჭრობიდან საბითუმოზე გადავიდნენ. მშობლების გარდაცვალების შემდეგ 200 ათასი მანეთი მემკვიდრეობა ახალგაზრდა ალექსანდრეს ხელში აღმოჩნდა.

ამ ფულით მან ტფილისის კომერციული ბანკის აქციების საკონტროლო პაკეტი იყიდა და მთავარ აქციონერად იქცა. ცოტა ხნის მერე კი ბანკის ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარეც გახდა. ტფილისის კომერციული ბანკი იმ დროისთვის ყველაზე ავტორიტეტული იყო



ალექსანდრე მანთაშევი **(1842-1911 წწ.)**

თავდაპირველად ორ ადამიანს შორის კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა[144] და მანთაშევი დათანხმდა კიდეც არამიანცის შე-

მთელ კავკასიაში და მისი აქციები რუსეთის იმპერიის მთავარ სანქტ პეტერბურგის ბირჟაზე იყო კოტირებული. მანთაშევის გათვლა სწორი გამოდგა, რადგან მალე მისი ქონება ერთი ორად გაიზარდა და 1890 წლისთვის ის უკვე პირველი გილდიის ვაჭარი და ტფილისის სათათბიროს სპიკერიც იყო. იხ. Е. Татевосян. Александр Манташев (1842-1911 гг.). Тбилиси. 2011. ასევე აღსანიშნავია С. Гевенян. Великий благотворитель и меценат Александр Манташев. Эчмиадзин. 2002, стр. 55-76.

[144] ეს ორი ადამიანი პირადი ბიზნესის გარდა ხშირად ახორციელებდა საერთო შემოწირულობებსაც. მაგალითად, 1899 წლის მაისის დასაწყისში ტფილისის მოურავმა ქალაქის შეძლებულ მოსახლეობას სთხოვა

მოთავაზებას ბაქოში საერთო სანავთობო ბიზნესი დაეწყოთ.



მიქაელ არამიანცი

სანავთობო ბიზნესი კარგად ვითარდებოდა, რაც აისახა კიდევაც 1899 წლის 11 ივნისს სააქციო და სანავთობო საზოგადოება „ა. ი. მანთაშევი და კომპანიის“ დებულების ოფიციალურად დამტკიცებით. კომპანიის დამფუძნებლები იყვნენ ტფილისის პირველი გილდიის ვაჭარი მანთაშევი და ბაქოს პირველი გილდიის ვაჭარი არამიანცი. საერთო კაპიტალი 22 მილიონ მანეთს შეადგენდა, ანუ სულ 88 000 აქცია, სადაც თითოეული 250 მანეთად ფასობდა. მიღებული დებულების მიხედვით კომპანია იმართებოდა ხუთი დირექტორისგან შემდგარი საბჭოთი, რომლის არჩევაც აქციონერთა საერთო კრებით ხდებოდა. ამ კომპანიაში მიქაელ არამიანცს 25%-იანი წილი ჰქონდა.

ნავთობი მომავლის ბიზნესი აღმოჩნდა. არამიანცის საქმიანობა დღითი-დღე ფართოვდებოდა. მაგალითისთვის აფშერონის ნახევარკუნძულზე (სადაც ქალაქი ბაქო მდებარეობს) კომპანიის საკუთრებაში იყო ნავთობით მდიდარი დაახლოებით 174 ჰექტარი მიწის ფართობი. არამიანცს ასევე ეკუთვნოდა ნავთობის ქარხანა, საქაჩი სადგურები, სპეციალურად მოწყობილი ნავმისადგომი და უამრავი სახელოსნო. სხვადასხვა მონაცემით არამიანცს წარმომადგენლობა ჰქონდა გახსნილი სმირნაში (თანამედროვე დასავლეთ თურქეთში მდებარე ქალაქი იზმირი), სალონიკში (საბერძნეთი), კონსტანტინოპოლში (თანამედროვე სტამბოლი), ალექსანდრიასა

შემოწირულობები გაეკეთებინათ მცხეთის ტაძრისთვის (მისი განახლების ფონდის გასაფართოებლად). ასე, მანთაშევმა 1 000 მანეთი შესწირა, ხოლო არამიანცმა კი 500. (გაზ. „ივერია“. №91. 1899, გვ. 1)

და კაიროში (ეგვიპტე). ამის გარდა წამორმადგენლობები ჰქონდა ჩამოყალიბებული დასავლეთ ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის ისეთ ქალაქებში როგორებიცაა მარსელი, ლონდონი, ბომბეი და შანხაი.



ბაქო XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში

თუმცა დროთა განმავლობაში არამიანცსა და მანთაშევს შორის ურთიერთობა დაიძაბა. კომპანიის მიერ მიღებული დიდი შემოსავალი ორ მდიდარ ადამიანს შორის განხეთქილების საგანი გახდა. მანთაშევს კომპანიაში სრული დომინირება სურდა და ამიტომაც მალულად დაიწყო თავისი კომპანიონების აქციების შესყიდვა, რაც გამოიწვევდა მათ განდევნას საერთო ბიზნესიდან. არამიანცს მოუწია გასვლა სანავთობო წამოწყებიდან და საერთოდ ქალაქ ბაქოდან წასვლა უკან ტფილისში. იმ დროისათვის მისი ქონება გაყიდული აქციებიდან 10 000 000 მანეთს აღწევდა.

### ოჯახური დილემა

აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელმაც დიდად იმოქმედა არამიანცის გადაწყვეტილებაზე ბაქო დაეტოვებინა: პრობლემები საკუთარ ოჯახში. მის მეუღლეს ელისაპეტს ბაქო არ მოსწონდა და ის უფრო პროვინციულ, არაგანვითარებულ ადგილად მიაჩნდა. ოჯახში ხშირი იყო უთანხმოებები და არამიანცი იძულებული იყო დათანხმებოდა ცო-

ლის დაჟინებულ მოთხოვნებს ტფილისში დაბრუნებულიყვნენ. ამასაც კი არ გააუმჯობესებია მდგომარეობა ოჯახის შიგნით. ელისაპეტი არამიაცის ქონების ფლანგვას განაგრძობდა ქალაქის სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებში. თუმცა აქ კიდევ ერთმა დამამძიმებელმა გარემოებამ იჩინა თავი. ბაქოში ყოფნისას არამიანცს ხელში ჩაუვარდა მეუღლის სასიყვარულო წერილები, რამაც ის ღალატში ამხილა ბაქოს გუბერნატორის დაცვის წევრთან[145]. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ 1884 წელს ტფილისიდან ბაქოში გამგზავრებამდეც არამიანცამდე მოდიოდა ბევრი ჭორი ელისაპეტის ღალატის შესახებ.

ასე რომ, არამიანცის ბაქოდან წასვლა ნაკარნახევი იყო როგორც გართულებული ბიზნეს-გარემოთი, ასევე პირადი, ოჯახური მიზეზებით. ელისაპეტასთან ცხოვრების გაგრძელება წარმოუდგენელი გახდა და მთელი რვა თვის განმავლობაში მიმდინარეობდა სასამრთლო დავა. პირველი ქორწინებიდან მიქაელ არამიანცს ექვსი შვილი დარჩა.

ელისაპეტის შემდეგ, ტფილისში დაბრუნებული არამიანცი ქალაქის იმ დროს ცნობილ ლამაზმანს, ევგენია შხიანცს დაუახლოვდა. მართალია არამიანცს ევგენია ოფიციალურად ცოლად არ შეურთავს, ის მას საზოგადოების წინაშე მეუღლედ წარადგენდა. მიქაელმა ევგენიას ქალაქის ცენტრში, თანამედროვე კოსტავას ქუჩის დასაწყისში, სამსართულიანი სახლი აუშენა. ეს სახლი დღემდეა შემორჩენილი და გამოირჩევა თავისი არქიტექტურით. არამიანცმა შხიანცის სახლის ეზოში პარიზში სპეციალური შეკვეთით დამზადებული ბრინჯაოს ირმების სკულპტურა დადგა. თუმცა აქაც, უკვე მეორედ, არამიანცს არ გაუმართლა: ურთიერთობა ევგენიასთან ხანმოკლე გამოდგა, რადგან შხიანცმა ის მიატოვა და საყვარელთან ერთად ტფილისიდან გაიქცა.

---

[145] არსებობს ცნობები, რომ მიქაელის ძმამ კონდორმა, გაბრაზებულმა ამ ამბის გაგებით დატოვა სახლი და იარაღის გასროლით ელისაპეტის მოკვლაც კი სცადა. მიქაელის მეუღლე გადარჩა, ხოლო კონდორი კი პსიქიატრიულ კლინიკაში გადაიყვანეს.

## ნავთობიდან მშენებლობაზე გადასვლა

არამიანცის ტფილისში საბოლოო გადმოსვლამ ასევე გავლენა იქონია მის ბიზნეს-საქმიანობაზე. ის აღარ იყო ნავთობის ბიზნესში და იძიებდა ახალ სფეროებს სადაც დიდი ფულის შოვნა მოხერხდებოდა. ამიერიდან ბევრ სხვა საქმიანობასთან ერთად[146] მშენებლობის ბიზნესმა დიდი ადგილი დაიკავა მის ცხოვრებაში. ეს ერთგვარი ქველმოქმედებაც იყო და ახალი ბიზნეს-წამოწყება. მაგალითად, არამიანცმა გოლოვინის (თანამედროვე რუსთაველის) გამზირზე ააგო მდიდრული სასტუმრო, რომელსაც შვილების სახელების პირველი ასოებისგან შემდგარი სახელი, „არფასტო“ (არამი, ფლორა, ანა, სოლომონი, თამარა (უფროსი ვაჟის მეუღლე) და ოვანესი) უწოდა. დღეს ამ შენობაში შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტია განთავსებული.



„არფასტო“ – თანამედროვე შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შემდეგ არამიანცმა გოლოვინის გამზირზევე კიდევ უფრო გრანდიოზული პროექტის წამოწყება გადაწყვიტა. გოლოვინი-

[146] მაგალითად, არამიანცის ერთ-ერთი საქმიანობა იყო თავად დადეშქელიანებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით, სვანეთში ტყეების გადამუშავება (Газ. «Кавказ». №47. 1903, გვ. 2).

სა და ბარიატინსკის ქუჩების კვეთაზე ვინმე როტინოვის სახლი მდგარა, სადაც ფოტოგრაფ პეტრე განკევიჩს ატელიე ჰქონდა მოწყობილი. არამიანცმა ეს შენობა შეისყიდა და მომავალი სასტუმროს პროექტის შექმნა იმ დროის ერთ–ერთ ყველაზე წარმატებულ, ტფილისსა და ბაქოში ცნობილ არქიტექტორს, გაბო ტერ-მიქელოვს მიანდო. არამიანცმა ტერ-მიქელოვი ევროპაში გაამგზავრა პროექტზე სამუშაოდ. შედეგად, 1915 წელს, გოლოვინის გამზირზე აშენდა სასტუმრო „მაჟესტიკი"[147], რომელიც დღეს ჩვენთვის „თბილისი მარიოტით" არის წარმოდგენილი[148].



ყოფილი „მაჟესტიკი"

თუ არამიანცის ეს ორი პროექტი ნაწილობრივ კომერციული ხასიათის იყო, მისი ყველაზე დიდი და, სავარაუდოდ, მნიშვნე-

147 სახელწოდება ფრანგული ეტიმოლოგიისაა და ქართულად ზღაპრულს ნიშნავს. „მაჟესტიკი" არამიანცის ერთ-ერთ გემს ერქვა.

148 არამიანცს ასევე ეკუთვნოდა შემოსავლიანი სახლი ოლგას (კოსტავას) ქუჩის №23-ში. თუმცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას ეს შენობა ჩამოართვეს და მომდევნო პერიოდში მის ტერიტორიაზე „ვერის ბაზარი" შეიქმნა (ჟურნ. „თბილისელები". №9(635). 2013, გვ. 31).

ლოვანი საჩუქარი ტფილისისთვის პირველი თანამედროვე საავადმყოფოს აშენება იყო.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ტფილისში მხოლოდ ერთი მუნიციპალური კლინიკა მოქმედებდა, რომელსაც ხალხი „მიხაილოვის საავადმყოფოს“ ეძახდა. პატარა სივრცისა და უფრო მეტად კი პაციენტების დიდი ნაკადის გამო, საავადმყოფო მუდმივად გადატვირთული იყო. XX საუკუნის დასაწყისში არსებული სტატისტიკის მიხედვით, „მიხაილოვის საავადმყოფო“ ადგილების სიმცირის გამო ყოველწლიურად, დაახლოებით, 6 000 პაციენტს ეუბნებოდა უარს მკურნალობაზე. ტფილისში შეუძლებელი იყო ნორმალური სამედიცინო მომსახურების მიღება. შესაბამისად, ახალი სამედიცინო დაწესებულება ქალაქის სასიცოცხლო საჭიროებას წარმოადგენდა. იმ დროს ტფილისის თავი ალექსანდრ არღუთინსკი–დოლგორუკი იყო, რომელიც ბაქოში 1902 წელს მიქაელ არამიანცთან გამართულ საუბარს იხსენებდა:

> „– რა სჭირდება ახლა ყველაზე მეტად ტფილისს? – მკითხა არამიანცმა.
> – ქალაქს ბევრი რამე სჭირდება, მაგრამ უმთავრესი საავადმყოფოა. მიხაილოვის საავადმყოფოს ქალაქი ინახავს და ვალდებულია, მთელ მხარეს მოემსახუროს. ამადაც ბუნებრივია, რომ სნეულების მეათედსაც ვერ ართმევს თავს. ქალაქს კი ახალი საავადმყოფოსთვის ფული არ აქვს...“

ამ საუბრიდან ერთი წლის თავზე, 14 აპრილს ქალაქის უკვე ყოფილი თავისთვის მიწერილ წერილში არამიანცი იუწყებოდა: „მაქვს პატივი, ვაცნობო თქვენს ბრწყინვალებასა, რომ ქალაქის საავადმყოფოს მშენებლობას 100 000 მანეთს ვწირავ“[149]. მშენებლობის დაფინანსების სანაცვლოდ არამიანცს სურდა, რომ საავადმყოფოს მისი სახელი დარქმეოდა[150].

[149] გაზ. „ივერია“. №88. 1903, გვ. 2.
[150] გაზ. „ივერია“. №81. 1903, გვ. 1.

საავადმყოფო[151] რამდენიმე წლის განმავლობაში არქიტექტორ პავლე ზურაბიანის[152] ხელმძღვანელობით შენდებოდა. მიუხედავად შემოწირულობისა, მშენებლობის საქმე ჭიანურდებოდა. მაგალითად, იმდროინდელ გაზეთებში მრავალჯერ გამოითქვა წუხილი, რომ ვერ ხერხდებოდა დროულად საავადმყოფოს არქიტექტურული გეგმის მოწყობა. პირველი გეგმის მიხედვით, შენობა 100 000 მანეთის ნაცვლად 140 000 მანეთამდე დაჯდებოდა, რამაც გამოიწვია საქმის გადადება, რათა ახალი შედარებით იაფი პროექტი შემუშავებულიყო[153]. საბოლოოდ საავადმყოფო 1909[154] წლის დეკემბერში უნდა გახსნილიყო, თუმცა, როგორც ჩანს, ამუშავდა 1910 წლის თებერვალში. არამიანცის შემოწირულობით მთელი ქალაქი–საავადმყოფო აშენდა რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებით. არამიანცი საკუთარი სახსრებით ინახავდა შენობას, ავადმყოფების მკურნალობის საფასურს იხდიდა და თანამშრომლების ხელფასებსაც თავად უზრუნველყოფდა. ე. წ. „არამიანცის საავადმყოფოში" ევროპიდან რენტგენის აპარატიც კი ჩამოიტანეს, რომელიც იმდროინდელ რუსეთში რთულად თუ მოიპოვებოდა. უახლესი სამედიცინო ტექნიკის ყიდვა 250 000 მანეთი დაჯდა. თავდაპირველად კომპლექსი 100-120[155] პაციენტზე იყო გათვლილი[156].

[151] ა. კირაკოზოვი. „თბილისი, რომელიც სომხებმა ააშენეს", ჟურნ. „ბანკები და ფინანსები". №11. 2011, გვ. 1,6.

[152] გაზ. „ცნობის ფურცელი". №2646. 1904, გვ. 2.

[153] იხ. იქვე.

[154] გაზ. „დროება". №26. 1910, გვ. 3; გაზ. „მომავალი". №89. 1909, გვ. 3. გაზ. „დროება". №26. 1910, გვ. 3. აღსანიშნავია, რომ ბევრ სხვა წყაროში საავადმყოფოს გახსნის თარიღად მოხსენიებულია 1910 წლის მეორე ნახევარი.

[155] სხვა მონაცემების მიხედვით ახალ საავადმყოფოში 300-მდე ადგილი უნდა მოეწყოთ (გაზ. „ცნობის ფურცელი". №2199. 1903, გვ. 2-3).

[156] საინტერესოა რა ვნებათაღელვა გამოიწვია თავიდან არამიანცის მიერ 100 000 მანეთის შეწირულობამ. მაგალითად, ტფილისის ქალაქის საბჭო დიდი ხნის განმავლობაში ბჭობდა იმაზე, თუ როგორ უნდა დაეხარჯათ აღნიშნული თანხა. ყველა თანხმდებოდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო საავადმყოფო, თუმცა საბჭოს წევრები ვერ რიგდებოდნენ უნდა ყოფილიყო ეს მხოლოდ „შინაგან სნეულებათა საავადმყოფო" თუ მასში საქირურგო განყოფილებაც მოიაზრებოდა. მესამე ჯგუფი კი ფიქრობდა, რომ „შეშლილთა და სულით დავრდუმილთა საავადმყოფო უფრო საჭიროა ქალაქისთვისაო" (გაზ. „ივერია". №145. 1903, გვ. 1). ამ

საავადმყოფოს არქიტექტურა განსაკუთრებული იყო და, მაგალითად, ქალაქში ეპიდემიის შემთხვევაში შესაძლებელი იყო საავადმყოფოს ოთხ იზოლირებულ ნაწილად დაყოფა. საავადმყოფოს ასევე გააჩნდა თავისი დამოუკიდებელი ელექტროსადგური, ცენტრალური გათბობა, სავენტილაციო სისტემა, სამზარეულობები და პროზექტურა.

სხვადასხვა მონაცემებით, "არამიანცის საავადმყოფოს" აშენება-აღჭურვა დაახლოებით 500 000 მანეთი დაჯდა.

## გატაცება

1919 წლის 14 მაისს ტფილისის რუსულენოვანმა გაზეთმა „გრუზიამ" კრიმინალური ქრონიკის სვეტში ერთი პატარა ინფორმაცია დაბეჭდა, რომელიც ადამიანის გატაცებას ეხებოდა:

> „ამა წლის 12 მაისს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე, სერგის ქუჩაზე (დღევანდელი მაჩაბლის ქუჩა – ე. ა.) საკუთარი სახლიდან გამოვიდა ვაჭარი არამიანცი, რომელიც საქმეებზე მიემართებოდა. ლერმონტოვისა და სერგის ქუჩების კვეთაზე იგი თავდასხმის მსხვერპლი გახდა. უცნობმა პირებმა არამიანცს ხელი სტაცეს და იქვე გაჩერებულ ავტომობილში შეაგდეს. შემდეგ ავტომობილი სწრაფად გაქანდა და გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა. როგორც შემთხვევის ადგილას მისულ მილიციელებს თვითმხილველებმა განუცხადეს, გამტაცებელთა ბანდამ არამიანცი მანქანაში იარაღის მუქარით ჩასვა. ჯერჯერობით, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ყაჩაღები სამნი იყვნენ. მოქალაქეებმა ისიც შენიშნეს, რომ ავტომობილის ნომერი იყო 19".

---

უკანასკნელი მოსაზრების მთავარი მომხრე იყო საბჭოს წევრი, ექიმი მ. გედევანიშვილი. საბოლოოდ გადაწყდა, რომ „შინაგან სნეულებით ავადმყოფთა სამკურნალო" გახსნილიყო (გაზ. „ცნობის ფურცელი". №2199. 1903, გვ. 2-3).

ქალაქის მილიციამ არამიანცის გათავისუფლებისთვის ზომები მიიღო. სწრაფად მიაგნეს და დააკავეს ავტომობილის მძღოლი, ვინმე ერნესტ კრონტალი. მძღოლის ჩვენებით, არამიანცი გამტაცებლებმა ტფილისში, თანამედროვე კუკიის სასაფლაოს მიმართულებით წაიყვანეს. გამტაცებელთა აღმოსაჩენად მილიციამ ღამით ნაძალადევის რაიონში ტოტალური ჩხრეკა ჩაატარა და რამდენიმე საეჭვო პირი დააკავა. გაზეთები არ წერდნენ, რა ვითარებაში მოხერხდა არამიანცის გათავისუფლება. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ყაჩაღებმა ვაჭარი გატაცებიდან ერთი დღის შემდეგ გაათავისუფლეს.

იმავე დღეს, ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა, ფაჩულიამ არამიანცი დაკითხა, მაგრამ მისგან რაიმე ხელჩასაჭიდი ინფორმაცია ვერ მიიღო. არამიანცი ამბობდა, რომ გამტაცებლებს არ იცნობდა, მათი გარეგნობა ვერ დაიმახსოვრა და ამდენად ამოცნობას ვერ შეძლებდა. არამიანცი ამტკიცებდა, რომ მას მხოლოდ 14 ათასი მანეთი წაართვეს, ხოლო ოქროს საათი და ბრილიანტებით მოჭედილი სამკაული უკან დაუბრუნეს.

მიუხედავად ასეთი მწირი ინფორმაციისა, მილიციამ ძებნა განაგრძო და ჭიათურაში, არამიანცის ერთ-ერთი გამტაცებელი, ლაცია ლოლაძე დააკავა, რომელიც ტფილისში გაძლიერებული დაცვის ქვეშ ჩამოიყვანეს. ცოტა ხანში დადგინდა გამტაცებელთა ჯგუფის ხელმძღვანელის ვინაობაც – ეს იყო ცნობილი ყაჩაღი, ფირანა ზანდუკელი.

> „ტფილისის მილიციის უფროსს მოუვიდა ცნობა, რომ ცნობილი ყაჩაღი ზანდუკელი, რომელსაც ბრალდებოდა აუარებელი დანაშაული - მილიციელის და გვარდიელის მოკვლა, არამიანცის მოტაცება და სხვა, იმალებოდა ჯვარის მონასტერში (მცხეთის რაიონში). მის დასაჭერათ, 7 ივნისს, ნაშუაღამევის პირველის ნახევარზედ ტფილისიდან 2 ავტომობილით გაემგზავრნენ მილიციელები. მილიციის უფროსის სულაქველიძის, სისხლის სამართლის უფროსის ფაჩულიას და

საგანგებო რაზმის უფროსის კედიას მეთაურობით. რაზმმა ალყა შემოარტყა ჯვრის მონასტერს. გაჩხრიკეს ბერთა ბინა, მაგრამ ზანდუკელი არ აღმოჩნდა. დაიკითხა ბერი ილარიონი (ერობაში ილია ოზაშვილი), რომელიც ეკლესიას სდარაჯობდა. მან კატეგორიულად უარჰყო მონასტერში ვინმეს ყოფნა".

ჯერ კიდევ 1907 წელს, ბოროტმოქმედებმა მისი შვილი, სოლომონი გაიტაცეს[157]. არამიანცმა მის დასახსნელად 100 ათასი მანეთი გადაიხადა[158].

## ცხოვრების ბოლო წლები

1910-იან წლებში საქართველოში ბიზნესი სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. მხოლოდ ძირფესვიანი შიდა ან საგარეო პოლიტიკური ცვლილებები თუ გამოიწვევდნენ ამ პროცესის შეჩერებას. სამწუხაროდ რუსეთის იმპერიისთვის და კერძოდ საქართველოსთვის ასეთი მოვლენა პირველი მსოფლიო ომი და უმეტესწილად ამით გამოწვეული რუსეთის 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუციები იყო.

ეს არ გავდა არამიანცის მიერ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად შემცირებულ ბიზნესს. 1914-1917 წლების მდგომარეობა განსხვავებული იყო, რადგან არა მარტო მცირდებოდა სავაჭრო ბრუნვა მეზობელ ქვეყნებთან დაკეტილი საზღვრების გამო, არამედ 1917 წლიდან შეიცვალა რუსეთის იმპერიაში არსებული სოციალური წესრიგი, რომელშიც მდიდარი ადამიანები ნეგატიურად აღიქმებოდნენ, ხოლო 1921 წელს საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი მათი ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ დაექვემდებარა ექსპროპრიაციას.

157 გაზ. „ისარი". №12. 1907, გვ. 2.

158 1908 წელს, მიუხედავად საუკეთესო საექიმო დახმარებისა, მიქაელის მეორე ვაჟი, ოვანესი გარდაიცვალა.

არამიანცი არ იყო გამონაკლისი და 1918-1921 წლებში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ მას სასტუმროები და სახლები ჩამოართვა. გოლოვინის გამზირზე მდებარე მის სასტუმროებში 1918 წელს ჯერ გერმანია-კავკასიის სავაჭრო ბანკი გახსნეს, ხოლო 1919 წელს კი პროფკავშირებს გადასცეს. არამიანცს მხოლოდ სერგის №4-ში მდებარე სახლი დარჩა. არამიანცის ქონებას ტფილისის გარეთაც უქმნიდნენ პრობლემებს. 1918 წლის 1 მარტს გაზეთი „ერთობა“ იუწყებოდა, რომ ბორჩალოს მაზრაში (სამხრეთ საქართველო) მოსახლეობის მიერ დაიწყო მდიდარი ადამიანების მამულების დარბევა. მათ რიცხვში იყვნენ სუმბათოვის, მელიქოვებისა და არამიანცის სახლები[159].

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ არამიანცი სერგის ქუჩიდანაც გამოაგდეს. მიქაელს საკუთარ სახლში მხოლოდ პატარა სარდაფი შერჩა, სადაც შვილებთან ერთად ცხოვრობდა.

ტფილისის საპატიო მოქალაქე, ვაჭართა უმაღლესი გილდიის წევრი მიქაელ არამიანცი, რომლის ქონებაც ოდესღაც მილიონებს შეადგენდა, 1922 წელს ტფილისში გარდაიცვალა. არამიანცი ხოჯევანქის სომხურ სასაფლაოზე დაკრძალეს. მოგვიანებით ლავრენტი ბერიას მმართველობის პერიოდში სასაფლაოს დანგრევის შემდეგ არამიანცის საფლავი სამუდამოდ დაიკარგა.

[159] გაზ. „მწყემსი“. №7. 1907, გვ. 10-12.

# დასკვნა

ამ ნაშრომში განხილული XIX-XX საკუნეების მიჯნაზე საქართველოში მოღვაწე მეწარმეებისათვის ერთი მნიშვნელოვანი რამ არის დამახასიათებელი: თითქმის სრული გაღატაკება 1918 წელს საქართველოში მენშევიკური მთავრობის დაფუძნებით და საბოლოოდ 1921 წელს ბოლშევიკური ხელისუფლების ჩამოყალიბებით. ახალი პოლიტიკური მიმდინარეობა – კომუნიზმი – უარყოფდა ქონების დაგროვებას და მოსპო ბიზნესის წარმოების შესაძლებლობები და დაახლოებით მომდევნო 70 წლით შეაჩერა დამოუკიდებელი მეწარმეობის განვითარება საქართველოში.

ამ ნაშრომის წაკითხვისას საინტერესო პარალელების გავლება შეიძლება 1991 წელს დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ საქართველოში მიმდინარე კაპიტალისტურ წამოწყებებსა და იმ მეწარმეობას შორის, რომელიც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ვითარდებოდა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მყოფ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. დღეს ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ იმაზე, რომ 1991 წლის შემდგომი პერიოდი ხასიათდება კერძო საკუთრებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების ბუმით, როდესაც იქმნება და ვითარდება კომპანიები, სარეკლამო სააგენტოები ქმნიან საინტერესო რეკლამებს, ხოლო უცხოური მეწარმეები აფართოებენ თავის საქმიანობას მთელი ქვეყნის მასშტაბით და რომ ეს ყველაფერი სიახლეა ქართული რეალობისთვის.

ამ პატარა ნაშრომის შექმნის ერთ-ერთი მიზანი სწორედ იმის ჩვენებაა, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზეც რუსეთის იმპერიაში შემავალ საქართველოში მეწარმეობის დინამიკა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. უფრო მეტიც, იმდროინდელი მეწარმეობის შედეგი ქვეყნის ინფრასტრუქტურული განვითარება იყო. იქმნებოდა რკინიგზები, იყვანდნენ ტელეგრაფებსა და ნავთობსადენებს კასპიიდან შავ ზღვამდე. ეს თავის მხრივ, როგორც ნობელებზე საუბრისას იქნა ნაჩვენები, იწვევდა საქართველოს შავიზღვისპირეთში არსებული პორტების გააქტიურებას და მათ ფართო განვი-

თარებას. იმდროინდელი ეკონომიკური წინსვლა რიგითი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას ეხებოდა. უფრო მეტიც, როგორც ამ წიგნის მრავალი მონაკვეთიდან ჩანს, მეწარმეობის პერსპექტივები არ იყო კონცენტრირებული მხოლოდ ტფილისში, არამედ ქვეყნის სხვა ბევრ ქალაქსა და დასახლებაშიც წარმატებით ვითარდებოდა.

ამ ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი იყო XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში მეწარმეების ბიოგრაფიების განხილვით ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ჩვენება. ცალკეული ცნობილი ქართველი და საქართველოში მოღვაწე უცხოელი მეწარმეების ბიოგრაფიების შესწავლით კარგად ჩანს, თუ როგორ მჭიდროდ იყო საქართველო დაკავშირებული იმდროინდელ სამეზობლოში მიმდინარე სამხედრო და ეკონომიკურ პროცესებთან. მაგალითისთვის ავილოთ მიქაელ არამიანცის ცხოვრება, როდესაც ის ტფილისში ჩამოდის და 1877-1878 წლებში მორიგი რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად თითქმის მთლიანად დაკარგავს თავის ქონებას. მარტივად წარმოსადგენია როგორი გავლენა მოახდინა უფრო მასშტაბური კონფლიქტის – პირველი მსოფლიო ომის – დაწყებამ საქართველოში მოღვაწე მეწარმეების საქმიანობებზე.

აქ ცალკეული პიროვნებების შესწავლით შევეცადეთ გვეჩვენებენა იმ ეპოქის სამეწარმეო სულისკვეთება, რა პირობები არსებობდა წარმატებული მეწარმეობისთვის და როგორი იყო ადმინისტრაციული ხელშეწყობა. XIX-XX საკუნეების მიჯნის ქართული გაზეთების შესწავლით ნაწილობრივ გასაგები ხდება როგორ მიმდინარეობდა ახალი ბიზნეს-წამოწყებების ხელშეწყობა, როგორი დისკუსიები მიმდინარეობდა ქალაქის საბჭოში ტფილისის ინფრასტრუქტურული პრობლემების გადასაწყვეტათ.

ქართველი და საქართველოში მოღვაწე უცხოელი მეწარმეების საქმიანობა ნათლად გვიჩვენებს როგორი შესაძლებლობების ქვეყანა იყო რუსეთის იმპერია და მასში შემავალი სამხრეთ კავკასია. საქართველოში მეწარმეობას ხელს უწყობდა მისი ადგილმდებარეობაც. მიქაელ არამიანცისა და ნობელების საქმიანობიდან ნათლად იკვეთება ფაქტი, რომ უკვე XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში, 1870-იან წლებში ბაქოში ახლად აღმოჩენილი ნავთობი საჭიროდ გახადა საქართველოს შავიზღვისპირეთში სა-

პორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა ეს გამოწვევა მოაგვარა, როდესაც ბათუმი საქართველოს დაუბრუნდა. ამ ნაშრომით შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორ იძენს საქართველო ახალ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას (რომელიც მას დღემდე თან სდევს) არა მარტო რეგიონში, არამედ მთელი ევროპისთვის. ასევე შევეცადეთ გვეჩვენებინა როგორ იქმნება ღერძი ბაქო-ტფილისი-ბათუმი/ფოთი და რომ ნობელების, როტშილდებისა და სხვების საქმიანობა კარგად ასახავს ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას სამხრეთ კავკასიაში – საქართველოს სატრანზიტო ქვეყნად გადაქცევა.

ამ პატარა წიგნში განხილული მეწარმეებისა თუ სხვა ბიზნეს-ისტორიების გადმოცემით, ჩვენ ასევე შევეცადეთ შეგვექმნა ისეთი ნაშრომი, რომელიც უპასუხებდა არა მარტო საზოგადოებაში არსებულ კითხვებს და აამაღლებდა ზოგად ცნობისმოყვარეობას, არამედ საგრძნობ წვლილს შეიტანდა ამ საკითხების აკადემიურ შესწავლაში. მართლაც, ქართული ისტორიოგრაფია საკმაოდ მწირია XIX-XX სუკუნეების მიჯნის საქართველოში მოღვაწე მეწარმეების ცხოვრების შესახებ არსებული ნაშრომებით. როგორც ამ წიგნის შესავალში ითქვა დღემდე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში დაწერილი მოკლე შინაარსის სტატიები, იქნება ეს ნობელებზე, სიმენსებზე, ლაღიძეზე თუ სხვებზე, ნაკლებად არის გამოსაყენებელი აკადემიური მიზნებისთვის. ზუსტად ამიტომ შეიქმნა ეს ნაშრომი, როგორც საწყისი ეტაპი ქართული მეწარმეობის უფრო ღრმად შესწავლისთვის. უფრო მეტიც, ბიოგრაფიული შტრიხების მომზადებისას გამოვიყენეთ იმ ეპოქის საარქივო და ბეჭდური მედიის მასალა, რომელიც ასევე არ იყო ამ დრომდე ფართოდ გამოყენებული ისტორიულ ნაშრომებში.

დასკვნაში გვსურს აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე ნაშრომი მხოლოდ პირველ ნაწილს წარმოადგენს წიგნების იმ სერიისა, რომელიც მომავალში XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართველ და საქართველოში მოღვაწე უცხოელ მეწარმეებზე გამოვა. მართლაც, უზარმაზარი შეუსწავლელი ინფორმაცია არის გაფანტული საარქივო და ბეჭდურ მედიაში. ამ ნაშრომში მოყვანილი პიროვნებების გარდა, ძმები ზუბალაშვილების, ალექსანდრე მანთაშევის,

ევგენი ზემელისა და მრავალი სხვა ქართველი თუ საქართველოში მოღვაწე უცხოელი მეწარმეების ბიოგრაფიები დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი. ცალკეული პიროვნებების გარდა, შეუსწავლელია ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორებიცაა დაზგა-დანადგარების კომპანია „ზინგერი“, რუსული და ევროპული სადაზღვევო კომპანიების არსებობა იდროინდელ ქართულ ბაზარზე, კერძო ექიმების ბიზნესები ტფილისსა და სხვა ქართულ ქალაქებში და მრავალი სხვა ისტორია.

# Georgian Entrepreneurship (late XIX-early XX cc.)


## Summary

The incorporation of Georgia into the Russian Empire in the beginning of the 19th century, quite surprisingly, played as a catalyzer for the development of entrepreneurial activity in late 19th-early 20th centuries Georgia. There were several important factors favoring this development in Georgia: stable internal as well as external political situation around the country; geographic proximity of the Ottoman and Persian Empires; Russian Empire's economic interests such as growth of trade in order to compete with major European states (France and Great Britan) for the marlets in these two Middle East countries. Thus, the proximity of Georgia to the Ottoman and Persian Empires was reflected in trade growth and other economic activities between the two coutnries on the one hand and the South Caucausus overall on the other.

This development is well reflected in various biographies of the Georgian entrepreneurs discussed in this work. For instance, Akaki Khoshtaria's wide business network was spread across the Ottoman and Persian Empires. This, in turn, reflected the Russian Empire's wider economic aspirations/ambitions which we have just mentioned above.

These economic and political developments led to Tbilisi being steadily transformed throughout the 19th century into an entrepreneurial center of the South Caucaus. A look at the map shows that the geographic location too favored the city as it is located right in the center of the entire Caucasus. Moreover, a relatively good condition of transportation roads around Tbilisi also helped the city gain a prominent position in the region. For instance, in Mikael Aramiants' biography we see how he eventually left Baku to manage his business empire from Tbilisi. Yet another reason for transforming Tbilisi into a hub of poitical and business activity was the Tsarist ad-

ministration which chose the city as its capital in the Caucasus.

Moreover, the Russian Empire under the Romanov dynasty was a capitalist country. Entrepreneurship in general and various stories of businessmen in the Empire were very similar to what could quite often be found in west Europe of the time. As a result, in the second half of the 19th century entrepreneurs in various fields emerge in Georgia and began creating world-famous Georgian brands. Their products were spred not only across the Russian Empire itself, but traded extensively in the Middle East and Europe.

Advantageous geographic location, developing economy as well as other reasons also led many famous European companies and entrepreneurs into the South Caucasus and Georgia in particular. Nobels, Rotschilds, Siemens and many others from west Europe clearly saw those big business opportunities which existed in Georgia by the time. Surely, Georgia's importance in these families' business calculus was based on clearly determining the country's transit potential. It is also worth noting that foreign investors and inventor through extending their entrepreneurial activity in the South Caucasus contributed to a notable technological development of Georgia.

The study of entrepreneurs and various business stories in this book is quite rare generally in the Georgian historiography. Separate biographies of famous entrepreneurs such as Mitrophane Laghidze, Akaki Khoshtaria, Mikael Aramiants and others almost do not exist. Moreover, also understudied are business activities of the Rotschild, Nobel and Siemens families in Georgia.

At the same time, internet is full of information on the above-mentioned entrepreneurs and their Georgian businesses. However, quite often the information is incomplete and full of incorrect details. True, there had been attempts by scholars in the past to study the lifes and business activities of late 19th-early 20th century foreign and local entrepreneurs in the Georgia. Indeed, a lot of interesting details can certainly be found scattered in those articles and books. However, overall the information often does not correspond to the major question posed in this book: how was business done in

late 19th-early 20th centuries Georgia? Therefore, today there is an urgent need to study this question more comprehensively, particularly at the time when there are plenty of unstudied sources such as newspapers, memoirs, and archival documents.

Still, it is hard to perceive as to why such a rich tradition of entrepreneurship in late 19th-early 20th centuries Georgia has so far remained so unexplored. One of possible explanations could be found behind the establishment of the Bolshevik regime in Georgia in 1921. As it is shown in this work, foreign and local entrepreneurship in Georgia has almost entirely been stopped and wiped out of the country through expropriations or other means. Wealthy merchants and entrepreneurs became class enemies of the new political leadership and it was quite logical for the scholars of the Communist era to avoid researching on Georgian and foreign entrepreneurs working in Georgia. This even could partially explain the fact that those small works which do exist on Georgian entrepreneurship have only been created in the period since Georgia had regained independence in 1991.

This gap in the Georgian historiography makes the research and study of late 19th-early 20th centuries Georgian entrepreneurship essential in its own right. Since the necessary information is so spread in old archival and press material, which makes it difficult to write a general history of Georgian entrepreneurship, we thought of building our narrative through biographies of various entrereneurs and other business stories. This book will be the first modest step towards a more extensive research in the future of the questions raised here.

Now let us turn to the actual contents of the present work:

Through the research on the Nobels and other foreign entrepreneurs we tried to show what were the conditions for business activity in late 19th-early 20th centuries Georgia.

While perusing the chapter on the Nobels' activities in Georgia, readers will find interesting details on another important family – the Rotschilds – which was likewise heavily involved in business

across Georgia and modern Azerbaijan. These both families have not been properly studied in Georgia. The two contributed extensively to the development of the largest railway and pipeline infrastructure in Georgia.

We put the famous Siemens family into the same category. The Siemens laid the longest telegraph in the world – London-Calcutta (modern Kolkata) – through Georgia. This contributed to the regional connectivity enabling Georgian cities get news from Europe and other parts of the world on a daily basis rather than with several days. Moreover, the Siemens were the first inventors and entrepreneurs who found and extracted oil in Georgia, in the Kakheti province. Thus, overall the foreign entrepreneurs contributed extensively to South Caucasus' and Georgia's technological progress which perhaps had the largest effect on the population in general.

Beyond the fact that Akaki Khoshtaria's biography is largely unknown to a wider public, his life and business activities reflects how interconnected was Georgia with Persian and the Ottoman Empires. He was famous for his patronage of art and the support for Georgia's short independence of 1918-1921.

Mitrophane Laghidze's life is notable as it shows how small business was developingin across Georgia in late XIX-early XX centuries. Laghidze's entrepreneurial life proves that despite the fact that Tbilisi held a central economic and administrative position in the region, other small Georgian cities too had active business life.

Mikael Aramiants' biography is notable as beyond the South Caucasus, his business was also spread in major European and Asian cities. Aramiants' life shows the economic and administrative centrality of Tbilisi in the region. Indeed, after each success and failure in his business career Aramiants headed to Tbilisi where he eventually settled to manage his business empire. Moreover, research on his life provided here is far more important from a purely academic point of view as until now there have not been any notable works done on this issue.

Readers will also find a large chunk of this work dedicated

to the question of first Georgian advertisement. Some might find advertisement as not an important academic question to work on, but the quantity and quality of advertisments in Georgian newspapers of late XIX-early XX centuries could be taken as an indicator of business development in the country. First Georgian advertisement is a separate topic for academic research which up until now has not extensively been touched upon.

Along with the Georgian advertisement, another chapter from non-biographical theme is on the Chiatura manganese, its discovery and extraction in west Georgia. The focus in this chapter has been on how the business sector (separate Georgian and foreign business figures as well as local and foreign companies) got steadily interested in new raw material discoveries.

Thus, as a conclusion it could be easily claimed that this work overall will serve as a good basis for further research on the above-mentioned subjects and an in-depth business history of Georgia in general. It is also worth noting that the present work is only the first part in a series on Georgian entrepreneurs and various business stories from late XIX-early XX centuries.

The present book, in addition to its academic strengths and advantages explained above, will be interesting to all involved in research on late XIX-early XX centuries history of Georgia. Moreover, others interested more generally in the history of Russian dominance in the South Caucasus will also find this book notable to peruse for advancing their knowledge.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:


1. ავდალიანი ე. „ჭიათურის მანგანუმი – ქართული „შავი ოქროს“ ისტორია“. ჟურნ. “Forbes Georgia”. №19. 2013, გვ. 106.
2. ავდალიანი ე. „ევროპისა და აზიის დაკავშირება – ძმები სიმენსები საქართველოში“. ჟურნ. “Forbes Georgia”. №16. 2013, გვ. 100-102.
3. ავდალიანი ე. „დიდი ფინანსური ომი საქართველოში: ნობელები, როტშილდები და როკფელერები“. ჟურნ. “Forbes Georgia”. №17. 2013, გვ. 118-119.
4. სანიკიძე გ., ალასანია გ., გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისში). თბ. 2011,
5. ბარამია კ. „ქართული რეკლამის ისტორიიდან“. ახალგაზრდა ისტორიკოსთა შრომები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი/მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი. №3, თბ. 2016, გვ. 68-76.
6. გაბოძე ჯ. აკაკის თხზულებათა გამოცემები. თბილისი, 2009. გვ. 157-165.
7. გაზ. „დროება“. 1910. № 26, გვ. 3.
8. გაზ. „თბილისი“. 1960. №1, გვ. 4.
9. გაზ. „ივერია“. №3. 1877, გვ. 16.
10. გაზ. „ივერია“. №6. 1877, გვ. 16.
11. გაზ. „ივერია“. №61. 1886, გვ. 4.
12. გაზ. „ივერია“. №153. 1886, გვ. 1-2.
13. გაზ. „ივერია“. №223. 1888, გვ. 2
14. გაზ. „ივერია“. №257. 1886, გვ. 4.

15. გაზ. „ივერია“. №259. 1886, გვ. 4.
16. გაზ. „ივერია“. №262. 1888, გვ. 4.
17. გაზ. „ივერია“. №15. 1891, გვ. 4.
18. გაზ. „ივერია“. №162. 1893, გვ. 1.
19. გაზ. „ივერია“. №142. 1894, გვ. 4.
20. გაზ. „ივერია“. №151. 1894, გვ. 4.
21. გაზ. „ივერია“. №179. 1894, გვ. 1.
22. გაზ. „ივერია“. №212. 1894, გვ. 4.
23. გაზ. „ივერია“. №137. 1895, გვ. 4.
24. გაზ. „ივერია“. №91. 1899, გვ. 1.
25. გაზ. „ივერია“. №145. 1899, გვ. 1.
26. გაზ. „ივერია“. №5. 1900, გვ. 1.
27. გაზ. „ივერია“. №67. 1900, გვ. 4.
28. გაზ. „ივერია“. №73. 1900, გვ. 4.
29. გაზ. „ივერია“. №83. 1900, გვ. 4.
30. გაზ. „ივერია“. №163. 1902, გვ. 2.
31. გაზ. „ივერია“. №13. 1903, გვ. 1.
32. გაზ. „ივერია“. №18. 1903, გვ. 1-4.
33. გაზ. „ივერია“. №30. 1903, გვ. 4.
34. გაზ. „ივერია“. №37. 1903, გვ. 1.
35. გაზ. „ივერია“. №42. 1903, გვ. 4.
36. გაზ. „ივერია“. №81. 1903, გვ. 1.
37. გაზ. „ივერია“. №88. 1903, გვ. 2.
38. გაზ. „ივერია“. №145. 1903, გვ. 1.
39. გაზ. „ივერია“. №262. 1903, გვ. 3.
40. გაზ. „იმერეთი“. №26. 1913, გვ. 4.
41. გაზ. „იმერეთი“. №140. 1913, გვ. 1-4.
42. გაზ. „იმერეთი“. №161. 1913, გვ. 4.
43. გაზ. „იმერეთი“. №169. 1913, გვ. 1.
44. გაზ. „იმერეთი“. №85. 1914, გვ. 4.
45. გაზ. „ისარი“. №12. 1907, გვ. 2.
46. გაზ. „ისარი“. №110. 1907, გვ. 3.
47. გაზ. „კომუნისტი“. 16 ივნისი. 1929, გვ. 4.
48. გაზ. „კვალი“. №3. 1901, გვ. 40-41.

49. გაზ. „კვალი“. №17. 1903, გვ. 2-3.
50. გაზ. „მეგობარი“. №11. 1906, გვ. 3.
51. გაზ. „მეგობარი“. №13. 1906, გვ. 2-3.
52. გაზ. „მერცხალი“. №2. 1908, გვ. 3.
53. გაზ. „მერცხალი“. №8. 1908, გვ. 3.
54. გაზ. „მომავალი“. №89. 1909, გვ. 3.
55. გაზ. „მომავალი“. №27. 1909, გვ. 4.
56. გაზ. „მუშა“. №465. 1924, გვ. 8.
57. გაზ. „მწყემსი“. №7. 1907, გვ. 10-12.
58. გაზ. „ნაპერწკალი“. №19. 1908, გვ. 2-3.
59. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. №85(6451). 2010, გვ. 5.
60. გაზ. „ტალღა“. №39. 1906, გვ. 3.
61. გაზ. „ცისარტყელა“. №6. 1907, გვ. 4;
62. გაზ. „ცნობის ფურცელი“. №1676. 1901, გვ. 4-5.
63. გაზ. „ცნობის ფურცელი“. №1867. 1902, გვ. 2.
64. გაზ. „ცნობის ფურცელი“. №2199. 1903, გვ. 2-3.
65. გაზ. „ცნობის ფურცელი“. №2646. 1904, გვ. 2.
66. გაზ. „შრომა“. №37. 1906, გვ. 3.
67. გაზ. „შრომა“. №56, 1906, გვ. 2.
68. გაზ. „ჯორჯიან თაიმსი“. 2006. №17, გვ. 8.
69. „გზააბნეულმა აკაკი ხოშტარიამ ნავთი თურქეთში ოქროს ფასად გაყიდა“. ჟურნ. „სამეგრელო“. №7(32). 2014, გვ. 35-37.
70. დავიდოვი რ. „ვილჰელმ ჰერმან აბახი, აკაკი, ილია და ჭიათურის მანგანუმი“. გაზ. „სახალხო განათლება“. 1989. 21 ივნისი, გვ. 8.
71. დაუშვილი რ. ჟურნ. „თბილისელები“. 1987. №51(41). 2008, გვ. 18-19.
72. ზურაბიშვილი ნ. ახალი-ძველი ნაცნობი: გერმანელი მეცნიერებისა და ბიზნესმენების, ძმები სიმენსების კავშირი საქართველოსთან. ჟურნ. „მუდმივი კავშირის სამყარო“. №2. 1999, გვ. 20-21.
73. თელია ა. „აკაკი და ჭიათურის მანგანუმი“. ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“. №10. 1990, გვ. 10-14.

74. ისტორიული მემკვიდრეობა: სამეცნიერო–პოპულარული ჟურნალი. თბ. 2015. №11(63). გვ. 47–50.
75. კარბელაშვილი ა. „გრიგოლ ორბელიანი და სიმენსები“. გაზ. „პრეს-კურიერი“. №3-4. 1997, გვ. 213-214.
76. კარბელაშვილი ა. „ძმები ოტტო და ვალტერ სიმენსები“. გაზ. „თბილისი“. 1988. 25 ოქტომბერი.
77. კარბელაშვილი ა. „ძმები სიმენსები საქართველოში“. ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“. №7. 1981, გვ. 57-61.
78. კვინტრაძე ს. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“. თბ. №1. 2012, გვ. 84-88.
79. კირაკოზოვი ა. „თბილისი, რომელიც სომხებმა ააშენეს“. ჟურნ. „ბანკები და ფინანსები“. №11. 2011, გვ. 1, 6.
80. კობახიძე ზ. ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის ერთი კონცესიის ისტორიისათვის (1925-1928 წწ.). თბ. 1995.
81. კოჭლავაშვილი ალ. „აკაკი წერეთელი და საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი: ჭიათურის შავი ქვა და ინტერესი ოქროს საბადოებისადმი“ ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“. №9. 1960, გვ. 7-10.
82. კუპრეიშვილი ნ., წულაია ფ. „ნამდვილი ქართველი მილიონერი“. ჟურნ. „ომეგა“. №10. თბ. 2003, გვ. 69-70.
83. ლაღიძე რ., ლაღიძე ჯ., გახოკიძე რ. „უალკოჰოლო სასმელების უბადლო ოსტატი“. საქართველოს ქიმიური ჟურნალი. ტ. 5. თბ. 2005, გვ. 93-95.
84. ლაღიძე მ. „შეხევდრები დიდ პოეტთან“. ჟურნ. „დროშა“. №6. 1980, გვ. 17.
85. ლაღიძე მ. „შეხვედრები დიდ პოეტთან“. ჟურნ. „საისტორიო მოამბე“. №59-60. 1990, გვ. 29-32.
86. ლიპარტელიანი ნ. ქართველი და უცხოელი მეწარმეები და მათი საქმიანობა საქართველოში. თბ. 2009, გვ. 87-90.
87. მგელაძე ა. ქართული წიგნი. №10. თბ. 2001, გვ. 2.
88. მიქელაძე ლ. „გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის და ცნობილი ქართველი კაპიტალისტის აკაკი მეთოდეს-ძე ხოშტარიას მოკლე ბიოგრაფიული ცნობები“. ფაზისის

საერო აკადემიის სამეცნიერო სესიების მასალები. ტ. I. ბათუმი. 2010, გვ. 173-174.
89. მიქელაძე ლ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №4. თბ. 1992, გვ.172-176.
90. მუმლაძე ლ. „რუსული კაპიტალის როლი რევოლუციამდელი ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში: 1879-1921“. გაზ. „ჭიათურის მაღაროელი“. 1981. 21 ოქტომბერი.
91. მღებრიშვილი თ. „ქართული საგაზეთო რეკლამის ისტორიიდან“. კავკასიოლოგიური ძიებანი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კავკასიოლოგიის ინსტიტუტი. ტ. XI. თბ. 2011, გვ. 373-380.
92. ნაკაიძე ლ. „პირველი ქართველი მეცენატი და მრეწველი“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ტ. III. ბათუმი. 2012, გვ. 130-132.
93. ნაკაიძე ლ. „პირველი ქართველი მეცენატი ქართველები“. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე: სამეცნიერო ჟურნალი. №2. თბ. 2010, გვ. 105-108.
94. ნემსიწვერიძე ი. უცხოური კაპიტალი XIX საუკუნის საქართველოში. თბ. 2001, გვ. 124-152.
95. ოთარაშვილი ა. „ბაქოს ნავთობი და საქართველოს სატრანზიტო ვაჭრობა XIX საუკუნის II ნახევარსა და XX-ის დასაწყისში“. კლიო. №18. თბ. 2003, გვ. 123-137.
96. ოთარაშვილი ა. „უცხოური კომპანიები და მათი საქმიანობა საქართველოში“. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. ტ. 2(15). თბ. 2014, გვ. 143-152.
97. ჟურნ. „გუთნის დედა“. №1. 1861, გვ. 1.
98. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“. №46. 1916, გვ.15.
99. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“. №14. 1918, გვ. 15.
100. ჟურნ. „მეურნე“. №6. 1897, გვ. 5-6.
101. ჟურნ. „რუსთაველები“. №3. 2008, გვ. 73.
102. ჟურნ. „თბილისელები“. №9(635). 2013, გვ. 31.

103. „რობერტ და ლუდვიგ ნობელები“. 100 ღირსსახსოვარი სახელი. თბ. 2014, გვ. 199-201.
104. „როგორ გაჩნდა ქართველებში გამოთქმა: „შავი ქვა““. გაზ. „ივერია“. №224. 1889, გვ. 1-2.
105. „საფრანგეთში გარდაცვალებულნი: პერლაშეზის სასაფლაო“. ლტოლვილთა საძვალენი: 1921-1974. პარიზი. 1971, გვ. 24.
106. საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე. თბ. 2004.
107. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V. თბ. 1970.
108. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. 100 ღირსსახსოვარი სახელი. თბ. 2014.
109. სახოკია თ. ციმბირში. მოგონებანი 1905 წლის რევოლუციის დროიდან. თბ. 2012.
110. სიგუა ა. მარად და მარად. თბ. 1983, გვ. 115-140.
111. სიგუა ა. უალკოჰოლო სასმელების წარმოება საქართველოში. თბ. 1980, გვ. 26-29.
112. სინარიძე ა. „მიტროფანე ლაღიძე – „ტკბილი წყლების“ პირველი ქართველი გამომგონებელი“. ჟურნ. „კარიბჭე“. №15-28(233). თბ. 2013, გვ. 62-63.
113. სიორიძე მ. „ბათუმის როლი ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში (1883-1918)“. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. I. ბათუმი. 1995, გვ. 78-83.
114. „სუჯუნა XX საუკუნის გარიჟრაჟზე“. ჟურნ. „სამეგრელო“. №20. თბ. 2013, გვ. 30-31.
115. ტუნაძე თ. „ბათუმი და ნავთობმრეწველთა ამხანაგობა “Bra-nobel”-ი“. „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“. ტ. I. ბათუმი. 2009, გვ. 4.
116. ტუნაძე თ., მჟავანაძე ე. „ნავთობის ბაზარზე ამერიკულ-ევრაზიული კონკურენციის ისტორიიდან“. საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში, ტ. IV. ქუთაისი. 2008, გვ. 1-7.
117. ტუნაძე თ., მჟავანაძე ე. „ნავთობის ბუმი ამერიკაში“. საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში, ტ. V.

თბ. 2009.
118. ფიფია ბ. დიდი ადამიანები საქართველოში: არგონავტებიდან მარადონამდე. თბ. 2011.
119. ქორთუა ნ. ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში. თბ. 1978.
120. დ. შველიძე. გ. გაფრინდაშვილი. გიორგი დეკანოზიშვილი – მამულიშვილის დაბრუნება. თბ. 2010.
121. შუბითიძე ვ. „ნიკო ნიკოლაძის დაპირისპირება ძმებ ნობელების ნავთობგადაზიდვის მონოპოლიასთან“. ჩვენი მწერლობა. №18(200). თბ. 2013, გვ. 2-4.
122. ცისკარიძე ა. „ძმები სიმენსები თბილისში“. გაზ. „თბილისი“. 1980. 27 აგვისტო.
123. წოწკოლაური ა. დიდნი საქმენი. თბ. 2011, გვ. 510-512.
124. ჭანიშვილი ვ. ჭიათურის მანგანუმის მადნის წარმოება პირველი მსოფლიო იმპერიალიტური ომის წლებში. გაზ. „ჭიათურელი მაღაროელი“. 1978. 18 მაისი.
125. ჭანიშვილი ვ. ჭიათურის მანგანუმის მადნის წარმოება საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების არსებობის წლებში. გაზ. „ჭიათურის მაღაროელი“. 1978. 7 ივნისი.
126. „ჭიათურის შავი ქვა: ინდოეთის მარაზილისდა ჭიათურის შავი ქვის ღირებულებათა შედერება“. გაზ. „კომუნისტი“. 1923. 13 ივლისი, გვ. 2.
127. ჯაფარიძე ს. „იყავნ ქალაქი: ჭიათურის მანგანუმის მადნის საბადოს აღმომჩენი აკაკი წერეთელი და მადნის წარმოების ისტორია“. ჟურნ. საქართველოს ბუნება. №4. 1989, გვ. 5-7.
128. D. Lieven. Russia Against Napoleon. The Battle for Europe, 1807 to 1814. London. 2009.
129. M. De Peyssonel. Essay sur les troubles actueles de Perse et de Georgie. Paris. 1754.
130. J. F. Gamba. Voyage dans la Russie méridionale, et particu-liérment dans les provinces situées au-dela du Caucase, fait depuis 1820 jusq’au 1824. Vol. II. Paris. 1826.
131. Василенко А. Б. «Геополитические аспекты нефтяной политики

США и российской империи во второй половине XIX века». Материалы научно-исторической конференции «Роль частного предпринимательства в развитии нефтяной промышленности России во второй половине XIX века», М., 2006. стр. 19.
132. Газ. «Кавказ». №47. 1903, стр. 2.
133. Гевенян С. Великий благотворитель и меценат Александр Манташев. Эчмиадзин. 2002.
134. Двадцатипятилетье товарищества нефтяного производства Братьев Нобель – 1879-1904, С.-Петербург, 1904.
135. Матвейчук А. «Особенности становления нефтяного предпринимательства в 60-80 годах XIX века в России». Материалы научно-исторической конференции «Роль частного предпринимательства в развитии нефтяной промышленности России во второй половине XIX века». М., 2006, стр. 30-35.
136. Наниташвили Н. Л. Германский капитал в Закавказье: Деятельность фирмы «Сименс и Гальске». Тбилиси. 1982.
137. Татевосян Е. Александр Манташев (1842-1911 гг.). Тбилиси. 2011.

ინტერნეტ რესურსები:

1. http://www.georgianmuseums.ge/?lang=geo&id=1_1&sec_id=2&th_id=87

Emil Avdaliani

# Georgian Entrepreneurship
## (late XIX-early XX cc.)

(In Georgian)

Meridian Publishers
Tbilisi
2018

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47
ტელ.:239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com